



რევან ჯაფარიძე

ბერნიკიბაა იმ სოფარ ყოფნა,  
ქხოვიკიბა, სარაქ ყბიქა  
არამიანიქი რირი  
არამიანიქივით აზიოვიქიქ.

რევან ჯაფარიძე

ISBN 978-9941-8-4255-9



9 789941 842559

# ღაღის სურნაღი

ნოველოები  
ჩანახატები  
მითხრობები



ღიღიქსა შინღსა, ჭაქრთთ!  
უაამთღლიანქ ჭსა უაღსაანქინქ  
საქანთუღთ!

რეკავ ჯაფარიძე • დედის სურნელი  
ნოველები • ჩანახატები • მოთხრობები

# რევამ ჯაფარიძე



# დაღის სურნაღი

ნოველები • ჩანახატები • მოთხრობები

თბილისი  
**2022**

## რედაქტორისგან

რედაქტორი:  
რუსუდან კენჭოშვილი

გამომცემლობის რედაქტორი  
მარინა მარკოზაშვილი

ტექნიკური რედაქტორი  
ალექსანდრა კუზანაშვილი

გამომცემლობა  
„სპეტი“

ადამიანი თუ რამე დიდებულს გააკეთებს, ყოველთვის ამბობენ: რა დედამ გაგზარდაო... მართლაც, საოცარი დამოკიდებულებაა დედაშვილობა! დედით ხარობს ყველაფერი დედამინაზე. ეს აუხსნელი კავშირია ღვთისგან ჩადებული, ამიტომაცაა, რომ ადამიანი უსუსურია ამ საოცარი გრძნობის წინაშე. წიგნის სათაურზე ფიქრისას დედის სურნელი ტრიალებდა ირგვლივ. იმ დედისა, რომელიც სამყაროში ყველა დედას აქვს. ეს ზოგადსაკაცობრიო გრძნობაა ის, რაც ავტორმა თავის ნაწარმოებში ჩააქსოვა... სწორედ ეს დიდი სიყვარული იქცა რევან ჯაფარიძის შემოქმედების მთავარ კრედოდ. ამ ნაწარმოებების კითხვისას მუდმივად გეუფლებათ სიყვარულის განცდა... ყოველი ეპიზოდი სიყვარულის გამოვლინებაა. ამას რეალურად შეიგრძნობთ, რადგან ყველაფერი ნამდვილ ამბებზეა აგებული. თან ისეთი იუმორით,(ვიტყოდი ტკივილიანი იუმორით), რომელიც მხოლოდ გურულებს სჩვევიათ. არის ეპოქალური ამბები, რომელიც ადამიანებმა უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის მონაწილენიც ვიყოთ, იმ ისტორიისა, რამაც დღემდე, ავად თუ კარგად, მოგვიყვანა აქამდე. მადლობა რეზოს ამ პატარა განძისთვის, რომელიც ვიპოვე და სამზეოზე გამოვიტანე. ვმადლობ სამყაროს, რომ დღესაც არსებობენ ქართული სულისკვეთების მქონე ადამიანები! მწერლობისკენ მიმავალ გზას დაგილოცავ, მეგობარო!

რუსუდან კენჭოშვილი

*ბერნიკიბა იმ სოფარ ყოფნა,  
ქხოვხიბა, სარაე ყბხარო  
აქამიანები რირი  
აქამიანებივით აწხოვნიქნ.*

რევაზ ჯაფარიძე

## დედა

გამთენიისას ზურამ უცნაური სიზმარი ნახა: აუარებელ ხალხთან ერთად მალალ მთაზე იდგა და ყველა ზეცაში იხედებოდა, სადაც ღვთისმშობელი ულამაზეს ფერებში გამოსახულიყო. ხედავთ? რა დიდებულია, შეხედეთ! – ვერ მალავდა ზურა აღფრთოვანებას და ზეცას თვალს ვერ აცილებდა.

– არა, ჩვენ ვერ ვხედავთ, ეს ხომ ერთეულების ხვედრია! – გაისმა აქა-იქიდან.

ზურას გამოეღვიძა, დილის ექვსი საათი სრულდებოდა, პირზე წყალი შეისხა და პირსაბანს ჩამოეყრდნო. სიზმრიდან ჯერაც ვერ გამოსულიყო. ორპირმა ქარმა კარები შეალო და კიბეებზე ცოცხით შეიარაღებულ დედას გახედა.

– რამ გადაგრია, ადამიანო, ამ დილაუთენია რა დროს კიბეებია?

– რა ვქნა, დედა, მერე ხალხი დაიწყებს სიარულს და თავზე ხომ არ დავაყრი მტვერს, არა და, ნახე რას ჰგავს აქაურობა!

ზურამ დედის ანითლებული ფეხები შეათვალიერა და სიგარეტს მოუკიდა.

– რატომ გავიწყდება, რამდენი ნერვიულობა და წამლები დაგვჭირდა მაგ წითელი ქარის მოსარჩენად, თანაც ინფექცია ისევ რომ შეგეჭრას?

– აბა, მტვერში და ნაგავში დავიხრჩო? ეგ ხომ სახლში შემოდის?

ზურამ ცოცხი კიბეებზე მოისროლა, სიგარეტის წამწვებს დახედა, სახეზე სისხლი მოაწვა და გინებით აიკლო სადარბაზო, ის იყო დაიცალა, რომ დედის მშვიდი ხმაც გაისმა.

– მე ასეთი არ გამიზრდისხარ, შვილო, არასოდეს არავის არ შეაგინო დედა, რაც არ უნდა დაგიშავონ, ყველა დედას უნდა, რომ მისი შვილი კარგი იყოს!

– ბარემ სუნთქვაც ამიკრძალე! – ჩაილაპარაკა ზურამ და ტახტზე მიწვა.

დღემ კარგად ჩაიარა, სახლში მოსულს დედა კარგ ხასიათზე შეხვდა.

– დედიკო, არც წელი მტკივა და ნახე ფეხები როგორ ჩამიცხრა, სულ აღარ მანუხებს. ესეც ნახე, რა გემრიელია! – ქვებს თავი მოხადა და შვილის საყვარელ კერძს ამაყად დახედა. – ღმერთო, რა ცოტა რამ სჭირდება ადამიანს ბედნიერებისათვის! – გაიფიქრა ზურამ, დედას აკოცა და მაგიდას მიუჯდა.

დღეებმა ერთმანეთის მიყოლებით სწრაფად ჩაიქროლეს, ზურამ სიზმარი გადაავიწყდა კიდეც, მაგრამ ერთი კი იყო, თავისდაუნებურად ღვთისმშობლის ხატი, რომელიც წიგნის თაროზე იდო, დედის ოთახში გადაიტანა და საწოლის კედელზე ჩამოკიდა. დილით დედამ გაიღვიძა თუ არა, ხატს მოესიყვარულა, პირჯვარი გადაინერა, ეამბორა, მერე შვილი დალოცა და მშვიდობიანი დღე უსურვა. ზურამ პირველად იგრძნო სულიერი სიხალისე, იგრძნო, რომ რაღაც ისეთი გააკეთა, რაც მის ძალებს აღემატებოდა. პატრიარქის სიტყვებიც გაახსენდა: დედის ლოცვაზე დიდი რამ არაფერი არსებობს ამ ქვეყანაზე, მოზღვავებული ენერგია იგრძნო და სახლიდან წელში გამართული გავიდა.

\* \* \*

დღე მალე მიილია, ზოგს საქმის მოსაფიქრებლად არ ეყო, ზოგსაც საქმის დასამთავრებლად, ბიჭები ისევე უნივერსამის ბნელ კუთხეში იდგნენ ცარიელი არყისა

და ლუდის ბოთლებით. ზურამ მანქანა პულტით ჩაკეტა, კიბეებს ფეხით აუყვა. მეექვსედან ჩამოსულს მეოთხე სართულზე ცოცხმომარჯვებულ დედას გადაეყარა. ცოცხი ხელიდან გამოსტაცა და კიბეებს აუყვა. დედამ ძველი ცოცხით საქმე მოამთავრა, ნაგავი პარკში ჩაყარა და სახლში შემოსული არ იყო, რომ კარებიდანვე თავის მართლება დაინყო.

– დედა, ზედა მეზობელმა რემონტის ნარჩენები და ძველი ვანა ჩამოათრია, ასე ხომ არ დავტოვებდი, თანაც ორჯერ გაუვარდათ ხელიდან, აი, კიბეებიც დამტრვეულია, მთელი ცხოვრება ასე ვარ, რა მომკლავს, დედა!

– რა მოგკლავს და ცისტიტი, პლევრიტი, ათეროსკლეროზი, რადიკულიტი, საშვილოსნოს დაწვევა და ჩემი ჭკუიდან გადანევა, ხომ ხედავ, ჩვენი პატრონი არავინაა, ვინ მოგივლის, თავს არ უნდა გაუფრთხილდე? – ზურამ გარეთ გავარდა, ჩატეხილ კიბეებს დახედა და ის იყო საგინებლად მოემზადა, რომ დედის სიტყვები გაახსენდა, სიგარეტს მოუკიდა და მოაჯირს ჩამოეყრდნო.

– შენ რომ გიყვარს, მანვნის სუპი გაგიკეთე, დედა, არ შემოხვალ?

– მანვნის სუპი არა, სმეტანას კატლეტები! – ნერვიულად ჩაილაპარაკა, მერე სამზარეულოში შევიდა, დედის ხელები მუჭებში მოიქცია და...

– მოდი, მოვილაპარაკოთ: სარეცხს გარეცხავს სარეცხის მანქანა, მე გავფენ, კიბეებსაც მე დავხვეტავ, როცა მეტყვი, არ შეიძლება შენი გაციება, მარტო საჭმელი დამახვედრე და ჭურჭელი დარეცხე, თუ შეიძლება, თუ ასე არ მოიქცევი, სახლიდან წავალ, იცოდე!

– დედა, ცუდად რომ გავხდები ხომ მოხვალ?

– აუცილებლად და რა მოგიტანო?

– სმეტანას კატლეტები, დედიკო, თან რეცეპტიც

მოაყოლე, რომ მეც გაგიკეთო. – ზურა ველარ მიხვდა, დედა ეხუმრებოდა, თუ სერიოზულად ელაპარაკებოდა. იუმორისგან შორს რომ იყო, კი იცოდა, მაგრამ ერთ რამეს ნამდვილად მიხვდა, რომ სულ ტყუილად გაურიგდა და მისი გადაკეთება შეუძლებელი იყო. აივანზე გავიდა, სიგარეტს მოუკიდა და ქვემოთ შეკრებილ ბიჭებს გადაახედა.

– ბოზიშვილი ვიყო, თუ გაპატიო!

– ჩემი დედას შევეცი, მართალს გეზაზრები! – ყაყანებდნენ უბნელები და ერთმანეთისკენ ინევდნენ. ზურამ სიგარეტის ნამწვი ქვემოთ მოისროლა, ოთახში შემობრუნდა, გაზქურასთან მოფუსფუსე დედას ხელები მოხვია და ჩაიხუტა.

\* \* \*

თვეებმა შორიდან დანახული მატარებელივით ჩაიქროლა. ბიჭები ისევ უნივერსამის ბნელ კუთხეში იდგნენ არყის და ლუდის ბოთლებით. სახლში შესულს ნამლების სუნი და დათო შემოეფეთა.

– ტელეფონი გამორთული გაქვს, მა, ბებია ცუდად იყო და სასწრაფო გამოვიძახე.

– შვილი ხართ? – იკითხა ექიმმა და ხელის მოსაწერი ადგილი მოინიშნა.

მოკლედ, დედათქვენი გადასაყვანია სტაციონარში, კვლევებს საჭიროებს, ამ ასაკში და ამ მდგომარეობაში უყურადღებობა სახიფათოა, დაზღვევით 10%-ს გადაიხდით, ასე გიჯობთ.

ზურა ჩაფიქრებული და გულდამძიმებული მიჰყვებოდა სასწრაფოს და რას იფიქრებდა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო ბებოს ორწლიანი წვალეებისა...

საავადმყოფოდან მეექვსე დღეს გამონერეს, სა-

დარბაზოსთან შვილიშვილები ოვაციებით დახვდნენ და ლიფტამდე ხელში აყვანილი მიიყვანეს. ბებომ ზურას თბილად გადახედა და დაბანა სთხოვა, ცოტა ხანში კი, ლოყებდაბრანული ბებო ლოგინამდე მიაცილეს, ცხელი ჩაი მიაართვეს და ტკბილი ძილი უსურვეს. დედამ ზურას ხელი მოხვია, ჩაიხუტა და მალევე ჩაეძინა. დაღლილი, ნანვლები სხეული ჭრილობებს იშუშებდა და პატრონს მინდობილი თითქოს მომავალი ბრძოლისთვის ემზადებოდა. ტახტზე მიწვა და თვალეები დახუჭა. უცებ გაცოცხლდა გონებაში მთანმინდის ძველი სახლი, სადაც გაიზარდა, გაახსენდა, როგორ დგამდა დედა უზარმაზარ ქვებს აგურებზე, როგორ ხარშავდა სარეცხს კოცონზე, როგორ ავლებდა ცივ წყალში, როგორ ჰფენდა გაყინულ თოვლში, მერე საჭმლის გაკეთებასაც ასწრებდა, დილით შვილების დაპურებასაც, მონესრიგებას, გაუშვებდა სკოლაში, ჩაირბენდა ჭავჭავაძის აღმართს და სამსახურში დროულად ცხადდებოდა. რა ლამაზი და სიცოცხლით სავსე იყო ის, დალლა მის სხეულს არ ეტყობოდა!

\* \* \*

ხუთი თვე გაძლო ნამლებითა და გამაყურებლებით, მერე კი, მაინც ის მოხდა, რაც ექიმებმა იწინასწარმეტყველეს: სასთუმალს მიეჯაჭვა და ბედს დაემორჩილა. დედა სიტყვაძუნწი გახდა: სწყინდა, როცა ვინმე მოვიდოდა და მას არ კითხულობდა, სულ ზურას ლოდინში იყო და გამუდმებით კითხულობდა, სთხოვდა, რომ მასთან ელაპარაკა და მოეყოლა დღის ამბები, ან უბრალოდ ჩუმად მჯდარიყო და მისთვის ეყურებინა, ხშირად თვითონაც უყვებოდა თავის ახალგაზრდობის ამბებს, სულ ერთი იყო მისთვის, უსმენდა თუ არა, ეძინა თუ ეღვიძა დაღლილს, მთავარი იყო, რომ მისი იმედი მის გვერდით

ყოფილიყო, მალე სხეული წამლებს მიეჩვია და აღარ მოქმედებდა. გამუდმებით ითხოვდა ძლიერ გამაყურებლებს, აუტანელი ტკივილების გამო, ისტერიაში ვარდებოდა, ნაწილები გაუჩნდა, ხორცი შემოადნა, წითელი ფუმფულა ლოყები პატარა ღრმულებად გადაექცა და ძვალზე გადაკრული ტყავილა დარჩა, მხოლოდ თვალები, სევდიანი, კეთილი, ცისფერი თვალები ინარჩუნებდა ძველებურ ეშხს, მხოლოდ ისლა დარჩენოდა მის პატრონს ჯანმრთელი, მეტყველი, სინმინდით, სიცოცხლითა და იმედით სავსე მოკავშირედ.

\* \* \*

ზურას სამსახურიდან შეაგვიანდა, სახლი წამლებისა და შარდის სუნით გაჟღენთილიყო, სასწრაფოდ გამოუცვალა, ლოგინში გადაანვინა და საჭმელი მოუტანა. ზურა ცდილობდა, დიდი სავსე კოვზით ეჭმია, რათა მალე მორჩენილიყო ეს დამლელი პროცესი, დედა კი ხვდებოდა, რომ ტვირთად აწვა დაქანცულ შვილს, გრძნობდა მის გაღიზიანებას, განიცდიდა, გაჭირვებით ყლაპავდა დიდ ლუკმებს და შვილს მონყალების თვალებით უყურებდა.

– როდის დამთავრდება ეს ყველაფერი! – ერთდროულად გაიფიქრა დედა-შვილმა, არც ზურას გამოჰპარვია დედის წუხილი, თავი ასწია და კედელზე გაკრული წარწერა შეათვალიერა: „როცა შენი მშობლების მოვლა გაგიჭირდება და მათ დამტკნარ სხეულს თვალს აარიდებ, გადაშალე საოჯახო ალბომი და გაიხსენე, რა კარგები იყვნენ ისინი, გაიხსენე, შენს ზრუნვაში ჩამოღვენილი მათი სიყვარულით სავსე დაბინდული თვალები და უფრო გაგიადვილდებათ მათი მოვლა. ამ მისიას ხომ ბევრი ნატრულობს.“ ზურას ყელში ბურთივით რაღაც მოაწვა, აივანზე გავიდა, სიგარეტს მოუკიდა.

ღმერთო, ამას ხომ ჩვენი ქალები უნდა აკეთებდნენ, ჩვენი უცხოეთში გადაკარგული ქალები, მსუყედ ნაცხოვრებ მოხუცებს რომ უვლიან, ოჯახურ სითბოს მონატრებულებს ოცნებაში რომ უღამდებათ და უთენდებათ, შვილებსა და შვილიშვილებს ეკრანზე რომ ეფერებიან და წელმონყვეტილ მშობლებს შორიდან რომ დასტირიან, ერთადერთი, რაც დარჩენიათ, იმედია, იმედი იმისა, რომ ეს ყველაფერი ოდესღაც დამთავრდება ცუდი სიზმარივით და დაუბრუნდებიან თავიანთ თბილ კერას.

ზურა ტელევიზორმა გამოაფხიზლა. საარჩევნო დებატებმა კულმინაციას მიაღწია, ოპონენტებმა დედის გინებითა და უშვერი სიტყვებით დაუნყეს ლანძღვა ერთმანეთს, მერე ხელჩართულ ჩხუბზე გადავიდნენ. პროგრამაც დაუგეგმავ სარეკლამო რგოლებზე გადაირთო და კორპუსთან შეგროვილი ბიჭების გარჩევაში არია.

– ჩვენ ავაშენებთ ასზე მეტ ქარხანას! – ბოზიშვილი ვიყო, იტყუებით!

– ჩვენ მოვსპობთ უმუშევრობას! – მტყუნის დედას შევეცი!

– ჩვენ ვიზრუნებთ საქართველოს უკეთეს მომავალზე! – თქვენ როგორ გენდოთ, თქვე ბოზებო, დაახვიეთ აქედან!

– ყველა ოჯახს შევუქმნით ცხოვრების საუკეთესო პირობებს! – ოჯახს ნუ ეხებით, თქვენი დედაც!

ზურა ცოტა გაახალისა ამ პატარა ტრაგიკომედიამ

– ჰმ, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში. – ჩაილაპარაკა და ხატებთან სანთელი დაანთო.

\* \* \*

ღლეები საპნის ბუშტებივით მიფრინავდნენ, დედა ინსულტით რეანიმაციაში იყო, მისი მდგომარეობა კიდევ



უფრო დამძიმდა, ის გამუდმებით ითხოვდა შვილის მოყვანას, ექიმებიც ურეკავდნენ და უფლებას აძლევდნენ მასთან ყოფილიყო. მოკიდებდა თუ არა ხელს მის დამჭკნარ თითებს, დედა მშვიდად იძინებდა, ექიმები სინანულით შეჰყურებდნენ ამ პროცესს.

– რა დამამშვიდებლებს არ ვუკეთებთ, თან ვყვებით, მაგრამ უთქვენოდ არ იძინებს, როგორ ჰყვარებიხართ, რა ბედნიერი ხართ! მე დედა ისე გარდამეცვალა, რომ წყალიც არ მიმინოდებია მისთვის, მეზობლები პატრონობდნენ, ბოლო წუთამდე ჩემს ხსენებაში იყო თურმე, მე კი ამ სამსახურის გადამიკიდე, სხვების მოვლაში და შვებულების ლოდინში, ბედის ანაზრად მივატოვე, ბედნიერი ხართ. – ჩაილაპარაკა ექიმმა და ცრემლები შეიმშრალა. ზურამ დედის ჩაჭიდებულ ხელს დახედა, წელში გასწორდა, სკამი ისე მიაჩოჩა, ხელი არ გუნძრევია, ეშინოდა რომ არ გაღვიძებოდა, მხართან ჭვალმაც გაუარა, მაგრამ ადგომა ვერ გაბედა. აკვიატებული ფრაზა მოსვენებას არ აძლევდა, როდის დამთავრდება ეს ყველაფერი, როდის? უცებ მამაოს სიტყვები გაახსენდა: – მოითმინე, გაუძელი და ნახავ, როგორ შვებას იგრძნობ ბოლოს, მალე მოგენატრება ეს ყველაფერი. უცებ დედას წამიერად გაელიმა და შუბლი ოდნავ შეეკუმშა, თითქოს სევდანარევი ღიმილით ვილაცას შეხვდა იქ, იმ შორეულ სამყაროში, რალაც წამები ასე იყო, მერე კი ცრემლმა გამოჟონა წამწამებში. ზურას უნებლიედ ერთი ამბავი გაახსენდა: პირველად რომ საფენი გამოუცვალა, დედა სახეზე განითლდა, თავი კედლისკენ გადააბრუნა და ჩაილაპარაკა, – ღმერთო, ამას რას მოვესწარი, მაშინ ზურა არ დაბნეულა და ხუმრობით უპასუხა:

– დიდი ამბავი, ცხრა თვე მანდ არ ვიჯექი? რა მოხდა მერე? ამაზე ორივეს გაელიმა და... ძალიან ჰგავდა ეს და

ის სევდანარევი ღიმილი ერთმანეთს, მაშინ დედამ ხელზე ხელი მოჰკიდა, პირთან მიიტანა, აკოცა, ლოყაზე მიიდო და დიდხანს ჰქონდა ასე ჩახუტებული.

ექთანმა დედა-შვილის ხელი ფრთხილად დააშორა ერთმანეთს და ურჩია:

– ნადი, დაისვენე, ცოცხალი ხარ, ხვალ უფრო მძიმე დღე გელის, დაგირეკავ.

მესამე დღეს მდგომარეობა კრიტიკული გახდა, ინსულტმა გონიც წაართვა და მეტყველება, საჭმელს კათეტერით აწვდიდნენ და ექიმები ვერაფერს გებულობდნენ, რა აწუხებდა საცოდავ ქალს, დედა მხოლოდ ხელს იშვერდა კარებისკენ და ხრიალებდა.

გამთენიისას ზურამ მეორედ ნახა ღვთისმშობელი, რომელიც დედის სახით შვილს ზეციდან სიყვარულით დაჰყურებდა. გაელვიდა, სანოლზე წამოჯდა და საათს გახედა, ექვსი სრულდებოდა, ის იყო აბაზანაში პირზე წყალი შეისხა, რომ ტელეფონმაც დარეკა. ექთანი ცდილობდა მშვიდი ტონით აეხსნა, რომ დედამ მისი სახელი გაჭირვებით წარმოთქვა და კარებისკენ ხელი გაიშვირა, იქნებ მობრძანდეთ.

სასწრაფოდ ჩაიცვა, მანქანაში ჩაჯდა და დიდი სისწრაფით გაუყვა ჯერ კიდევ მძინარე ქალაქის ქუჩებს, საავადმყოფოს კიბეები აირბინა, ექიმებისკენ არც გაუხედავს, სანოლს მიუახლოვდა და ხელი ფრთხილად მოჰკიდა ხელზე. რამდენიმე წუთი დედის ხელი არ განძრეულა, მერე თითები ოდნავ შეირხა, შვილის თითებს მოესიყვარულა, თითქოს ცდილობდა, ხელი მალლა აენია. ზურას ეს მოძრაობა ეცნო და მის ხელს გაჰყვა, დედამ ხელი ტუჩებთან მიიტანა, ოდნავ გაილიმა, შვილს მადლიერებით შეზავებული სიტბო დაუტოვა და სულიერად ყოფას ეზიარა.

\* \* \*

დღეები ისევ საპნის ბუშტებივით მიფრინავდნენ და ჰქრებოდნენ. ერთ საღამოს ზურამ დედის განუყრელი შავი ჩანთა კარადიდან გამოიღო, ნივთები მაგიდაზე გადმოყარა, დათვალიერებას შეუდგა, თითქმის ყველაფერი ნაცნობი იყო, ერთი გაკეცილი, პატარა რვეულის გარდა, ფრთხილად გაშალა და ჩანანერების კითხვა დაიწყო.

## წერილი საიქიოდან

„სიბერე არის მდგომარეობა, როცა ყველას იმედის თვალთ შეჰყურებ და შენთვის არავის სცალია“.

ჩვენ დავიბადეთ ჯოჯოხეთში, სამოთხის ფონზე, თუ დავიბადეთ სამოთხეში და ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ჯოჯოხეთად ვაქციოთ?

სიცოცხლის ფასი მაშინ გავიგე, როცა სიკვდილის დიაგნოზი დამისვეს და პალატაში ჩემი ადგილი მიმინინეს. რა უმწეო ყოფილა ადამიანი, თავს მევლებიან და ცდილობენ ჩემი ლეშის გადარჩენას, მე კი მარტო ფიქრი შემეძლია და ჩემივე გაფუჭებულ საქმეს ვერაფრით ვეხმარები. დიახ, დგება დრო, როდესაც აცნობიერებ, რომ ძალიან სწრაფად გაირბინა ცხოვრებამ, ვერ ელევით შენს დარჩენილ სიმდიდრეს, ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, შენი ხელით შექმნილ მატერიალურ თუ სულიერ სამყაროს, ხვდები ამაოებას წუთისოფლისა, გიკვირს, ამას სხვები რატომ ვერ ხედავენ. პასუხი არაფერზეც გაქვს და ყველაფერზეც, წევხარ საწოლზე და ფიქრობ გამუდმებით: ეს რომ ასე ყოფილიყო, ის რომ ისე მომხდარიყო, მე რომ ისე მეცხოვრა, მას რომ ჩემთვის გაეგო, ოხ, ერთი

ფეხზე დამაყენა, ფიქრობ და იძირები, ეცემი ფსკერზე, იქ კი მხოლოდ დეპრესიაა, სწორედ ამ დროს გჭირდება თანაგრძნობა, სიტბო, ყურადღება და არა ეს დაუსრულებელი წამლების სია, მათში ხომ ეს კომპონენტები არ შედის, დალევ და შენ, შენ აღარ ხარ, აღარ გტკივა, ველარ ხედავ, არ გალელვებს, არადა, სულ ახლახანს იყო ჩემთან ჩემი პატარა ანგელოზი, თავისი პატარა თითები ხელზე შემახო და რაღაცას მეუბნებოდა, როგორ მინდოდა მეგრძნო მისი თითების სიტბო, გამეგო მისი ხმა, მაგრამ ეს საშინელი წამლები. ერთი მოხუცი გამახსენდა, ეკლესიაში ხატის წინ დაჩოქილი რომ ბუტბუტებდა:

– ღმერთო დიდებულო, ღმერთო მაღალო, ღმერთო ძლიერო... ჩემო მფარველო ავისა და ბოროტისაგან, მადლობას გწირავ ამდენ ხანს რომ მაცოცხლე და მამყოფე ჩემს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად, მადლობას გწირავ ყოველი ჩემი ნატვრისა და ოცნების ასრულები-სათვის, ვიცი, რომ მომერევი და მხოლოდ ერთსა გთხოვ, გევედრები, ისე წამიყვანე ამ ქვეყნიდან, რომ გონი არ წამართვა.

რა დიდი დრო ყოფილა ერთი წუთი, რა საინტერესოა მბჟუტავი ნათურა, საათი, რომელიც გამუდმებით განიშნებს, თუ რა სწრაფად გარბის დრო და რა ხანმოკლეა წუთისოფელი, ვიხედები ფანჯარაში და თითქოს პირველად დავინახე ბებერი ხის ტოტებში გაჩხერილი ბადრი მთვარე თავის ვარსკვლავებთან ერთად, ასე ზღაპრულად რომ მოჩანს ჩემი საწოლიდან. ოთახს ნაცნობი მელოდია მოეაღერსა: ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ... ვიგრძენი გალაქტიონის აფორიაქებული სული, ფოთლების შრიალს პირველად მოვუსმინე ასე და მიწის სურნელიც სხვაგვარად შევიგრძენი, ტყის სუნი, ნეტავი, თუ იცის მეტყვევებ რა

ბედნიერია ის. მე? მე ხომ აქამდე არ მეცალა ამისთვის, პირქვე დავემხე ნესტიან ფოთლებში, სახე დავმალე და ხარბად ჩავისუნთქე. წამლის სუნმა და ექთანმა პალატაში დამაბრუნა, კორიდორში ოთხთვალა საკაცეზე, მოხუცთან პატარა მეტიჩარამ მიიღბინა და წამში ჩაუკაკლა:

– გამაღჯობა, ბაბუ, ექიმმა დედიკოს უთქლა, ლომ თუ ეტკით კალგათ ხალო, ალ მოკტებაო, ჟოლა ბიძიამ ასე თქვა, მაგი ძალღია და ლა მოკლავსო, შენ ყეფა იცი? გული რომ წაგივიდა, დედიკომ თქვა, წაილო წელილიო და ვის მიუტანე? – ღმერთო, რა სასაცილო იყო ეს პატარა მაიმუნი, უცებ რომ გააძევეს იქედან, რა მშვენიერია წუთისოფელი, ჩვენ რომ არ ვამახინჯებდეთ, ყველაფერი ოდესლაც იწყება და მთავრდება, მთავარია, როგორ იცხოვრებ და რას შექმნი იმ ოქროს შუალედში. მე ეს ცხოვრება არ მეყო, ის მხოლოდ ჭკუის სასწავლებლად გამომადგა, მინდა, რომ მეორედ დავიბადო ამ გამოცდილებით, მაგრამ ეს რომ შესაძლებელი იყოს ადამიანზე დიდი ეგოისტი არსება არ ივლიდა დედამინაზე. მთელი ხიბლიც ამაშია, ადამიანი სამყაროს სულის საწრთობად ევლინება, ხორციელად ყოფის დასასრული ხომ სულიერად ყოფის დასაწყისია. როცა გრძნობები ქრება, სხეული ბერდება და მხოლოდ ტკივილზე რეაგირებ. უნდა წახვიდე, რომ განახლებული მოევლინო ქვეყანას. **ბუნებაში ხომ არაფერი იკარგება, როცა ოჯახში ახალშობილი იბადება, გახსოვდეთ, რომ ის ვილაცაა თქვენი წარსულიდან რასაც იმსახურებდით, თქვენც და ისიც.** სამივე ღვთის წყალობაა, იქ წასვლაც, აქ დარჩენაც და ამქვეყნად მოვლინებაც, აქ თქვენ მეგულებით, იქ კი – მთელი საქართველო.

ისევ მიუფხედები რადიოს, მოვუსმენ მის საოცარ გადაცემებს, რადიო დადგმებს, ეროსის და კოტეს, შევხვდები

ჩემს ძვირფას მსახიობებს, იმასაც გავიგებ, არის თუ არა იქ თეატრი, ისევ ჩაუვლის დუქანს ჩაფიქრებული გალაქტიონი. სიცილით გავიგუდები იპოლიტეს დანახვაზე, ისევ მოვუსმენ თემურის სიმღერებს და თავს დაუკრავ გუდიამვილს, აქ კი გიტოვებთ ჩემს ოცნებებს, ნატვრებს, ჩემს ლამაზ ქვეყანას, მზეს, მთვარეს, მთასა და ბარს, ცრემლსა და დარდს, მარცხსა და გამარჯვებას, სიყვარულსა და სიხარულს, მთავარია, როგორ გამოიყენებთ ამ ყველაფერს სულის საწრთობად. ცხოვრება საინტერესოდ მორთულ-მოკაზმული მირაჟია, სადაც ყველაფერი ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ერთადერთი ნათელი წერტილი სარწმუნოებაა, ღმერთია! სინამდვილე მისი დასრულებისთანავე იწყება. მეცნიერები თავს იმტვრევენ იმაზე ფიქრით, თუ როგორ მიაკვლიონ სხვა განზომილებაში მოხვედრის გზებს, იმქვეყნიურ საიდუმლოებებს, არადა, ეს რა მარტივად, გარდაცვალებით მიიღწევა, ამას თავის დროზე ყველა ნახავს, მეცნიერიც და უმეცარიც.

ჩემზე არ იდარდოთ, მე ხომ სიკეთით ვიცხოვრე და მივდივარ იქ, სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ, ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

## ატენილები

ვასილა შეჩერდა, პერანგი შარვალში ჩაიტანა, ქა-მარი კარგად შემოიჭირა, ნალდი ზედ მოირგო, თოხი ისევ მხარზე გაიდო, ჩაფიქრებულმა ლოყები ორი თით-ით მოისრისა, კოკოლას სახლისკენ გაუხვია და აღმართს ჩაფიქრებული მძიმედ შეუყვია.

– კი, მითხრა ვალს ნანო-ნანო დაგიბრუნებო, მარა როისო, არ უთქმია, ისე ისიც კი მითხრა, ფულის მაგივრად მანდარინას მოგცემო, მარა მაი მიზდაა კაი, თვარა ჩემდა? ჩემდა აფერია, რაში მარგია მისი საფანტივით მანდარინა, მაინც რამდენჯერ გადვიდო ამ ვალის ამბავი, ერთხელ მოსავალი გუუფუჭდა და გადუვადა, თან მისი ბადიშის ნიგნი ჩემი საყიდელი შეიქნა, მიორეთ მანქანა დამახვე-დრა ნაყიდი და ისე გამოვთვერით, რომე ვალში მატანდა, გინდა თუ არა წეიყვანეო, ვინ მყავს მე შენზე უკეთესიო, მეც გადვირიე და აკუმულატორის ფული ქე გადოუხადე, მერე იყო და საცოდავი შურაიე ჩაგვაკტა ხელში, თითქოს ჩემს მისლას ელოდებოდა. ას ერთი წელი დუუტიე, რაც მექონდა ჯიბეში და ნამოვედი, რა უნდა მექნა, მიოთხედ ჩემი მისლა და ცისმარიეს კივილი ერთი იყო, ქე შეეძინათ შვილიშვილი, იმფერი დავთვერით, რომე ჩემი ნანუსიე რომ არ ყოფილიყო, ვალსაც ვჩუქნიდი და კიდო ძლივას აღებულ ერთი თვის პენსიასაც ვუკუჭავდი ჯიბაში, კიდო კაი ჩემზე ვარესად იყო და აფერი არ ახსოვდა მიორე დღეს, მარა რათ გინდა, რა? მანქანის ფული და ექიმი მე გვეისტუმრე, ვინ მაძალეზდა? არავინ! ნეტაი, ახლა რალა ექნება სათქმელი, დეკემბრის ბოლოა, ახალი წელი კარზეა მომდგარი და ეგობა ქე ინამუსოს! ისე, ახლა რის გადასახდელად ვარ მოსული, ნეტაი? – ამ ფიქრებში იყო ვასილი, ჭიშკარს რომ მიადგა. ბოლოს ნაფიქრალმა, ცოტა

არ იყოს, უსიამოვნო შეგრძნება დაუტოვა და გააბრაზა კიდევ.

– გადასახდელად კი არა ის კიდო, გადავყობი თან, – თავი დაიმშვიდა, ეზოში შევიდა, მასპინძელს გასძახა და ის იყო მსხლის ძირში თოხი მიაყუდა, რომ საიდანღაც პატარა ლეკვი გამოენთო, ფეხებში ეძგერა და ჩახლეჩილი ხავ-ხავის ძახილით მომხდური ეზოდან განდევნა. ვასილამ ძლივს მოიშორა შარვლის ტოტზე ჩამოკიდებული ლეკვი, ჭიშკარი ზურგსუკან მოიქნია, გამოგლეჯილ ნაჭერს თვა-ლი შეავლო და ღობეს მომსკდარ შოთიას მიაძახა.

– რა არსებაა ეს, საიდან მოიყვანეთ ეს უპატრონო?

– საბუთებში ძალლი უწერია და რა ვიცი მე!

– ბიჯო, პასპორტში შენც ქე გინერია კაციო, მარა ხარ?

– ჩემთან რა გინდა, ვასილა ბიძია, მე გიკბინე თუ?

– შენ რომ გეკბინა, ახლა კტარი ვიქნებოდი. ჰმ! ძალლიო, სიგრძე ამას არ აქვენ და სიგანე, ყეფა ამან არ იცის და შინაური, თქვენთან კიდო კაის რას ისწავლის კაცი! ისე ზედგამოჭრილი მამაშენია თლა. – გადანვდა კოკოლას და გვერდზე რომ არ განუელიყო მისი მსხვერ-პლი გახდებოდა ნამდვილად.

კუკურა და ნათელა ეზოს უხმაუროდ მოადგნენ, „ში-ტოკით“ კარები შეაღეს, მსხლის ძირამდე მიგორდნენ და გაყურდნენ.

– საიდან იხსნება ეს დასანვავი რემენი, დევიხრჩვი კაცი, მიშველეთ ვინცხამ!

ვასილამ მანქანაში შეიხედა და მეორე მხრიდან ფან-ჯარაში გადმოყუდებულ შოთიას გადაულაპარაკა:

– უცებ არ ოუშვა, თვარა დაკბენს ხალხს. კაცო, შენ სიგნლი არ გაქვენ?

– არა.

– არც სვინდისი?

– მაი, კი მაქვს, მარა ვერ ხედავ, ხალასტოით რომ დავდივარ? ეკანომიას ვაკეთებ შენი ვალი გვესტუმრო, შენ კიდო გამარჯობაც არ გითქვია, რომ შემოი და რა გელაპარაკო. ნამოი ახლა კაი ადესა მაქვენ, ჩუუჯდეთ პანა ხანს, დევილაპარაკოთ, იმფერი გეგმები მაქვენ, იმფერი, რომე ერთი სული მქონდა როის გნახავდი და ახლა გაგიშობ აქიდან? პანა ხანში შენი ნანუსიეც ამუა მოსახმარებლად. ლორი უნდა დავკლათ და მერე მწვადებიც ქე იქნება, აპა, რა!

კოკოლამ ნარდი ილლიაში ამოიღო, ვასილას მკლავში ხელი გაუყარა და კაკლის ხისაკენ საქმიანად წაიყოლია.

– რაია იცი? მე საქმიზა ვარ აქ მოსული და...

– საქმიზა ვართ ყველა გაჩენილები, უსაქმურები ეგერ წვანან, ე... – გაიშვირა ხელი სასაფლაოსკენ კოკოლამ და მენიუ კიდევ ერთხელ გაიმეორა:

– ჭადი, ყველი, ხაჭაპური, მჭავე, მწვადი და ადესა!

– ამაზე მეუბნები ვარს?

ვასილას დანყობილი აზრები სადღაც გაეფანტა, პირი პავლოვის ძალღვივით ნერწყვით აევსო და კოკოლას იარაღაყრილი ტყვესავით უკან გაჰყვა.

\* \* \*

– ბემ ოთხი! ჰე, ითამაშე, ახლა სა იყურები! – ახედა გამტერებულ ვასილას კოკოლამ და ცხვირი ისე მოიხოცა, რომ ხიდან ფრინველები ერთი მეორეს მიყოლებით აიშალნენ, სკამთან წამოწოლილმა ნაგაზმა კი თვალეები ჭყიტა და ადგილი სასწრაფოდ შეიცვალა.

– სა ვიყურები და ეგერ ე, ფუტი რომ ამოდის გადაღმა ხედავ? მაი ვალიკოს სახლია, ქალიშვილის დაბადების დღე აქვენ და აქ ტყულა ხელის ქნევას, ხომ არ ჩავსული-

ყავით, პანას გევერთობოდით, მეზობლებს ვნახავდით.

– კი, რავა არ ჯობია, მაგრამ რას გეტყვი იცი? ნუ ხარ შენ ნუნკი კაძახი, ახალი წელი აგერ კარზეა მომდგარი, არ ჯობია შენ ოჯახში შეხთე შენს ბადიშებთან?

– რაია იცი? ყოლიფერი გახაზირებული გვაქვენ ოჯახში, მარტო ქალების საქმეა დარჩენილი და კი მიხედავენ უჩვენოდ, ჩევიდეთ, მივულოცოთ, კაი პურ-მარილი იცის ვალიკომ, კაის დავლევთ, კაის შევჭამთ და ოჯახსაც ეკანომიას გოუნევთ. – ჩაიქირქილა კოკოლამ.

– კი, ეწყინება, აბა რაი! – მხარი აუბა ვასილამაც და ქალების დამცინავ მზერას თვალი აარიდა.

– გაგიხმათ თავი! საჭმელ-სასმელი გაკლიათ თქვენ? – ჩაიქირქილეს ქალებმა.

– ჩარ იაქე! – ითამაშე ახლა, რას უცდი, მოკლედ რაია თუ იცი, ახლით ახალი წელი მე არ მწამს, მარა, კარგად რომ დევიწყოთ, რაი გვიშლის ხელს? აფერი, ა: კოკოლამ ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოიღო და ჩამოარაკრაკა:

პირველი: დევიწყებთ ვალიკოდან, ხვალიზა კი გამოგვიყვანს პახმელიაზე და ახალ წელს შევხთებით კაი ხასიათზე, ჩვენს ჩვენს კერიაზე, მიხთი? მეორე: ორში დავადგეთ თავზე შოლიას, ბედობაა და კაი დაგვებდოს, არ ჯობია? სამში კი გამოგვიყვანს პახმელიაზე და აგერ ოთხში უკვე კოსტიას უწევს მასპინძლობა, დაბადების დღე აქვენ, ჩათვალე რომე ხუთი ჩვენია, კაი კაცია კოსტია, მიორე დღესაც გადმოგვიპატიყუებს ნამცეცობაზე. საღამოს კი დევისვენებთ პანა, აი ექვსში და შვიდში გოგიეს დღეებია, კამპანიას იხდის ახალსახლობაზე, მერე რვაში გადავიდეთ ნუგიესთან, ცხრაში და ათში პანას კი დევისვენებთ, თერთმეტი და თორმეტი ზურიეს დისშვილის დაბადების დღეა და მერე კი შევხთებით ნამდვილ

ახალ წელს, ოჯახში, გეიგე ქალო? ტვინი ვარ, ტვინი! – შეიქო საკუთარი თავი კოკოლამ და ფურცელი შეინახა.

– მაი გეგმა პენტაგონში დამუშავდა, თუ შენთან, ოჯახში? – ჩაიქირქილა ვასილამ, წელში გაიმართა და ჭიშკართან აყუდებულ ბავშვს გახედა.

– კოკოლა ბიძია უთოს გვათხუებ?

– უთო, ბიძი, ერთი კვირის უკან ნუშლია ნადიეს და მუუცია საშაიეზე, მერე უხმარია ჯერ ვაჟიკოს, მერე გოჩიას, მერე გოგიეს და ამის მერე კვალი იკარგება, მიხთი? ხოდა, თუ მიაკლიე, მეიხმარე და მერე კი მეიტანე, თუ ივარგა კიდო.

– ესე იგი არ მათხუებ? – გამოსძახა დაშტერებულმა ბავშვმა.

– არ მეუბნება გული კაის, ატეხილი ხარ შენ და მეც ამტეხე, მაგი ვალიკოს ბალანა რალაც თვალში არ მომდის, შენი უთოსავითაა მაი, წვეიდეთ, მარა, მალე წამევიდეთ იქედან, სალაპარაკო მაქვს შენთან.

\* \* \*

სუფრას რომ მიუსხდნენ, სტუმრები უკვე კარგად შეზარხომებულები იყვნენ, კოკოლამ ხორცის მოზრდილი ნაჭერი დაითრია, დახედა, პირი დაალო და ის იყო დიდი სიმინდისმარცვალა კბილებით ჩააფრინდა, რომ პატარა ლილემ პიჯაკის ქვედა ბოლოზე მოქაჩა და ჰკითხა:

– სენ გელი ხარ?

კოკოლა წამით გაჩერდა, ლილეს ზემოდან დახედა. შეუღრინა, დაუდასტურა მგლისებრთა ოჯახს მივეკუთვნებო და ხორცი გადასანსლა.

– ალ შემწამო რა, გელო, და ხოლცს მე მოგიტან ხოლმე. – ლილემ მგლის მოშინაურება გადაწყვიტა. კოკოლას მუხლებზე ააცოცდა, სუფრას გადანვდა და ლამის

ნახევარი ქათამი კოკოლას თეფშზე გადმოათრია.

– ჩამოი ძირს, ნუ ანუხებ ბიძიას! – მიიღო პირველი გაფრთხილება ლილემ.

კოკოლამ გაბურძღნულ ამბაკოს მოჰკრა თვალი, ყანწყი შეავსო, მიანოდა და იუბილარის დალოცვა უბრძანა. ამბაკომ ყანნი რის ვაი-ვაგლახით შესვა, დიდხანს იდგა გაბურბუსალებული, წინ და უკან იქანავა, მერე ხელით ანიშნა შემივსეთო და კოკოლას დააშტერდა. კოკოლამ ნაომარ სუფრას თვალი მოავლო, მხოლოდ მოშორებით იყო შემორჩენილი სასუსნავი, ფეხზე წამოდგა, ხელები მალლა ასნია და შეიღრინა: – ღრრრ, ჩემი კრავი ხომ არ გინახავთ, უნდა შევსანსლო!

– აგერ, ბატონო, თქვენი კრავი, – გაშლილ ხელში ყანნი მიაჩერეს და ამბაკომაც ძლივს ამოღერდა, – თუ კაცი ხარ, დალევ!

კოკოლამ ორჯერ შეისვენა, ორჯერ გაუგებრად შეიკურთხა, ძლივს ჩაცალა და ცარიელ თევშს დააშტერდა, მერე ლილეს მოჰკრა თვალი, ლილე მაგიდაზე ნახევრად ასულიყო და რალაცას ეპოტინებოდა, იმედი მიეცა და ჩაილულულა, აქანა რომ იდო, სად წვეიდაო, ენის ქვეშ უნდა დაგედო და არ დაკარგავდიო. – შეახსენეს. ის იყო მორჩენილ ტყემალში ჭადის ნარჩენი ამოუსვა, რომ ლილემ პიჯაკში ისევ მოქაჩა და შეევედრა:

– ალ შემწამო ლა, გელო, ხოლცი აგალაა და ა, ძვალი ჭამე, გემლიელია.

– ძვალი ბაბუაშენს აჭამე! – ჩაიღრინა მგელმა, დაბინდული თვალეებით იუბილარს მიაჩერდა და ამოილულულა:

– ისე ბენვზე ვართ გადარჩენილი თელი სოფელი, ბიძიკო!

– რეიზა, კოკოლა ბიძიე? – გაინაზა იუბილარი.

– რეიზა და კაცად რომ არ დაიბადე, ბიძიკო, კაცად! დაგვჩინჩლავდი, ალბათ, სუყველას. სუფრამ ახლა ნახევრად გადასვენებული ვასილა აირჩია და შევსებული ყანნი მიაართვა.

– არ მინდა, – გაასავსავა ხელები ვასილამ.

– არ გინდა რა, ტორტი კი არაა, თამადას ბრძანებაა, ყველამ დავლიეთ, აპა? დალიე და წაი მერე, სადაც გინდა, დასხმულია უკვე! – ვასილამ ყანნი ჩამოართვა და ქანავ-ქანავში დაიწყო.

– დავლოცავ სუფრის ყველა ნევრს აქიდან, ე, იქობამდის! – ხელი გაიშვირა თამადისკენ, მერე ზეზეულად ნათვლიმა, თვალი გაახილა და გაახსენეს, აქედან იქობამდეო, – ხოდა, თქვენი დედებიცო! – არ დააყოვნა ვასილამ და...

სუფრაც აირია, დედის გინებას ერთი ამბავი მოჰყვა, ვილაცამ ბოთლს ხელი დაავლო და ვასილას მიეჭრა, კოკოლა ხელში წვდა და შეევედრა:

– ნუ იზავ, ბიძიკო, მაგას, თრალია, ვერ ხედავ? კტარია ნახევრად.

– კტარი მაშვინ იქნება, ამ ბოთლს რომ გადავაფშვნი თავზე, ჯერემ სუნთქავს, მაგან დედები შეგვაგინა სუყველას და არ შევარჩენ!

– სა ზიხარ, ბიძიკო, შენ? – ჩაეძია კოკოლა და თვალეები მოუჭრუტა.

– თავში, თამადასთან, რაია მერე? – დაეჭვდა მომხდური.

– რაია და აფერი! არ მოგინევთ არც შენ და არც თამადას, მიხთი? რაცხა პანა, უმნიშვნელო, დაახლოებით ამდენი ა! – ნახევარი ფრჩხილი მოუზომა კოკოლამ და ჩაიფხუკუნა. უცნობი ჯერ დაიბნა, მერე ვასილაზე გათვლილი ბოთლი ისე შემოკრა კოკოლას კბილებში, რომ

ვასილას თვალეები შუბლზე აუვიდა და უცნობს ხელში ეცა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, მოქნეული ბოთლი მასაც ზუსტად ისევე მოხვდა და ამბაკო გვერდზე მიწოლილ კოკოლას ჩაეხუტა.

\* \* \*

ხო, ხო, ხო, ესა რა უქნია იმ შობელძალს, კაცო, მთელი ზედა ყბა ჩალენილია! – შეიცხადა კუშა ექიმმა და გორგოლაჭებიანი სკამით მეორე სავარძელში გაშვეტილ ვასილასაკენ გაგორდა, პირი გამიღეო უთხრა და... გადააირია. – დედა, ბიჯო, ასეთი არაფერი მინახავს, ზუსტად ისეა ჩალენილი, როგორც შენი, ოლონდ ქვედა, რომ გინდოდეს, ამას ასე ვერ იზამ.

– გვეშველება ლამე? – ამოიჩლიფინეს კაცებმა.

– კი, ერთმა ზემოდან უკბიჩეთ, მიორემ ქვემოდან, მწვადს რომ შეწვავთ, ე აწყვეთ გეგმები და იძახეთ ახლა ეკანომია, ეკანომია მაი იქნება, ფაფებზე რომ გადახვალთ კაი ხანს. – აქირქილდნენ ქალები და კაძახები წინ გაირეკეს.

\* \* \*

კუშა ექიმმა სავარძელი ფეხით მიაგორა, გაასწორა, ზედ დაგდებული ოთხად გაკეცილი ფურცელი აიღო, გაშალა და ჩააჩერდა:

1. დევიწყებთ ვალიკოდან, მიორე დღეს გამუალთ პახმელიაზე და ახალ წელს შევხთებით საკუთარ კერი-აზე.

2. ორში ბედობაზე მივდივართ შოლიესთან და სამშიც კი გამოგვიყვანს პახმელიაზე, არ ეშლება მაგას მამფერები.

3. ოთხში და ხუთში კოსტიას უწევს დაბადების დღე.

4. ექვსში და შვიდში გოგიეს დღეებია, კამპანიას იხდის ახალსახლობაზე.

5. რვაში გადევნიდეთ ნუგიესთან. ცხრაში დევნივით და...

6. თერთმეტი და თორმეტი ზურიეს დისშვილის დაბადების დღეა.

რა ატეხილები ყოფილან, ბიჯო? კიდე კარგად გადარჩენილან, ამათი მანაკი ენის ამბავი რომ ვიცი. – ჩაილაპარაკა კუშა ექიმმა და კაბინეტი ღიმილით დატოვა.

## ბახმარო – ჩვენი საბანძური

კურორტებს შორის ბახმაროს გამორჩეული ადგილი უკავია განსაკუთრებული კლიმატის გამო, თუ ამას ნაბეღლაში მინერალური წყლის ეფექტსაც დავუმატებთ, ის მართლაც უნიკალურია მთელს მსოფლიოშიც კი. მდინარე ბახვისწყლის ხეობაში, გურია-აჭარის მთავრეხილზე 2050 მეტრის სიმაღლეზეა და მისი ქებული ათასწლოვანი ნაძვით, სოჭითა და ბახვისწყლით არის შემოსილი, რომელსაც 90-ზე მეტი შენაკადი ერთვის, 42 კილომეტრზეა გადაჭიმული და მდინარე სუფსაში ჩაედინება. ბახმარო თავისი მდიდარი ფაუნითაც გამოირჩევა: დათვი, მგელი, მელა, არჩვი, შველი, კურდღელი, ჩხიკვი, კოდალა, როჭო, ინდაური, კალმახი, მაგრამ კურორტის მთავარი უნიკალურობა მისი ჰავაა, რომელიც წარმოიქმნება მთელს ტერიტორიაზე მთისა და ზღვის იონიზირებული ჰაერის შერწყმით, რომელიც უერთდება სოჭისა და ნაძვის ტყის წინვოვან ანაორთქლს და თუ ამას ოზონსაც დავუმატებთ, ვღებულობთ ისეთ ნაზავს, რომელიც წარმატებით კურნავს ისეთ ურთულეს დაავადებებს, როგორცაა: 1. ფილტვის ტუბერკულოზის დახურული, კომპენსაციური ფორმები. 2. ლიმფური ჯირკვლების, პლევრისა და მუცლის აპკის ქრონიკული ტუბერკულოზი. 3. ძვლისა და სახსრების ტუბერკულოზი. 4. ბავშვთა ტუბერკულოზის ინტოქსიკაციური ფორმები. 5. ფილტვების არატუბერკულოზური დაავადებები. 6. ბრონქული ასთმის მსუბუქი ფორმა, ქრონიკული ბრონქიტი. 7. მალარია, ანემია, ნევრასთენია და ა. შ.

აღმოსავლეთიდან ბახმაროს დაჰყურებს ლენჭყის სერი (2505 მ.), მას დამსვენებლები „მზის ამოსვლის მთას“ უწოდებენ და ღამის 2-3 საათზე ჯგუფებად მიემგზავრე-



ბიან ამ მშენებლების მომსწრენი რომ გახდნენ. სამხრეთ-დასავლეთით საქასრიას ქედია, პატარა ბახმაროს მწვერვალით, რომელსაც „მზის ჩასვლის“ მთას უწოდებენ, ის ზღვის დონიდან 2250 მეტრზე მდებარეობს და თუ ეს ორი მთა არ დაგილაშქრავთ, ვერასოდეს მიხვდებით, რომ სამყაროს შექმნაში ღმერთის ხელი ურევია.

სამხრეთით ბახმაროს საყორნიას (2755 მ) და ფაფარას (2656 მ) მწვერვალებია, 25 მილიონი წლის წინ, გაძლიერდა რა ვულკანური პროცესები, მთლიანად ზღვით დაფარული გურიის ტერიტორია, რომელიც ხმელთაშუა ზღვის გეოსინკლინის ფარგლებში ექცეოდა, ხმელეთად გადაიქცა და აღმოსავლეთ გურიის მიდამოებმა მალა აინია, რის შემდეგაც ეს ტერიტორიები ზღვას არასოდეს დაუფარავს (პროფ. მირიან ძველაია).

ბახმაროს ეტიმოლოგია კი, ლეგენდის თანახმად, თურქულ სიტყვას უკავშირდება („ბახ“-ნახე), მეორე ნაწილს კი ქალის სახელს „მარო“-ს უკავშირებენ. ლეგენდის თანახმად, თურქ გამტაცებლებს მღევარი წამოეწია, მათ კი ვერ გაიმეტეს ნადავლი დასათმობად, მარო მოკლეს და მკერდზე მისივე სისხლით დაანერეს: „ბახ მარო“. ლეგენდა ისტორიულ სინამდვილესთან არის დაკავშირებული, რადგან წარსულში ოსმალების მიერ გურული ქალ-ვაჟების გატაცების და გაყიდვის მრავალი ფაქტი არის დაფიქსირებული ამ ადგილებში. ბახმაროს სახელწოდების განმარტება კი პირველმა სცადა პროფესორმა ი. სიხარულიძემ. სიტყვის პირველი ნაწილი დაუკავშირა „ბაფ“-ს, რაც სვანურად ნაბიჯს ნიშნავს, გეოგრაფიულად კი გადასასვლელს, ავტორის მტკიცებით, სვანეთში ასეთი სახელით მთა-გადასასვლელები აღინიშნებოდა. პროფესორი დ. კობიძე კი ბახმაროს ბახვისწყალთან და უძველეს სოფელ ბახვთან აკავშირებს. მისი ვარაუდით,

„მარო“ „მერე“-ს სახეცვლილებაა. „მერე“ კი გურიაში, და არა მარტო გურიაში, მდინარისპირა ვაკე ადგილს ეწოდება. აქედან გამომდინარე, თავიდან „ბახვის მერე“-დ წოდებულმა დროთა განმავლობაში ცვლილება განიცადა, ჯერ „ბახმერე“-დ გაერთიანდა, ხოლო დღეისათვის ჩამოყალიბდა საბოლოო ფორმით და დღემდე შემორჩა „ბახმარო“-ს სახელწოდება. ერთი სიტყვით, „ბახმარო“ მთლიანად ქართული სიტყვებისგან არის მიღებული და მას თურქულთან არანაირი კავშირი არ აქვს.

XIX საუკუნის დასაწყისში ბახმაროს დამსვენებელი არ აკლდა, მაგრამ დიდი სამკურნალო ეფექტის გამო, 1910-1911 წლებში მგზავრთა ეს ნაკადი სულ უფრო და უფრო გაიზარდა. ისინი ცხენებით მიიკვლევდნენ გზას, რაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ავადმყოფებსა და ბავშვებს ხის ყუთებში „კვარდებში“ – აკრავდნენ, ხოლო „ჩავლადარი“ (ცხენის მფლობელი და გამცილებელი) თავისი საქმის დიდი მცოდნე უნდა ყოფილიყო, რომ ნისლით დაფარული საცალფეხო ბილიკებით უვნებლად აეყვანა მგზავრები ბახმაროზე, ერთ წაფორხილებასაც კი შეეძლო დაეღუპა ხალხი. ეს ყველაფერი ისტორიის კუთვნილებად დარჩა, ახლა კი მოასფალტებულ გზას მიუყვები და ტკბები ბუნების ზღაპრული ხედებით, გაივლი ხიდისთავს და ხვდები, რატომ იყო ნოდარ დუმბაძე დიდი გულისა და მდიდარი სულის მქონე ადამიანი, სვამ ნაბელავის შუშხუნა წყალს და ცისკენ მიმავალს ცხრა წყარო გელის, იქ მოხარშული სიმინდი თუ არ გაგისინჯავს და ზედცივი კამკამა წყალი არ დაგიყოლებია, ნუ იტყვი, ბახმაროზე ყველაფერი ვიციო. პირველი, ვინც 2050 მეტრზე შეგხვდებათ, ეს „დოსტი“-ა, რაც „ამხანაგს“ ნიშნავს, ის ცხენოსანი მოვაჭრეა და სანამ ისვენებ, შენი ოჯახის განუყოფელი ნაწილია თავისი ავლა-დიდებით: ხისგან

გამოთლილი სათამაშოებით, კვარით, ნაძვის კევეებით, რძის პროდუქტებით, კარაქით, თაფლით, კარტოფილით, მწვანილებითა და რაც მთავარია, „კაიმალი“-თ, არაჟნის ეს სახეობა, მართლაც, რომ აღნიშვნის ღირსია და იგი მათი სავიზიტო ბარათია.

## კოლორიტები

- პეტრუშკა გაქ? – გასძახა წვერებიანმა კაცმა.
- არა, მაი არ მაქ, მაკიდო მაქ, თუ გინდა და ცერეცო.
- ოხრახუში?
- აჰ, არც მაი მაქ, მაკიდო არ გინდა? – არ მოეშვა დოსტი.
- სამი დღე უძახეს ერთმანეთს და კიდევ დიდხანს იძახებდნენ, ვიღაც ქალს რომ არ ეთქვა: – რასაა, რომ ჩვით, კაცო, მაი ორივე ერთიაო.
- მოედანზე ნისლიდან ბახმაროს უხუცესი ეზალო გამოჩნდა, ცხენზე ამხედრებული, ორი დიდი ხურჯინითა და მხარზე ცელით.
- რამდენი წლის ხარ, ეზალო, ოთხმოცს გადასცდი?
- გასძახეს ბიჭებმა.
- რაღა დროის ოთხმოცია, მაი როის იყო! – გაიკვირვა ეზალომ, ცხენს ქუსლი შემოჰკრა და ნისლში გაუჩინარდა.
- აღმართს შევუყევით, ის იყო გავივაკეთ, რომ ნაცნობი ხმა შემოგვესმა.
- რაფერ ხართ, ბიჭებო, დოღზე იყავით? – შემოგვძახა მწყემსმა.
- რაფიელ, როგორ ხარ, შენ გაიხარე! წამოდი ჩვენ-

თან, სუფრა გაშლილი იქნება უკვე და დღევანდელი დღე აღვნიშნოთ.

- აჰ, არა, ბიჭებო, საქონელი მყავს მისახელი, მაგრამ ერთი რამ მინდა გაჩვენოთ და ნუ დამზარდებით.

რაფიელს უკან გავყევით, ერთ ძველ ხის სახლს მივაღექით, ოთახი ფანრებით გავანათეთ და ჰოი, საოცრებავ, კედლები წარწერებით იყო აჭრელებული! კითხვა დავინყეთ და წარსულიც გაცოცხლდა.

- 1930 წლის სააგარაკო სეზონი, ვცხოვრობდით ამ სახლში, მადლობა ამხანაგ შურა თავამაშვილს საუკეთესო თანაგრძნობისათვის.

- 1950 წელი, ნატო ვაჩნაძე.

- 1928 წელი, სიცხე მატულობს, ფილტვები მეწვის, ღმერთის იმედად ვარ.

- 1927 წელი, მეორედ დავიბადე, ანთებამ გამიარა, ვსუნთქავ, პირველად ვსუნთქავ თავისუფლად, საოცრება ხარ, ბახმარო!

- 1905 წელი, ამ ოთახშიდ ვცხოვრობდით, მე, სიმონა დოლიძე და დათიკო შევარდნაძე, მადლობა სახლის პატრონს მასპინძლობისთვის.

- დაუფერებელი აქ არაფერია, ეს სახლი და ეს ბილიკი ბევრი რამის მომსწრეა, ადგილიც ისეთია, შემალლებული, ხელისგულივით მოჩანს ყოლიფერი, სწორედაც რომ აქ დაიდებდნენ ბინას აბრაგები, ისე, თუ იცი შენ, ვინ დასდევდა დასაჭერად სიმონა დოლიძეს, შენი მოგვარე ურიადნიკი ჯაფარიძე, მარა მერე დამეგობრდნენ და ერთად ჩახოცეს ორივე. სანყენია, რომ ერთ მშვენიერ ღამეს ამ სახლსაც დაშლიან არაფრისმთქმელი სახეები, გადოუღეთ სურათი, იქნება ფოტოზე მაინც შემორჩეს, ეს წარსული.

## გურული იუმორი, თვითონ რომ არ ეცინებათ, ისეთი

– რა ჰაერია, ბიჯო? კტარს გააცოცხლებს, მსოფლიოს ფილტვებია ბახმარო!

– კაი ერთი, სა ნახე ჰაერით გაცოცხლებული კტარი, მსოფლიოს კი არა, კაი ჰაერი ყველგანაა და არ იცი მაი შენ!

– ცოცხალ-კტრები ამოვდივართ ბარიდან და რომ დავჯდებით ამ ჩემ ბალკონზე, მთელი ოჯახი მიორედ ვიბადებით.

– ხო, კტრების რა გითხრა, მარა ცოცხალ კტრებს კი შველის, ალბათ. არ მითხრა ახლა, რომ მაგი იონიზია, თუ რაცაა, შენს ბალკონზე იკვეთება.

შებინდებისას კოცონი უკვე დანთებული იყო და სამ-ეზობლოს სუფრაც უკვე გაეშალა, ყველამ თავისი ადგილი დაიკავა და მექის მიაჩერდა.

– აბა, დღევანდელ დღეს გილოცავთ, ფერისცვალების ძალა და მადლი არ მოგვიშალოს ღმერთმა! ყველამ უნდა ვიცვალოთ ფერი სასიკეთოდ, ყველას გულის გასახარად და ღმერთის სადიდებლად, გაიხარეთ და გაძლიერდით! – დაილოცა თამადა, ჯოხიან კაცს ეჭვით გახედა და სოსიკოს ჰკითხა:

– აი, მამაშენია არაა, რომ მოლასლასებს? როის იყო ჯოხით დადიოდა? იყო, ნეტაი, ნოტარიუსთან ოზურგეთში, თუ გამოაგდო მზიამ?

კაკუშა სუფრას ამყად მიუახლოვდა. ჯორკო გაასწორა, ჩამოჯდა და გამარჯვებული კაცის იერით გამოაცხადა:

– ვიცი ახლა ყველას გაინტერესებთ, ვიყავი მზიასთან და თელი წელი რომ მანვალეებდა, ოც წუთში მომცა აი ცნობა, ჩემი დათას წყალობით.

ცაცამ ტელეფონი გამორთო, კაკუშა შეათვალიერა და მიესალმა.

– გამარჯობა არ იცი შენ? სპრიეზდომ!

– რაიო?

– რაიო და შენს ჩამოსვლას და ჩვენს დახვედრას გაუმარჯოსო.

– მერე ვერ იტყვის მასე? რაის პრეზდომი მუუნდა, მოკლედ, ვიყაი და ისე მელაპარაკებოდა, ჩემკენ არც გამოუხედავს. რომ შევედი, რა მითხრა თუ იცი? შენს მოსლას ისევ მამაშენი მოსულიყო – ჯობდაო. მე ვუთხარი: მოკტა და რაფერ მოვა-თქვა. – სა მოკტაო? – მკითხა.

– ლოგინში-თქვა, – ვუთხარი. – სათვალის ზემოდან ამომხედა და მკითხა: როგორ მოკტაო, – მოკლეს-თქვა – ვუთხარი და კილამ გედირია, ძლივია ამეილულულა: – ვინ მოკლაო? – ვინ და ნანიემ, კოლიემ, შოლიემ და შენც ქე გაბრალიან-თქვა, მე რა შუაში ვარო? – მკითხა, რაი და სიკტილამდე ერთი თვეი რომ არონიე ამ ცნობის გულობიზა და რომ არ მიეცი, ინერვიულა და ქე მოკტა-თქვა. – ვუთხარი. – მერე? – ერთხმად იკითხა სუფრის ყველა წევრმა და გაინაბა. – რა მერე! ამაზე თლა გედირია და ასე მითხრა, ვერც შენ ეღირსები ჩემგან რამესო, მარა, ე, ამ დროს ვუხსენე იმ კაცის სახელი, შენ რომ მითხარი და ქე მოკაკვა თითი. ასეთი კაცის ხათრით ყოლიფერს ვიზამო. – მითხრა და გამიშანშალა ულაპარაკოდ. კაკუშამ ჯიბიდან ფაილში ჩადებულ-ჩაწიკნიკებული ბეჭდიანი ქალაღი ამოიღო და დათას მრავალმნიშვნელოვნად გადაანოდა.

– კაცო, რატომ იცი შენ საქმის წინ გლახავი, არ იყავი ღირსი რომ გამოეშვი გარეთ? – შენუხდა დათა, ბლანკი ჩამოართვა და დახედა.

– ჩემო დათა, შენ მყავდე კარგად და მაგისტანების

ობტში კი ამჟამად, რაც მე მაგან ადრე მანვალა: ჰო, ჰო, რა შეეცვალა სახე იმ კაცის სახელზე?!

– შენ გეიხარე, მეც კაი განამებული ვიყავი მაგისგან, ჩემი ჯავრიც ამოგიყრია! – აჰყვა კოლიეც.

დათამ ღვინო ჩამოასხა, გადაჰკრა, სოსიკოს შუშის თვალეებით შეხედა, მერე ცაცას გადახედა და...

– მართლა გოუშანშალებია. – ჩაილაპარაკა ცაცამ.

– არ უთხრა, უმამოდ დავრჩები! – შეევედრა სოსიკამ. მერე ყველას სიცილი აუტყდა და დათას ფურცელი ხელიდან გაუვარდა. – რას შობით, არ დასვაროთ! გედირიეთ? – იყვირა კაკუშამ, ფურცელი აიღო, სული შეუბერა და დაამტერდა.

## ცნობა

ეძლევა მოქალაქე აკაკი როსტომის ძე ცხოიძეს, მასზედ, რომ იგი ნამდვილად ცხოვრობს ქალაქ ოზურგეთში, რუსთაველის ქუჩა 17-ში, არ აქვს განათლება, ზრდილობა, ახასიათებს უაზრო გამოხდომები ნერვიულ ნიადაგზე და არ არის დასაშვები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

კაკუშამ ფურცელი დაატრიალა და ბეჭედს წრიულად თვალი გააყოლა.

სპორტული საზოგადოება დინამოს პროფკავშირები. 1965 წელი.

– მოვკლავ! – ამოიოხრა კაკუშამ და წასვლა დააპირა.

უცებ ბავშვებმა სიმღერა წამოიწყეს. დღეს ხომ ნიკას დაბადების დღეა, დიასახლისის ნიშანზე, ტორტის სანთლები დაანთეს და კაკუშას სიმღერ-სიმღერით შემოეხვივნენ.

## ხატი

მეტი სახლიდან ხატით ხელდამშვენებული გამოვიდა, ნიკას მიაწოდა, თავზე ხელი გადაუსვა, მოესიყვარულა და დაბადების დღე მოულოცა.

– ბაბუ, ეს მამა გაბრიელის ხატია და მას თავისი პატარა, მაგრამ ძვირფასი ისტორია აქვს: ერთი პატარა ბიჭი, ვაიმეგობრების წყალობით, კაზინოს მიეჩვია და დიდ გასაჭირში აღმოჩნდა, თავის მოკვლამდე ერთი ნაბიჯი დადარჩენოდა, როცა ჩემთან მოვიდა და დახმარება მთხოვა, მშობლებმა სოლიდური თანხა ძლივს გაისტუმრეს და ამ საქმეს რომ გარიდებოდა, ბიჭს მარტყოფის მონასტერში წასვლა ვურჩიე. ასეც მოიქცა. ექვსი თვის შემდეგ, 24 თებერვალს, მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები სამების საკათედრო ტაძარში გადმოასვენეს. შეუძლოდ ვიყავი და ტელევიზიით ვადევნებდი თვალს, თუ როგორ ცდილობდა გალავანს მიმწყდარი ხალხი საფლავთან მიახლოებას, ცოტაოდენი სინმინდის მოსაპოვებლად. ეს ბედნიერება კი, ყველას არ ერგო წილად, მათ შორის მეც. სამი დღის შემდეგ, ბიჭი გამომეცხადა, პატარა კოლოფი გადმომცა და მითხრა:

– აქ მამა გაბრიელის წმინდა ნაწილებია, სამებიდან მამა ბენიამინს გამოუგზავნეს, მან მე მიწილადა, მე კი თქვენ გაგიყავით, მადლობელი ვარ გვერდში დგომისთვის, მონასტერში გატარებულმა დღეებმა ბევრი რამ მასწავლა და ბევრ რამეზე დამაფიქრა.

ასეა: სამყაროში არაფერი იკარგება, ჩვენ გვეჩქარება, თორემ, ადრე თუ გვიან, ყველა ადამიანს უკან უბრუნდება, რასაც გასცემს. ამ ხატში ის წმინდა ნაწილებია მოთავსებული.

## მომავალ შეხვედრამდე, ბახმარო!

ცხოვრებასავით ხანმოკლეა ბახმაროსთან სტუმრობა და განშორება. მიდიხარ, მიდიხარ, ადიხარ ზეცაში, მთელი გზა იმის განცდაში ხარ, როგორი დაგხვდება ბახმარო, გიხარია, მოეფერები იმ პატარა ეკლესიას, მოიკითხავ მონატრებულ სამეზობლოს, ღრუბლებში ჯვარს ჩაეხუტები, ნისლით შეიმოსები, დაანთებ კოცონს, მოყვები ახალ თუ კარგად დავიწყებულ ამბებს და უკვე წამოსვლის დროა, მოდიხარ და უკვე გენატრება ის თბილი, ხუმარა ხალხი, მიდიხარ და ფიქრობ, ოცნებობ მომავალ წელზე, როგორი დაგხვდება ბახმაროს ჩანისლული ქვაბული და მადლიერი ხარ ღმერთის, რომ ასეთი სიმდიდრე გვარგუნა წილად.

2010 წლის სეზონი ბახმაროში, როგორც ყოველთვის, ფერისცვალების დღეს დოლით დასრულდა და საგულისხმოა, რომ შეჯიბრი რვა წლის აჭარელმა ბავშვმა მოიგო. კარგია, ის უფრო დიდხანს შეინახავს ძირძველ ტრადიციებს, მივდივარ და უკვე მენატრები, გტოვებ ერთი ოცნებით: მომავალი წლის ზაფხულის სეზონის დახურვა და ზამთრის სეზონის გახსნა ისევ ფერისცვალების დღეს, ტრადიციული დოლითა და ახალგაზრდა თაობის გამარჯვებით აღგვეღნიშნოს.

მომავალ შეხვედრამდე, ბახმარო! ფერისცვალებას გილოცავ და შენც სასიკეთოდ გეცვალოს ფერი!

## კოცონთან მოყოლილი ამბავი

### „ნატურ პროდუქტი“

კოცონი ჯერ ტკაცა-ტკუცით ალაპარაკდა, მერე ღრმად ჩაისუნთქა და ბავშვების მილაგებული ტოტებიდან გასასვლელი რომ ვერ იპოვა, ორჯერ ჩაახველა, გაიბოლა, თვითონაც სუნთქვა შეეკრა და გარშემომყოფებსაც. არიქა, უშველეთო! – გაისმა აქეთ-იქიდან, მორები მიწი-მონიეს, ჭიქაც მიაშველეს და... კოცონმა ერთი კარგად ამოისუნთქა, იფეთქა, აბრიალდა, გარშემო ყველაფერი გაანათა, მერე ჩაწყნარდა და სმენად იქცა.

იმ წელს ყველაფერი უცნაურად დაიწყო. უცხოელი ცოლ-ქმარი წამოვიყვანეთ ბახმაროს სანახავად და ბევრი დაუგეგმავი თუ გაუთვალისწინებელი რამ შეგვემთხვა. არნომ ცოტა ქართული და ისტორია იცოდა საქართველოს შესახებ, მაგრამ პირველად იყო ჩამოსული და პირდაფჩენილი უყურებდა ბახმაროს ულამაზეს ხედებს.

პირველი ნათლობა ხიდისთავში მოხდა. ერთ დიდებულ ოჯახში თაფლი და სანთლის არაყი შევიძინეთ. სანამ ჩვენ ერთმანეთი მოვიკითხეთ, 85 წლის რუბენა ბაბუმ არნო მარანში შეიტყუა და მაშინ გაგვახსენდა, როცა არნოს განწირული ხმა გაისმა „ნატურ პროდუქტ“, ო, მიაგაად! – ამას იძახდა და აღარც გაჩერებულა სამი დღე. ჯერ თონიდან ამოყრილ პურზე გადაირია, მერე თაფლზე და სანთლის არაყზე, მერე დერგიდან ყველი ამოიღეს, იქვე კიტრი და პომიდორი მონყვიტეს და... არნომ ერთი ამოიხვნეშა, „ნატურ პროდუქტო“ და დამუნჯდა. მოკლედ ასეც შევარქვით და სახელსაც არავინ ეძახდა.

მალე ცხრანყაროს მივაღებთ, სწორედ აქ გაება მახეში ჩვენი სტუმარი. გურული რისი გურულია, სალადაო

თუ არ მოძებნა?!

– პირველად ხარ, ძამა, ბახმაროში? სადოური ხარ?

– კი, პირველი. პირველი. მე გერმანელი, ცოტაც ინგლისელი. – ნახევრად ქართულად უპასუხა არნომ გაოცებულ გურულს.

– ჰოდა, პირველად თუ ხარ, აქ წესია ამფერი, რომ კიდო რომ ჩამოხვიდე, აი, ეს უნდა დამიცვალო სულ-მოუთქმელად. – მიაწოდა წყლით სავსე შეჭირხლული რკინის ქილა და შედეგის მოლოდინში ღიმილით მიაჩერდა. სულზე მივუსწარი, ნახევრად დაცლილი ჭიქა ხელიდან გამოვგლიჯე და ვიყვირე:

– რას შვრები, კლავ?

– შენ თვითონ რას შობი, ხუმრობას ვერ ხტები?

– ვერ ხედავ თვალეები და კბილები კინაღამ დაცვივდა, ცოდვა არ არის?

– ჩვენ არ ვიყავით ცოდვა, ვარი რომ გვითხრენ ნატოში შესლაზე? – დაადო პოლიტიკური სარჩული გურულმა და გაყინულ არნოს ცხელი სიმინდი მიაჩერა.

– „ნატურ პროდუქტ“! – კბილებში გამოსცრა არნომ, მაღლიერი თვალეებით გადმომხედა და სიმინდს ჩაეხუტა.

როგორც იქნა, დაკიდებული აღმართები ავიარეთ, თავქვე დავეშვით და პირველი მასპინძელიც გამოჩნდა, ხის პატარა ლამაზი ეკლესია. იქაურობას მონატრებული თვალი შევავლე და ნისლში არეულმა ფიქრებმა სტუმრები დამავინცა. ალბათ, დიდხანს ვიქნებოდი ასე, ვიღაც ბავშვი რომ არ მოსულიყო და სახელოზე რომ არ მოექაჩა.

– ბიძია, ბიძია, თქვენ რომ დამლაგებლები ჩამეიყვანეთ, ერთი მხარე უკვე დაალაგენ და მიორეზე ცელოფენები არ ყოფნიენ, მუუტანო?

მოედანი გადავჭერი და... ეკლესიის ღობე თითქოს გამყოფი იყო სიმინდისა და ამქვეყნიური ცოდვების.

ერთ მხარეს კენჭებით მოკირწყლული, მწვანეში ჩაფლული სისპეტაკე და სიმშვიდე, მეორე მხარეს კი, ღობის ძირიდან დაწყებული მთელ მოედანზე, საჭმლის ნარჩენებს, სიგარეტის ნამწვავებსა და მზესუმზირის ჩენჩოებს ბალახი შავად შეემოსათ. წყვილები, ნაცნობ-უცნობები, დიდები თუ პატარები, ზედ არხეინად დასეირნობდნენ და ჩემს სახელოებდაკაპინებულ სტუმრებს ირონიით მიჩერებოდნენ.

სამი დღე გაძლო ჩემმა სტუმარმა. სამი დღე ყოველ დილით გამოდიოდა აივანზე, ცხენზე ამხედრებულ დოსტს დიდის ამბით ჩამოართმევდა მანონს, კაიმალსა და კარაქს, ხელს ცისკენ აიშვერდა, ღრმად ჩაისუნთქავდა და ყვიროდა: – „ო მია გაად! ნატურ პროდუქტ!“ სამ დღეზე მეტი ვერ გაძლო სანყალმა.

– მოკტა? – აღმოხდა პირდაფჩენილ კუკურას და ნერწყვი ძლივს გადაყლაპა.

– არა.

– აბა, დეიმტრაა?

– არა და მაცადე, დავამთავრო! მეოთხე დღეს საავადმყოფოში დავანვინეთ, კუჭის აშლილობით, ისე ცუდად გახდა, რომ გადასხმებიც კი დასჭირდა.

ექიმმა თქვა: – ესენი ათას უბედურებას ქამენ და ამათი კუჭი არ არის მიჩვეული ნატურალურ საკვებსო.

– ე, იძახოს ახლა, ნატურ პროდუქტ, ნატურ პროდუქტო, აგი რომ კაცს აწყენს, მოსაკლავია, აბა რაი! – ჩაიქირქილა კუკურამ, ნაკვერჩხლებიდან შავ-შავი კარტოფილები ჯოხით გამოყარა, ხელებით სწრაფად განმინდა, მიმწვარი ადგილები ჩამობერტყა, მარილი მოაყარა, ღმერთო, შენ უშველე ყველა გაჭირვებულსო! – ჩაილაპარაკა, არაყი გადაჰკრა და ოხშივარში გახვეული, დანახშირებული კარტოფილი გემრიელად მიაყოლა.

## უფლებადამცველი

უკვე შებინდებული იყო, როცა კოცონს შემის ბოლო ნაფოტი მიაყუდეს, ძირში ტოლის ნაჭერი ჩაუფინეს და ცოტა ხანში ცეცხლიც აბრიალდა, გადაირია და ბავშვების ჟრიამულში გაერია.

– დამეფსო ყურები, თქვე ცეცხლნაკიდებულეზო, დოუნით პანა ხმას, რა იქნება, კაცს ვერ გავაგებთ ვეფერი!

– მაგას რას გააგებებ, ყურის აპარატი დარჩენია სახლში, ვერ ხედავ? – ახორხოცდნენ ბავშვები, ერთმანეთს რაღაც გადაუჩურჩულეს და ერთხმად აყაყანდნენ.

– ვისი ჯერია დღეს, ამბავს ვინ ყობა?

– ბაბუ, ბაბუ! – ახმაურდა მეორე მხარე.

– სიტყვა სიტყვაა, თუ შეგპირდით, მოგიყოფით კიდეც! – მექიმ ხელი ასწია, ბავშვები გააჩუმა, კალთა აიკაპინა და დაინყო.

\* \* \*

ბევრს, ალბათ, არ გემახსოვრებათ, ჩემს ახალგაზრდობაში ტვალეტები ეგერ ე, იმ კოდბეზე იყო ჩამწკრიბული, ახლა რომ ყველას თქვენ თქვენი გაქვენ, გამოკეტილი მუჭის სიმსხო ბოქლომებით, სა იყო მასე! იმ ადგილას ხუთი ცალი იყო მიდგმული გვერდიგვერდ და დაკაებული იყო თუ არა, ამას კარებზე ჩაჭიდებული თითებით ვხვდებოდით. ვაი, იმას, ვის კარებზეც თითები არ ჩანდა გარედან, ორივე მხრიდან კივილი იკლებდა იქაურობას.

ქალებს ჩვევად ჰქონდათ: მთელი ღამის ნაგროვებ ბავშვების ავლა-დიდებას დილით მთარბენინებდნენ ტვალეტში, გამოალებდნენ კარს და მიდი...  
ამიტომ ხშირი იყო უხერხული სიტუაციები და დია-

ლოგები.

– არ ქნა, არ ქნა, ფუი, დაგექცა დაბადება! რას შობი, ქალო, გედირიე? – მაგრამ ერთი სავსე „გარშოკი“ უკვე გადავლებული ჰქონდა პალუმას კალთაზე.

– უი, პალუმა, შენ ხარ? ხელს ვერ მოკიდებ მაგ კარებს? რაით მივხთე შით რომ ხარ?

– გითხრა სა მქონდა ხელი?

– მაი ერთი და მიორე? – აქირქილდენ ქალები.

– მიორე იქნება, რომ გაგიჩეჩვავ თავს მაგ ქოთნით, შე აბდალო!

მოკლედ ერთი ასეთი ჩვეულებრივი დღე იყო და კივილმა შეძრა იქაურობა.

კივილი ჩვენი ტვალეტებიდან ისმოდა. ქალებმა იქიდან ერთი ახალი დამსვენებელი, ფაშფაშა აჭარელი ქალბატონი ხელმკლავით გამოიყვანეს, იქვე გადაჭრილ ხეზე ჩამოაჯინეს და გაძარცვულის დამშვიდებას შეუდგნენ.

იმავე დღეს შეიყარა უხუცესთა საბჭო, პოლიცია და საქმის გარჩევას შეუდგნენ.

– მოყვი დანრილებით რაფერ იყო. – დაინყო პოლიციელმა და ბაბუს გადახედა.

– შევედი შით და კარები დევიკაე ხელით, მიორე ხელი კი...

– აჰ, მთლად მასე დანრილებით არაა საჭირო, ქალბატონო! – შენუხდა საზოგადოება.

– აი ხელი, რომელზეც ბეჭდები მეკეთა, მქონდა გარეთ და მიორე ხელით...

– არ გვინდა მიორე, წეილე საცხა გინდა, იმ ხელზე რამდენი ბეჭედი გეკეთა, ე მაი მოგვახსენე დანრილებით.

– ხუთი უძვირფასესი ბეჭედი მეკეთა ხუთივე თითზე, ხუთივე ბაჯალლო და ბრილიანტის თვლებით განყოფილი, მეექვსე და მეშვიდე ჩემი დედამთილის ნაჩუქარი იყო და

მისი ფასი დღესაც არ ვიცი, შუუფასებელია, ალბათ.

– ეს ყველაფერი გარეთ გქონდათ, კაცო?

– ხო და მერე ვინცხა ყაზილარმა რომ დეინახა, გარედან მიაჭირა კარებს ფეხი, წამაძრო ყველაი და გეიქცა, ვიკივლე მარა რა, აფერი ა, რა უნდა მექნა სხვაი!

– რა უნდა გექნა და შე მამაცხონებულო, თუ ამდენი სიმდიდრე გეზნია მაგ ხელზე, პირიქით ვერ დაჯეი?

– პირიქით რაფერ?

– რაფერ და ხელები შიგნით უნდა დაგეტიებია და ის გარეთ, გეიგე ახლა?

– ფუი, დაგექცა დაბადება! რას დაეხეტებიან ამ დამშეულ ქვეყანაში, ამ ტყე-ღრეში, ამ ოქრო-ვერცხლით, ვის აკვირვებთ ნეტაი, ვერ დატიე სახლში? – გაბრაზდა უხუცესი, განითლებული სახე ცხვირსახოციტ მოიწმინდა, ჯოხს ხელი წაავლო და იქაურობას დინჯად გაეცალა.

\* \* \*

ბოლი და სიცილ-ხარხარი ერთმანეთში იყო არეული, კოცონს ახალგაზრდა კაცი რომ მიუახლოვდა, ყურსასმენები შეიხსნა და ცეცხლს მიეფიცხა.

– შენ ძალაძნების ბიჭი არ ხარ? სა იყავი ამდენ ხანს, რომ არ ჩანდი? – იცნო გოგამ სტუმარი და არაყი ჩამოუსხა.

– საზღვარგარეთ ვსწავლობდი, იენაში, დავამთავრე და ჩამოვედი, ახლა, ასე ვთქვათ, ადამიანთა უფლებების დამცველი ვარ და...

სტუმარმა არაყი უყოყმანოდ გადაჰკრა და ყურსასმენებს ხელი წაავლო.

– აჰ, მაგი არ გინდა, აი მიაყოლე! რას უსმენ?

ღიმილიტ გახედა ბექამ, შემწვარი ვაშლი მიანოდა და ჭიქები შეავსო.

– ენიგმაა, ეკლესიური ჯგუფია, კარგად ისმინება, ხან რას ვუსმენ, ხან რას.

– ამას მოუსმინე, ქართული საგალობლებია. უკეთესს ვერ ნახავ, გესიამოვნება.

ბექამ ყურსასმენები არაყთან ერთად სტუმარს გადაანოდა და ნაკვერჩხლებიდან კარტოფილი ჯოხით გამოქეჯა.

– ვიცი, ვიცი, მაგარია, მაგრამ ახლა ამის ხასიათზე ვარ, ამის მოსმენა მისწორდება, არ გაგიტყდეს, ძმაო, ისე რა სხვაობაა, ორივე ხელოვნებაა, ორივეს თავისი ადგილი და მსმენელი ჰყავს, გემოვნებაზე არ დაობენ, მუსიკაა რა, მასეთ რალაცეებს ვერ ვამუღამებ, საწყენიც არაფერია.

სიჩუმე, კვამლი და ნისლი ერთმანეთში აირია. ბაბუმ კოცონი ჯოხით მიწი-მოწია, ჭიქა აიღო და დაბალი ხმით დაიწყო:

– საგალობელი მუსიკაზე მეტია, ღმერთების ქვეყნიდან ღმერთს უმღერ, ის ჩვენი განძია, ისევე, როგორც ეკლესია – მონასტრები, დამწერლობა, ენა, მამული, სარწმუნოება, სალოცავები და ისე როგორ უნდა წახვიდე კაცი ამ ქვეყნიდან, რომ თითოჯერ მაინც არ მოინახულო ისინი, არ გაეცნო მათ, არ ჩაეხუტო, არ მოეფერო, მოუარო და არ შეუნახო მომავალ თაობას. ადამიანს ერთი ასეთი თვისება გააჩნია, როგორც კი რაიმე ქონებას, ან განძს დააგროვებს, ხშირ – ხშირად უყვარს მისი თვალიერება, ხორციელ სიამოვნებას ეძლევა და მოსვენებას ჰკარგავს, მთავარია, რომელს აირჩევ ამ ორიდან, მუსიკაც არის და მუსიკაც! ერთი უბრალოდ მელოდიური ნაზავია, მეორე კი – განძია!

– გაუმარჯოს, ბაბუ, ჩვენს განძს და მათ მცველებს გაუმარჯოს, ექვთიმეს თამადაობით! აიტაცეს სადღეგრძელო.



– ე ბიჯო, დააზუსტე ექვთიმე ვინაა, თვარა სოსიკოს ჰგონია მის მეზობელს ადღეგრძელებ, ზაპრაგკაზე რომ მუშაობს.

– ეგეც ჩვენი განძის მცველია, ეგ კაცი ძველ სიმღერებს შვილიშვილებს ასწავლის, კარგი ლოტბარია და ამით ქვეყანას სულიერ სიმდიდრეს უნარჩუნებს, გაუმარჯოს ღმერთმა და დიდხანს არონიოს ამ მინაზე!

არაყმა სტუმარი გაათამამა და აალაპარაკა.

– ვიცნობ მე მაგ კაცს, ექვთიმეის ეძახიან, სუფრაზე ვერ გაჩერდები მაგასთან, ტვინი აქ ნაღებული თავისი კრიმანჭულით და ტრადიციებით, ადექი, დაჯექი, უჭახუნე, საჭმელი არ შეგერგება და საერთოდ, ბევრი რამ გადასახედია ქართულ ტრადიციებში, მე განათლება ევროპაში მივიღე და თავისუფლების ფასი კარგად ვიცი, არ მინყინოთ და აქ ყველანი შებოჭილები ხართ, ხინკალსაც არ შეგარგებენ სახინკლეში, აბა, ვისაც ხინკალი უყვარდას და იქნება მე არ მსიამოვნებს მის ჭკუაზე სიარული, იქნება არ მინდა ეს თქვენი მაღალფარდოვანი სადღეგრძელოები, ეს თქვენი კრიმანჭული, არ შეიძლება რომ უბრალოდ დავსხდეთ, ვჭამოთ, დავლიოთ, ვისიამოვნოთ და წამოვწვეთ კაკლის ჩრდილში?

– მასე უბრალოდ ეზალოს ძროხები ჭამენ ბალახს და ერთობიან ისე, რომე აფერს არ უჩივიან ერთმანეთს. – ჩაილაპარაკა გოგიამ.

– ჰო და ეზალოს ხბოსავით რომ ამოიდეbs ილიაში მამაო ჩვილ ბალანას და ნათლავს, ის ხომ ჯერ ვერ აცნობიერებს, უნდა თუ არა მას, რასაც სთავაზობენ? გაიზრდება და თავად გააკეთებს არჩევანს, აი, ეს არის ზუსტად ადამიანთა უფლებების დარღვევა და თქვენ ამას ამაყად აკეთებთ.

კოცონი ბოლმიანი კაცივით გაიგუდა, სტუმარი კვამლში გახვია, ადგილი შეაცვლევინა, იქაც გაჰყვა, წრეზე მანამ ატრიალა, სანამ ცრემლები არ ადინა, მერე ერთი მაგრად იბუთქა, ნაკვერჩხლები გარეთ გადმოყარა და ისეთი ტკაცვა-ტკუცი ატეხა, რომ თითო ნაბიჯით ყველამ უკან დაიხია.

მარტო მექი ბაბუ არ განძრეულა ადგილიდან, ნაცარში ჯოხით ჯვარი გამოსახა და სტუმარს მიმართა:

– მაგ ლოგიკით, ბაბუ, შენთვის არც მშობლიური ენა უნდა ესწავლებინათ, არც დამწერლობა, არც შენი ქვეყნის ისტორია, კულტურა, ფოლკლორი და ბევრი სხვა რამ... გაიზრდებოდი და თავად გააკეთებდი არჩევანს, გვიანი ხომ არ იქნებოდა?

ბაბუს ნათქვამმა ყველა ჩააფიქრა: სტუმარიც და მასპინძელიც, სათქმელიც აღარავის დარჩა რამე, მხოლოდ აფორიაქებული კოცონის ხმა და ბავშვების ჭრია-მული ახალისებდა გარემოს.

## შოთას გახსენება

ბახმაროზე ჩასვლისთანავე პირველი, რაც უნდა გაგეკეთებინა, დენის შეყვანა იყო.

სასწრაფოდ უნდა გეპოვნა შოთა და თუ გაგიმართლებდა, ე, მერე იწყებოდა, რაც იწყებოდა.

– ცოტა დრო მაქვენ, ჰე, დევიწყოთ ახლა! – განაცხადა შოთამ და ჩვენი ჩაბნელებული სახლების განათებას შეუდგა.

– დეიწყე მერე, აგერ ფული და აგერ შენ! – აყყვი მეც.

– ე იქიდან გამევიყვანოთ! – გაიშვირა ხელი აღმოსავ-

ლეთისკენ და ჩქარი ნაბიჯებით წავიდა. მეც მივყევი. ფერდობზე უცებ შემოტრიალდა და საქმიანად მომახსენა:

– არ გამუა მაი საქმე!

– რატომ?

– აქ დენი არაა და მიტომ! – თქვა და სამხრეთისკენ გაქუსლა. ფერდობი ქოშინით ავირბინე და ისევ მის საქმიან სახეს გადავეყარე.

– რა, არც აქ არის დენი?

– დენი კია, მარა პატრონია იმფერი, ზამთარში თოვლს არ მოგცემს, წამოი, რათ გინდა მამფერი! – უკვე ჩრდილოეთიდან მომადახა შოთამ და ისევ უკან ავედევნე ბოლო ვაგონივით. აღმართს ავასკდი, ბოძს ჩავეხუტე და იმედის თვალით მივაშტერდი.

შოთამ თვალი ამარიდა.

– რა, არც აქედან? ამხელა ბოძი რისთვისაა დარჭობილი?

– როის იყო მარტო ბოძი სახლებს ანათებდა, კაბელი არ ჰყოფნის, შორია, მაი რომ იყიდო, იმდენი დაგიჯდება, რომე სანთლის შუქზე იყო ჯობია.

– აბა, რა ვქნა? აი, იქ რომ კაბელიანი ბოძი ჩანს?

– რას ამბობ, დეინვები, 900 ვოლტია, მეტრო დაყავს მაგას. მამაშვილურად დამარიგა და რალაც ფურცელი მომანოდა, რომელიც იუნყებოდა, რომ ელ.ენერგიის მიწოდების მიზნით ყველა დამსვენებელ ბინის მესაკუთრეს უნდა წარმოედგინა ზემოთ ჩამოთვლილი საბუთები და გამხდარიყო თელასის აბონენტი.

– ამას დღესვე გავაკეთებ და მექნება!

– არ გედირიო, გიშველი რაცხას! – დამაიმედა შოთამ და ნისლიდან გამოცხადებულ კაცს ლამის ჩაეხუტა.

– შოთა თქვენ ბრძანდებით? დენის ფული მოგიტანეთ, მე საგადასახადოში ვმუშაობ, ქვითარი მომეცით

და რაც შეიძლება, მალე ჩამირთეთ დენი. შოთამ ფული ჯიბეში ჩაიკუჭა, ილლიიდან რვეული გამოიძრო, ფურცელი ამოხია, მერე შუაზე გახია, მუხლზე რვეულთან ერთად დაიდო და ლურსმული ასოებით წერას შეუდგა. „ქვითარი“–მიანერა თავში და განაგრძო:

– მე, შოთა სიხარულიძე, ლევან კვიციანიას ვართომ შუქის ფულს 50 მანათს. – ბოლოში რალაც ნიშანი დასვა და თან განმარტა: ესეც ხელისმონერაო, გაოცებულ უცნობს გადასცა და ნისლში გაუჩინარდა. ეს რა უბედურებაა, რა განუკითხაობაა! – ამოილულლულა უცნობმა და ფურცელი ნირნამხდარმა გამომიწოდა. დღესაც კედელზე მაქვს გაკრული ეს ქვითარი და ყველა შეხედვაზე ღიმილით ვიხსენებთ იმ ძველ დროს და შოთას. ღმერთმა აცხონოს მისი სული!

## ღირსება

საქართველოს რესპუბლიკას, რომელიც განვითარების უმაღლეს საფეხურზე იდგა, მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა, მედლის მეორე მხარეს „კოლონია“ ეწერა, მაგრამ ვვითარდებოდით, ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკა ვიყავით ყველა სფეროში: მედიცინაში, მეცნიერებაში, სპორტში, ხელოვნებაში, აფერისტობაში, ტარდებოდა უამრავი ტურნირი კალათბურთში, ფეხბურთში, ჭიდაობაში, ჭადრაკში და ამას სახელმწიფო აფინანსებდა. ეს ყველაფერი კი მომავალი თაობის განვითარებას უწყობდა ხელს.

\* \* \*

მმართველმა თათბირი დაასრულა. აუდიტორიას გადახედა, ნოდარი თვალებით მოძებნა და საზეიმოდ განაცხადა:

– ორ დღეში საჭადრაკო ტურნირი ტარდება და აბა, შენ იცი, შენი იმედი გვაქვს, პრემია ჩემზე იყოს! ოღონდ ერთი პირობით: მხოლოდ მოგების შემთხვევაში, ფრე და ადგილების გაყოფა არ მოსულა! ახლა გამოჩნდება შენი სიძლიერე, მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში!

მმართველს ეშმაკურად ჩაეცინა და ნოდარს სათვალის ზემოდან გადახედა.

– ასეთი რა ტურნირია, ბატონო დავით?

– ამჯერად ყველა ორგანიზაციიდან თითო კაცია მიწვეული. როგორც ვიცი, ასე თხუთმეტიოდე მოჭადრაკე გროვდება და ყველა ერთ ადამიანს უნდა ეთამაშოთ.

დარბაზი გაისუსა.

– ვინაა ასეთი? – გაისმა სიჩუმეში.

– ქალბატონ ნონას, ნონა გაფრინდაშვილს. – ამყად

ნარმოთქვა მმართველმა. ისევ ნოდარს გადახედა სათვალის ზემოდან, გაუღიმა და დაამატა:

– მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში, ჩემო ნოდარ და ეს პრემია უბრალო არ გეგონოს! საკმაოდ სოლიდურ თანხაზეა ლაპარაკი.

დარბაზმა ერთბაშად იფეთქა და აყაყანდა.

– სამწვადე ჩვენზეა! აგერ იმისთანა ღორი გვყავს გაზრდილი, შენ ოღონდ მოიგე!

– ღვინოს მე ვკისრულობ, ისეთი ციციქა-ცოლოკაური დაგალევინოთ, რომა!

– აი, ოღონდაც შენ მაიგე და ცხვარი ჩემზეა.

– მაიგებს, მა რას იზამს, ნოდარა ძიას მამგები არავინაა!

– კაცო, ეგ ნონაა, ნონა, მსოფლიო ჩემპიონია! თქვენ მურთაზა ხომ არ გგონიათ, ნიძლავზე რომ თამაშობს ხოლმე!

– ჰო, ისე დასაფიქრებელი ამბავია, ვნახოთ, ვნახოთ, ადვილი არ იქნება!

\* \* \*

მამა ოდნავ ნასვამი და ჩაფიქრებული მოვიდა სახლში. მე მის შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარებოდა, მაგრამ ნერვიულობის მიზეზი ნამდვილად გვექონდა. მახსოვს კისლოვოდსკში როგორ უმწარებდა ცხოვრებას სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ მოჭადრაკეებს. ერთმა ისიც კი ჰკითხა: – ბატონო ნოდარ, აი, მე გროს-მაისტერი ვარ, თეორიასაც კი ვასწავლი საჭადრაკო სკოლაში და რა პარტიებსაც თქვენ თამაშობთ, არც ერთ ლიტერატურაში არ შემხვედრია, საიდან ასეთი ცოდნა? ვინ გასწავლათ ჭადრაკი?

მაშინ, მამას ჩაეღიმა, თითი ცაში აიშვირა და უპა-

სუხა: – ღმერთმა!

ჩაი გავამზადე და მივუჩოჩდი.

– ნერვიულობ?

– თამაშია, რა მაქვს სანერვიულო, წაგება და მოგება ძმები არიან. უფრო აზარტია. მოგება ნამდვილად მინდა, თანაც არც ის პრემია არ გვანწყენდა, მოკლედ, მოტივაცია დიდია.

– ასეთ ტურნირებზე წაგიგია?

– კი, ერთხელ, უსინათლოთა საზოგადოების წარმომადგენელს შევხვდი ფინალში, მაშინაც სოლიდური პრემია იყო. ის თავისი ჭადრაკით მოვიდა, გაშლილ ხელს დაადებდა ფიგურებს და საოცრად კარგ სვლებს აკეთებდა. მთელი არსებით მოგებაზე თამაშობდა, ნერვიულობდა და მეც გაოგნებული ვუყურებდი მის მოძრაობებს, მოიგო და არასოდეს დამავინწყდება მისი ბედნიერი სახე,

– მოიგო, თუ შენც მიემხარე?

– ფაქტია, რომ მოიგო და მშვენიერი საჩუქრებიც გაატანეს სახლში.

– შენ რა მოიტანე სახლში, რაღაც ვერაფერს ვიხსენებ, ყველა რომ გეცოდება და...

– რა მოვიტანე და სინათლე თვალში! ზოგჯერ უნდა წააგო, რომ მოგებული დარჩე. მისი ბედნიერი სახე არასოდეს დამავინწყდება, არასოდეს!

\* \* \*

უამრავი ხალხი შეიკრიბა ჭადრაკის სასახლეში. ტურნირი დათქმულ დროზე ოდნავ მოგვიანებით დაიწყო და ორ საათს გაგრძელდა. ბოლოს სამად სამი მამაკაცი დარჩა ნონას პირისპირ. ნონამ ნოდარს ხელი ჩამოართვა, დაფას ჩაფიქრებულმა კიდევ ერთხელ დახედა, ვინაობა გამოჰკითხა და გაუღიმა.

– თქვენ პროფესიონალურ დონეზე თამაშობთ ჭადრაკს.

– არა, ქალაბტონო ნონა, მე ისე, სამოყვარულო დონეზე. ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან მოვსინჯე ძალები, წარმატებებს გისურვებთ!

– დღეს მხოლოდ თქვენ შეძელით ყაიმით დაგემთავრებიანთ პარტია, თუმცა მოგების შანსი გქონდათ და რატომღაც დასაზავებელი ვერსია აირჩიეთ.

– სწორად ვერ წავიკითხე პოზიცია. – გაუღიმა ნოდარმა. მმართველს თვალი აარიდა და ნონას თბილად დაემშვიდობა.

– კაცო, მოდი ერთი აქ. ახლა არ მითხრა, რომ რაღაც იმატრაკვეცე! – გადაირია დავითი.

– არა, არა, ვერ გათვალე! ის ხომ მსოფლიო ჩემპიონია, ბოლოს და ბოლოს, ყაიმიც დიდი მიღწევაა!

– კაცო, მე შეიძლება ჭადრაკის არაფერი მესმოდეს, მაგრამ თვითონ თქვა, ჩემი ყურით გავიგონე: შეგეძლო მოგებაო, ეს ხომ სპორტია, აზარტია, მთელი ცხოვრება სატრაბახოდ გვექნებოდა, რომ ნონას მოუგე. რა ეშმაკი შეგიჩნდა, რა ვერ გათვალე ამისთანა, ხოდა, წადი ახლა და აღნიშნეთ, გელოდება მთელი სამსახური, პრემიაზე კი ბოდიში! ჰმ, ვერ გათვალა ბიჭმა!

\* \* \*

ქეიფი მაინც შედგა, ათასი საქებარი სიტყვა გაისმოდა ნოდარის და ნონას მიმართ. ხუმრობა ხომ არ იყო, მსოფლიო ჩემპიონთან ყაიმი, იყო მოგონებები, სიმღერები, ხვევნა-კოცნა და ტრაბახი. დღეც დასრულდა, თვეც მიიღია, ამ ამბავმა არქივში გადაინაცვლა და სხვა ტკბილ მოგონებებში ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიკავა. ყველაფერი უკვე კარგად მივიწყებული გვექონდა, როცა

ერთ სალამოს კარებზე კაკუნი გაისმა და ვილაც კაცმა მამას ბატონი დავითის მიერ გამოტანებული კონვერტი დაუტოვა, რომელშიც ფული და ფურცელი იდო წარწერით: „ ღირსების პრემია “

## ერთი უზნის ჩანახატი

როგორც იქნა, მეზობლები ეზოში მოგროვდნენ. ზოგი ხის გარშემო წრეზე გაკეთებულ სკამზე ჩამოჯდა. ზოგი თავის ავტომობილს ჩამოეყრდნო, ზოგიც სხვისას და თავმჯდომარეს მიაჩერდნენ.

– მოკლედ, დიდხანს რომ არ განვალოთ, თქვენი თანადგომა და თანხმობა მჭირდება. ასფალტი უნდა დაიგოს, ლამპიონები უნდა განვაახლოთ, და...

– თანხმობას ახლავე გიცხადებთ, მარა ეს თანადგომა რა ჯდება, გვითხარი ერთი, თუ კაცი ხარ! – შეანყვეტინა ლუარსაბმა და პასუხის მოლოდინში თავის მოჩუქურთმებულ ჯოხს ჩამოეყრდნო.

– 70 პროცენტს მერია იხდის, 30-ს ჩვენ და კარგ საქმესაც გავაკეთებთ და რაც მთავარია, აი, ამ გამხმარი ხის ამბავია გასარკვევი, მოვჭრათ, თუ...

– თუ არ უნდა მაგას, შარშან უნდა მოგვეჭრა, ნაფოტები და ტოტები ცვივა. მანქანებს გვიფუჭებს, ქარშიც საშიშია, ლუდი ვერ დაგვიღევია, ჭიქა ივსება ნაგვით. – ახმაურდა სამეზობლო.

– მერიაში გვითხრეს, თუ გაზაფხულზე არ გაიხარა, მოვჭრითო, წესია ასეთი.

– ისე აყვავდა ჩვენი მტერი, ანი, ეს რომ აყვავდება! ყვავი არა ტოროლა! სალიარკა დაუუსხათ ძირში და მოგჭამა ჭირი! ან ცეცხლი მივუნთოთ ღამე, ვინ რას გაიგებს?! მერე მერიას გადახურული ხის მაგიდა და სკამები გავა-

კეთებინოთ. ლუდიც შეგვერგება, არაყიც და დომინოც! – ჩაილაპარაკა კაკაბამ.

ლუარსაბი წელში გასწორდა, ხელი ხეს მიაყრდნო, ხელჯოხი მძიმედ ასწია, კაკაბას უჯიკა და მიაყოლა: – ამ ჯოხს ხომ ხედავ, იცი, შენ სადაც მოგხვდება წვეტი და მერე სხვა ხმაზე ილაპარაკებ. ჯერ რა დაგირგავს, მოთხრაზე რომ ხარ! სალიარკა იქნება, თუ დაგიშვი!

– ისე ესეც კაი გამხმარი მანაკია და ხომ არ შეგვეტანა ამაზეც განცხადება. – კაკაბამ მძიმედ მოქნეული ჯოხი სხარტად აიცილა.

– ხომ იცით, ვისი დარგულია ეს ხე, რამდენჯერ გადაარჩინა ბაბუმ მოჭრას, 90-იანებში ფარივით იყო გადაფარებული, მერე რა, რომ ვერაა კარგად, ვერ ლაპარაკობს, თორემ ყველაფერი ესმის, გეკითხათ მაინც! – გაცხარდა ლუარსაბი.

– გაჩერდი თუ კაცი ხარ, რა უნდა ესმოდეს, ინსულტი აქვს გადატანილი, რა იცით ამ ძველმა ხალხმა ყველაფრის შენახვა და დაკონსერვება, შენს სახლში რაც გინდა, ის ჰქენი, ეზო საერთოა! ძველი უნდა შევცვალოთ ახლით, ერთი კაი კოცონი, სამწვადე და გავაცილოთ ტკბილად. აცადე ახალგაზრდებს ცხოვრება. – ახლა ქალებმა გამოიღეს თავი.

ლუარსაბი ალიკას მიუბრუნდა და ჰკითხა: – ბიჭო, რომ დაგიჩემებია ძველი შევცვალოთ, გადავადგოთ, ნაიყვანე ეგ შენი ინვალიდი ბებია და ჩააბარე, მაინც არაფერში გარგია!

– მაგან გამზარდა, ამ ხეს ადრი?

– კი, მახსოვს ორივე გკვებავდა: ერთი საჭმლით და მეორე – ჟანგბადით, ხოდა, სანამ ცოცხლები ვართ, ამ ხეს არავის მოვაჭრევინებთ! – რიხიანად წარმოთქვა ლუარსაბმა და ბაბუს ამაყად ახედა.

\* \* \*

ბაბუ ყურადღებით უსმენდა ეზოში შეკრებულ საზოგადოებას. ლუარსაბის ნათქვამი მეტად ესიამოვნა და გულიც აუჩქარდა. – მაღლობა მეგობარო, კაცი იყავი ყოველთვის და კაცად დარჩი! მაინც რა უბედურება მჭირს: გესმოდეს, ხედავდე და ვერაფერს აკეთებდე! ამის ეშინოდა ყველაზე მეტად. ლოგინად თუ ჩავვარდები, თავს მოვიკლავო, მაგრამ ვინ აცალა: ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით. რაღა აზრი ექნება აივანზე გამოსვლას?!

აქ ვიკრიბებოდით ყველა, ვმღეროდით, ვხუმრობდით, ვთამაშობდით: ნარდს, ჭადრაკს, კალათბურთს. ახლა? ახლა ჩემი შვილიშვილი კალათბურთს კომპიუტერში თამაშობს. მეცოდება მომავალი თაობა. მე კი მოვასწარი მეცხოვრა კრამიტით დახურულ სამყაროში, შემეგრძნო მისი სუნთქვა, ფერი, სიმყუდროვე და სილამაზე. არა და, ხალხიც ასეთი იყო. დღეს ეს ყველაფერი იკარგება. ბუნებრივს ხელოვნური ცვლის და სამყაროც ხალხთან ერთად მეტალოპლასტიკით ცივი ხდება.

\* \* \*

ზამთარმა თბილად გადააბარა გაზაფხულს თავისი ავლა-დიდება, სამყაროს ახალი თავისტკივილი გაუჩნდა, ვირუსმა ყველაფერი ყირაზე დააყენა, ხალხი სახლებში გამოკეტა, ზოგი სოფლის გზას გაუყენა. ქალაქელები კარანტინს და კომენდანტის საათს ჩაახუტა და აღარც ბაბუ გამოუყვანიათ აივანზე. ერთი კი ვერ მოიშალეს, ქეიფი, დროსტარება და ხუმრობა.

– რას შობი, ბიჭო, როგორ ხარ? ჭამ და გძინავს, ხომ? რომ დაგკლან, ცალი გვერდი დაბეჭილი გექნება დათვივით.

– ესაა, კაცო, ცხოვრება? ჰაერი რომ გაინმინდა, ახლა ამიკრძალებს სუნთქვა და ამიკრეს პირი!

– ბენზინი რომ გაიაფდა იცი?

– გარეთ არ გიშობენ და რად გინდა?

– ბიჭო, ჩემი ბალკონიდან ზღვას ვხედავ.

– მზეს თუ ხედავ, სოსოია, მზეს? ისე, მეგრელებს არ ერჩისო, თურმე.

– პანდემიას ძეა და მიტო!

– ძე რატოა, ეგება ასულია?

– რაის ასულია, დაგვჩინჩლა ყველა!

ამ გადაძახილებში დროც გავიდა და ხალხიც მიეჩვია ვირუსს, მობეზრდათ სახლში ჯდომა, ბავშვები ისევ ჩაიყვანეს ეზოში სასეირნოდ. ბაბუ ისევ გამოაგორეს აივანზე შალმობვეული. მეზობლები ისევ შეიკრიბნენ ხის გარშემო საჭორაოდ და გამალებით ბჭობდნენ იმაზე, თუ როგორ შეცვალა მსოფლიო ვირუსმა, როგორ გასუფთავდა ჰაერი და შეჩერდა აისბერგების დნობა, როგორ შემცირდა ოზონის ხვრელი, ბჭობდნენ ყველაფერზე, ტყუილზე და მართალზე, მოგონილზე და გაგონილზე, მხოლოდ ლუარსაბი იდგა მოშორებით, თავის დიდ ბარაქიან, მოჩუქურთმებულ ჯოხს დაყრდნობილი და მომღიმარი სახით თვალს ადევნებდა ხან აივანზე გამოგორებულ, ეტლში მიყუჟულ, ბედნიერ ბაბუს და ხანაც აყვავებულ, მწვანედ შემოსილ ხის ძირში მოფუსფუსე მეზობლებს.

## არჩევანი

- რა გქვია?
  - ლექსო.
  - შენ?
  - მე ნიკუშა.
  - მაგას რა მოუვიდა, ცუდად არის?
  - ხო, ცუდად იყო, ძლივს ჩაეძინა, ირაკლი ჰქვია.
- მაგარი მხიარული კაცია, ერთი ბიჭი ჰყავს.
- შენ ცოლშვილიანი ხარ?
  - კი, მეც ერთი ბიჭი მყავს.
  - ვა, სეკა ძმაო! მეც ერთი მყავს, ბიჭია. კარგად გვიმუშავია.
  - კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა! ჩემს სამსაც თუ მივუმატებთ, მაგარი შენაძენია ქვეყნითვინ, დრო ტყუილად არ დაგვიკარგნია, გაიგე შენა, ბიჭოუ! - ჩაერია ლაპარაკში ფიცარზე გაშვეტილი.
  - კახელი ხარ? რა გქვია? - გახედა ნიკუშამ.
  - ეგ თუ გამაიცანი, სახელსაც მიხვდები.
  - მიხო?
  - ვისთვის მიხო, ვისთვის კიდენა მიხეილი! შენ, ბიჭოუ, თვალე რა ნაბავ მანდა, სუ როგორ უნდა გეძინო, ისედაც რა ძალიან ბევრ ჩვენაი ვცოცხლობთ რო?
  - მე მეკითხები, ძამა? - მიაშტერდა მიხოს ნამძინარევი „გურულო“.
  - რას მამჩერებხარ კანი ექიმითა, შენ გეკითხები, ბალო, ცოლ-შვილი გყავს? გაგვეცან რა, კაცო!
  - „გურულოს“ მეძახიან, ისე შოთა მქვია, ცოლი შარშან მევიყვანე, ბალანეც მყავს, მეტი აფერი!
  - ბიჭია? - ჩაეძია მიხო და გაბადრული სახით თბილად გადახედა.

- შოთია გვერდზე გადაბრუნდა, ქურთუკი წაიფარა და ისე, სხვათაშორის ჩაილაპარაკა:
- ნენამ თქვა ბიჭიო და რა ვიცი მე.
  - რას ამბობ, კაცო, მაგაი მკითხავი რად უნდა, იმ ალაგასა ვერა ნახეი ბიჭია თუ გოგო?
  - რას ჩივი, ბალანა ჯერ არ მინახია, თორემ მაი მეც ვიცი, როგორ გავარჩიო დედალ-მამალი.
  - მა ბალო სადა გყავს, კაცო? - გადაირია მიხო.
  - არაა მაი შენი საქმე, სადაცაა, კაი ადგილასაა!
  - რას ვერ მიხვდი, რალაც გოგოს ამბავი უნდა იყოს, რომ დაასიეთ ეს ამდენი ბიჭები, შერცხვა და ველარ ამხელს. - გაახილა თვალეები ირაკლიმ და კუჭის თავი ხელით დაიზილა.
  - რა ეხოზე, გოგოაო? - არ მოეშვა მიხო.
  - ეხო, ძამა ხშირად ცდება, ნენაი ჯერემ არ შემცთარა, ვისაც რა უმარჩიელა, ყველას აუხდა ყოლიფერი, მე მითხრა რომე, პირველი გოგო გეყოლება, ნენა, მერე ოთხი ბიჭიო და ახლა რა გელაპარაკოთ! - გამოტყდა „გურულო“.
  - ნამდვილად იცი, რომ ფეხმძიმედაა? - მოჭუტა თვალი ნიკუშამ.
  - კი, ნენამ მითხრა, რომ... - შოთას აღარ დაუმთავრებია, რადგან ყველა იცინოდა, იცინოდა ისტერიულად, თითქოს ყველა ამ უბრალო მიზეზს ელოდებოდა მთელი ცხოვრება, რომ სიცილით გული ეჯერა, ცოტა ხანში კი, ეს ყველაფერი უცებ გაქრა.
  - რა სიჩუმეა, გოგო დაიბადა სადლაც. - ჩაიჩურჩულა ნიკუშამ.
  - შენი ხომ არ არი, ბალო, რას გაჩუმებულხარ! - ხელი გადახვია შოთიას მიხომ, თავისკენ მიიწია და მხარზე ჩაიხუტა.

– რა მურტალი მასპინძლები არიან, კაცო, ან წყალი არ გვინდა ან პური, რო დაგვყარეს ამ სპორტდარბაზში, ოლიმპიადაზე ვართ ჩამოსულები თუ რა!

დარბაზის კარი მძიმედ გაიღო, კოლკამ ხუთლიტრიანი ძირს დადგა და ლექსოს უხმო, რალაცაზე ჩურჩულით ცხარედ იკამათეს. კოლკამ საყელოში ხელიც კი მოჰკიდა, ლექსომ ჩამოიშორა და ბიჭებთან დაბრუნდა.

– მოგივიდათ ძღვენი, საიდანღაც ორასლიტრიანი ბოჩკებით დატვირთული მანქანა მოუთრევიათ, ერთი ცალი სპირტით ყოფილა სავსე, ხოდა, ჩვენც შეგვახვედრა.

– ვახ, ამი დედა ვატირეი, რა! ეგ შენი კოლკა რა კაცია, ვერ გავიგე. მაგაი როგორ ენდობი? მაიტა ერთი, მეტი რა საქმე გვაქ დილამდე! – მიხამ სპირტი მოიყუდა. სული მოითქვა, ბაჩონკა ბიჭებს გადაანოდა, თავის ფიცარზე გაიშვეტა და თავქვეშ ხელები ამოიღო.

სპირტმა ნოვოკაინივით ყველაზე ერთნაირად იმოქმედა, დაღლილობამაც თავისი ქნა და ბიჭები სადღაც შორს, ფიქრებში, გარიყა.

– აქეთ რომ მოვდიოდი ჩემი საოჯახო ალბომი დიდხანს ვათვალეირე, მასზე ძვირფასი ვერაფერი აღმოვაჩინე ჩემს სახლში და ერთ რამეს მივხვდი: მთელი ჩემი ცხოვრება ამ პატარა ალბომში იყო ჩატეული. ადგილიც კი იყო დარჩენილი, ერთი ფურცელი, ალბათ, ამ ორ გვერდზე მოთავსდება ჩემი ამქვეყნიად ყოფნის მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან რაც დანარჩენ ჩვიდმეტ გვერდზეა ჩემთვის ძვირფასი, ქვეყნისთვის სრულიად უმნიშვნელოა და უსარგებლო, თუ არ ჩავთვლი იმ ერთადერთ ბიჭს, რომელიც კაცად გავზარდე. მაგრამ ერთს და არა ორს, სამს, ან თუნდაც ოთხს, რატომაც არა, ხომ შემეძლო, ვერ გავიმეტე, ვერ დავთმე, ის ძვირფასი წლები, ჩემს

სიამოვნებას ვანაცვალე ქვეყნის და ოჯახის სიძლიერე.

– მართალი ხარ, ლექსო! ღმერთი რასაც გჩუქნის, ის უნდა დააფასო და შეირგო. იცი, ბავშვობა დედულეთში, გორში გავატარე, ლიახვის პირზე, მეზობლად ერთი პატარა მეგობარი მყავდა, მე შვიდის ვიყავი, ის – ხუთის, მამამისი სულ იმას გაიძახოდა, მთელი ცხოვრება ქეიფსა და დროსტარებაში გავატარე, ნახეთ ერთი სიბერეში რა ლომის ბოკვერი გავაკეთე, აი, ასე უნდა ცხოვრებაო! ერთ წელსაც ის ბიჭი ლოგინად ჩავარდნილი დამხვდა, გადმოვარდნილიყო და წელს ქვემოთ მოწყვეტილიყო, დათვლილი ჰქონდა დღეები. იმ წელს, ზაფხულში გულზე დასაბნევი სუვენირები დამზადდა ჰოლანდიაში გასაგზავნად, კუნძულ ტექსელზე აჯანყებული ქართველები პატივსაცემად, ისეთი საოცარი სპექტრული ფერები ჰქონდა, რომ დიდებსაც კი გაოცებულს ტოვებდა. ეს სუვენირი მაჩუქეს და ახლოს არავის ვაკარებდი. ასე გულდამშვენებული ჩავედი გორში და გამოვეცხადე ჩემს პატარა მეგობარს. ოთახში ჩუმად შემიყვანეს, სანოლთან გავჩერდი, თვალეები ძლივს გაახილა, გამიღიმა და გულზე მომაჩერდა. უცებ მოვიხსენი და ხელის გულზე დავუდე. დიდხანს ათვალეირა, მერე გამომინოდა. შენი იყოს-მეთქი- ვუთხარი და ნერწყვი ძლივს გადავყლაპე. ისეთი თვალეებით შემომხედა, რომ მივხვდი, რალაც ძალიან კარგი გავაკეთე. გულში ჩაიკრა და ჩაეძინა. ასეც გარდაცვლილა ერთი კვირის შემდეგ, ორი დღეა ყოველ ღამე ვნახულობ სიზმარში.

– ერთი მასეთი ამბავი მეც მანუხებს მთელი ცხოვრება, ჩემო ირაკლი. ერთი მეზობელი მყავდა ჯიბლაძე, ყველა ჯიბოს ვეძახდით. აი, ისეთი ადამიანი იყო, ცოლშვილს რომ ანდობს კაცი, წესიერი, დაუზარელი, ხათრიანი და ვერ მოვუარეთ. ისე უჭირდა, რომ ერთხელ სადგურზე



ვნახე ვილაცის ჩემოდნებს მიათრევდა, რომ დამინახა, ქუდი ჩამოიფხატა, მეც თვალი ავარიდე, უბანში ყველამ იცოდა, რომ ბავშვებს ამზადებდა ხატვაში, ბიჭებს ვუთხარი და ფული ავუგროვეთ ასე ხუთასი მანეთი, დაბადების დღეზე საჭმელ-სასმელით თავზე დავადექით და სუფრაც გაიშალა. ასეთი ბედნიერი ოჯახი, ალბათ, არასდროს ყოფილა, ჯიბო თამალობდა, ნინო უკრავდა, ბავშვები მღეროდნენ. დილით ჩემი და ჩამოვიდა მატარებლით და ადრიანად გავედი რკინიგზის სადგურზე. ჯიბოს ისევ მოვკარი თვალი, იმდენი ტვირთი აეჩონჩხლა, რომ მარტო ცხვირი და თვალები უჩანდა. ნერვები მომეშალა, ამდენი ფული მივეცი, ნადი რა, ერთი დღე დაისვენე, ბავშვები წაიყვანე სადმე. – გავიფიქრე და იქაურობას გავეცალე. ოთხი თვის თავზე ისევ შევხვდით სახლთან. ნასვამი იყო, ხელი გადამხვია, გადამკოცნა და სახლში ამომყვიო, მთხოვა. ავყევი, მარტო იყო. ყველი, პური, მჟავე, არაყი გამოალაგა, დავილოცე, ოთახს თვალი მოვაველე, ტელევიზორი ვერ დავინახე, ჯიბომ შემომხედა და მითხრა: – გავყიდე, მაგარი სიურპრიზი დახვდებათ რომ ჩამოვლენ, არა? წამლები ვიყიდე, შაქარი და კუჭის წყლული დამიდგინეს, მუშაობა, სიმძიმეების თრევა ამიკრძალეს, სამი თვეა ყველა ნათესავი მოვიარე, რამე მსუბუქი სამსახური რომ მეშოვა, ოჯახის თუ არა, ჩემი წამლის ფული მაინც ხომ უნდა მქონდეს?! იცი, ეს ხალხი გვერდში დგომას გადაჩვეულია, მარტო გაცილება იციან, შენი იმედი მაქვს, ნინოს და ბავშვებს ვინმემ რამე არ აკადროს! – არაყი გადაჰკრა და თავი ჩალუნა. სიმთვრალეს მივანერე, დავანყნარე და წამოვედი.

ამ ამბის მერე, ერთ თვეში, ჯიბომ თავი მოიკლა, ბევრი ხალხი მოვიდა დაკრძალვაზე. იქვე ვილაც მოხუცი ქალი იდგა ჯოხით ფეხზე მომიკაკუნა და მკითხა:

– ვინაა ამისთანა, ნეტაი, სად მუშაობდა, ეს რა ძვირფასი ხალხი მიაცილებს იმქვეყნად ბებო-ო.

– არსად არ მუშაობდა-მეთქი. – ვუთხარი.

– რას იმუშავებდა, ბები, ალბათ, ისე არჩენდნენ სანყალს, რით მოკვდაო, – მკითხა. – შიმშილით, თავი მოიკლა-მეთქი. – ვუთხარი.

ბებო ჩაფიქრდა და მითხრა: – შვილო, დღეს რომ კაცი შიმშილით მოკვდება, ან თვითონ უნდა იყოს უვარგისი, ან საზოგადოება, რომელშიც ის ცხოვრობს, აბა, ერთი შეხედე, როგორ აცვიათ, რა მანქანებით მოსულან, რა დიდებულად გამოიყურებიან, როგორ, ამათგან გვერდში არავინ დაუდგა? ღმერთო, როგორ იცვლება ცხოვრება: ჩემს ახალგაზრდობაში ამის გამო თავს არავინ იკლავდა, ყველას გვიჭირდა და ყველა ერთმანეთს ვუნაწილებდით, რასაც ვიშოვიდით, ერთი შეხედე, როგორ აწონებენ თავს ერთმანეთს, აი, ამისთვის არიან აქ მოსულები. – დააკაკუნა გაბრაზებულმა ჯოხი და მომაჩერდა.

ჯიბოს სიტყვები გამახსენდა: – ამ ხალხმა მარტო გაცილება იცის. გვერდში დგომის გაკვეთილებზე არ უფლიათ-მეთქი. – ვუთხარი და გავეცალე.

– მეც მყამდა ერთი ეგეთი ძვირფასი ადამიანი, ახლა მაგი ქება-დიდებაი არ მოყვები, მარამა, აი, ერთი შემთხვევა კი დამამახსოვრდა განსაკუთრებით. ერთხელა უცხოელი ტურისტების მთელი ოჯახი მივიპატიჟეთ სუფრასთან, მოვცხეთ და მივცხეთ ჩვენებურადა სადღეგრძელოები, მშობლების, ბებია-ბაბუებისა და მერე წინაპრებზე რო გადავედით, ამ პრაფესორმა კაცმა, ბლოკნოტი ამაილო და ჩაწერა დაიწყო, როგორა კაცო, თქვენ მერამდენე თაობაი იხსენებთ და მე რომ მოვკვდები, ვის ვემახსოვრებო, უკვირდა, ხოდა, ალექსამა ჭიქა დადგა და თარჯიმანს უთხრა: – აბა, ერთი მაგაი უთარგმნე, რომა,

ეგ ყველაფერი მანდ კი არა, სისხლში უნდა გქონდეს ჩან-  
ერილი-თქო, გაიგე შენა?

– ეხ, მოდი ამ ჯიგარი ხალხის ხსოვნა-მოგონებისა  
იყო და მომგონებელი უმყოფოი კარგათ ღმერთმა! –  
დარბაზის კარი ისევ მძიმედ გაიღო, კოლკა შემოვიდა,  
კარებთან გაჩერდა, ლექსოს უხმო, ლექსო რალაცას  
დაძაბული უხსნიდა, ხელს ბიჭებისკენ იშვერდა, თითქოს  
ხელითაც კი შეეხნენ ერთმანეთს, სახეაჭრილი მობრუნდა,  
ჩამოჯდა და თავდახრილმა ჩაილაპარაკა:

– ჩვენ შორის ჩამშვებია.

ყველამ თავი წამოწია, „გურულოს“ გარდა, სპირტი  
ისე მოკიდებოდა, მის ახალგაზრდა, დასუსტებულ სხ-  
ეულს, რომ სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა.

– არა, რა! არ მამდის თვალში ეგ შენი კოლკაა თუ...

– მაგას კარგად ვიცნობ, ერთად გავიზარდეთ, – შეა-  
წყვეტინა ლექსომ.

– მა ვინ არი, ბიჭო, ჩამშვები?

– აი, ეგ! – დახედა ლექსომ „გურულოს“.

– გაგიჟდი? შენ თუ იმას იცნობ, მე მას ვიცნობ,  
არ არის ეგ ბავშვი მაგის გამკეთებელი! – ჩაიღრინა ნი-  
კუშამ.

– აქეთ მოდით და აგისხნით, როგორი ჩამშვებიც  
არის, არ ელვიდოს! – შემოიკრიბა ლექსომ ბიჭები და „გუ-  
რულოს“ გადარჩენის გეგმა გააცნო.

\* \* \*

გამძვინვარებულები შემოცვივდნენ გაღებული კა-  
ზაკები დარბაზში, ბიჭები კონდახის ცემით წამოყარეს  
ფეხზე და წინ გაირეკეს, ნაცემი „გურულო“ უგონოდ ეგდო  
დარბაზის კუთხეში. კაზაკებმა ფეხით გადმოაბრუნეს და  
თვალეებს არ დაუჯერეს, შოთიას თვალები, ცხვირი, ტუჩე-

ბი გაერთიანებული და სისხლში ამოსვრილი ჰქონდა.

– მართალი უთქვამს ნიკალაშას, ნახე, რა უქნიათ ამ  
ბოზებს! – ამოიხრიალა „ბოვეიკმა“ და კახელოს ავტომა-  
ტის კონდახი ბეჭებში გამეჭებით ჩაარტყა.

ლექსო ჩაჩოქილ მიხოს მხარში ამოუდგა, ყველანი  
გარეთ გარეკეს და სკოლის კედელთან ჩაამწკრივეს. საკ-  
ლასო ოთახებიდან ცემა-ტყეპით გამოჰყავდათ დარჩე-  
ნილი ტყვეები, ქალები, ბიჭები, მოხუცები, ზოგი ისეთი  
წაწამები იყო, რომ სულ ერთი იყო დახვრეტდნენ, თუ  
ცოცხალს დატოვებდნენ.

კოლკა დარბაზში შებრუნდა და „გურულოს“ თავზე  
დაადგა.

– ჩქარა, ადექი, დროზე, მომეხმარე, თავს უნდა უშ-  
ველო, აღარავის ახსოვრხარ, გარეთ მანქანა გელოდება,  
აქედან გაგიყვანს, აქ საჭმელი და იარაღია ფუთაში, ახლა  
ყველაფერი შენზეა, თუ ივარგებ, გადარჩები, ტყე-ტყე  
იარე და სამშვიდობოს გახვალ!

ფეხზე წამოაყენა, მანქანამდე გამოიყვანა, ძარაზე ას-  
ვლაში მიეშველა და საბარგულზე შეაგდო, მერე მძლოლს  
ხელში რალაც შეხვეული ჩაუდო, მძლოლმა მეგობრულად  
ხელი შემოარტყა მხარზე და მანქანიანად გაუჩინარდა.

კოლკა სასწრაფოდ სკოლასთან დაბრუნდა, ბიჭები  
სხვებთან ერთად სკოლის კედელს მიყუდებოდნენ და  
ერთმანეთი ძლივსლა ეკავათ ხელით. კოლკა კაზაკებთან  
მივიდა, რალაცას გაშმაგებით უხსნიდა და ხელს ბიჭე-  
ბისკენ იშვერდა, ვილაცამ კონდახი ჩაარტყა, ნაბარბაც-  
და, ხელი შეუბრუნა, სხვებმა იარაღი გადატენეს, ერთმა  
ლულა მკერდზე მიაბჯინა, კოლკამ იარაღს დააფურთხა,  
ხელი აუკრა ლულაზე, ბიჭებისკენ გამოემართა და ლექ-  
სოს გვერდში ამოუდგა.

– ეს რა ჰქენი, გაგიჟდი? ამბის მიმტანი აღარ დარ-

ჩება ჩვენგან! – ამოიგმინა ლექსომ.

ხმაურზე შენობდიან რუსი ოფიცერი გამოვიდა, კოლკასთან მივიდა.

– რას მიქარავ, ახლავე აქეთ გამოდი, ვინა ხარ?

– ქართველი ვარ.

– სიფათი ჩვენებური გაქვს, გვარიც.

– რა გვარი ხარ?

– მიხაილოვი.

– მერე ქართველი რანაირად გახდი?

– ამას შენ ვერ გაიგებ, აქ უნდა იცხოვრო, საქართველოში, ეგ რომ გაიგო!

– ძვირი გიჯდება ქართველობა, ძმაო, ეგ შენი არჩევანია. – დამცინავად ჩაილაპარაკა და იქაურობას გაშორდა.

– კოლკა, თუ ღმერთი გნამს, წადი აქედან, ეს შენი ომი არ არის, წადი და ჩემს ოჯახს მიხედე, როგორც შეძლებ!

– ეგ უფრო ძნელია, ლექსო, როგორ შევხედო ნინა დეიდას თვალებში, მე ყველაფერი თქვენ მასწავლეთ – ქართული ენა, ცხოვრება, მეგობრობა, მეზობლობა, სიმღერაც კი. გახსოვს, როგორ მეუბნებოდით: მეგობრობა ერთი სულია ორ სხეულშიო. უერთმანეთოდ საჭმელიც კი არ გვიჭამია და ახლა სად წავიდე? მთელი ცხოვრება სანანებლად მექნება, რომ მიგატოვო ასე, ჩვენ ახლა სიკვდილი დავამარცხეთ, მეგობარო! შენ შენი არჩევანი დილით გააკეთე, ეს ჩემი არჩევანია!

ლექსომ დასისხლიანებული მაჯით ოფლი მოინმინდა და კოლკას ხელი ჩასჭიდა.

– გახსოვს, ურმულს რომ გასწავლიდით, ვილაცამ მომიყვა: თურმე გონაშვილი დედასთან ერთად ტყეში დაკარგულა და მგლების ხროვას წრეში მოუქცევია, ჯერ დედა

გადაეფარაო შვილს, ჩემით გაძლებიან და ბავშვი გადარჩებაო, მერე პატარა ჰამლეტს უთქვამს, დედა ვიმღეროთო, ურმულზე მგლების ხროვას წრე გაუხსნია, სახლამდე მიაცილეს მგლებმა დედა-შვილი, ანთებული ჩირაღდნების და ძაღლების გამოჩენაზე კი ტყეში შებრუნდნენ.

– მერე?

– რალა მერე! ვიმღეროთ, კოლკა!

\* \* \*

ნახევარ საათში მანქანა ტყის ზოლს მიუახლოვდა, გაჩერდა, მძღოლმა შოთია საბარგულიდან ძლივს გამოათრია და ტყისკენ წაიყვანა.

– ახლა შენ იცი, დავაი ბრატ, მოშორდი აქაურობას! შოთია ერთი საათი მირბოდა ტყეში, დასიებული თვალებიდან ცრემლები ღაპა-ღუპით ცვიოდა და ძლივს არჩევდა არემარეს, მერე გაჩერდა, ძირს მოწყვეტით დაეშვა და გაითიშა.

\* \* \*

თითქოს რალაცა გადართესო, დიდი რიჩაგით, შოთიას უცებ გაუნათდა გონება, ეს ნამდვილად მისი ოდა სახლი იყო, აგერ მისი პატარა დაიკოც, მისი ცოლი ნინუცა, ძაღლი, ნენაც იქვე იყო და ძველებურად დაფუსფუსებდა ეზოში. შოთია წელამდე წყალში იდგა და უკვირდა, ასე ახლოს ვარ და როგორ ვერ მხედავენო. დაყვირება სცადა, მაგრამ ხმა დაკარგვოდა, წყალს გადახედა, ახლალა მიხვდა, რომ ადიდებულ მდინარეში იდგა და მთელი ქვეყნის ავლადიდება, თუ ნაგავი ღრიალით მოჰქონდა ამღვრეულ წყალს, მარტო ერთი კამკამა შენაკადი მიედინებოდა მისი სახლისკენ. რა ახლოა, სულ რალაც სამი ნაბიჯია, აი, ვინმე რომ მომეხმაროს, გადავალ ამ წყალში და...

მიშველეთ! – მთელი ძალით ყვიროდა შოთია, წყალმა ლოდები წამოიღო, ჯერ ერთმა გაჰკრა გვერდი, მერე – მეორემ, ტოტებმა ჩაითრია, მაგრამ მოახერხა და ამოყვინთა. ახლა მორი დაეჯახა და ნაპირზე მიაგდო, ერთი ნაბიჯი ამორებდა სანუკვარ ოცნებას, მაგრამ მორევი თავისას არ იშლიდა. ისევ უკან მიათრევდა ძალაგამოღეულს, დანებდა, აღარც ხმა ჰქონდა, რომ ეყვირა, თავი ბედს მიანდო, მარტო თვალებიღა დარჩენოდა წყლის ზემოთ, სიყვარულით გასცქეროდა თავის კარმიდამოს და ის იყო ყველაფერი უნდა დაკარგულიყო, რომ შოთიამ ჯერ ერთი მუშტი იგრძნო ბეჭებში, მერე მეორე – მხარში, მერე ვიღაცამ ჯოხი შემოჰკრა, ჯერ მალლა ამოაგდო, მერე კი ნაპირს მიანარცხა, რიყის ქვებივით ხვდებოდა შოთიას მუშტები და გრძნობდა, რომ მხოლოდ ეს თუ გადაარჩენდა, თორემ თვითონ აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა. ვიღაცამ საოცარი ძალით მალლა ასწია და ნაპირისკენ მოისროლა. სამშვიდობოს გასულმა ახლალა შეამჩნია მორევიდან დაქნეული ხელები. რა დროს დამშვიდობებაა, ამოდით ნენაიც სახლშია, სუფრას მივუსხედეთ, ასე როგორ გაგიშვათ, თქვენ ხომ გადამარჩინეთ! – ყვიროდა შოთია, უცებ ხელისგულებზე სახეები გააჩნია და დამუნჯდა. ბიჭებო, თქვენ? თქვენ ხართ? კახელო, ამოდით რა, ლექსო, ნიკუშა, იკა, დედას გაფიცებთ, ამოდით! უთქვენოდ რა ფასი აქვს ამ სუფრას, მარტო ხომ არ დავლევ? ამოუჯდა გული შოთიას და ცრემლები ლაპალუპით გადმოცვივდა, ამღვრეული თვალებით მხოლოდ ბუნდოვნად ხედავდა ბიჭების მომღიმარ სახეებს და შორიდან ესმოდა მათი ხმები:

- სანამ შენ ახვალ, ჩვენ მანდ დაგხვდებით...
- არ გენყინოს, „გურულო“, ცოტა მაგრად კი მომივიდა, მაპატიე...

– ბიჯოუ, რაო, როგორ გითხრა ნენამა: ოთხი ბიჭი გეყოლებო? ხოდა, თუ მართალი გამოდგა, ადექი შენც და ჩვენი სახელები დაარქვი, გაიგე?

- აქ აღარ დაბრუნდე, არა, აღარ დაბრუნდე!!!
- დავარქმევ, აბა, არ დავარქმევ, კახელო, გპირდებით, თქვენ შემოგეველეთ, ხელისგულებზე როგორ დაეტიეთ ამხელა ხალხი, ბიჭებო! – ბლაოდა შოთია და უხაროდა, რომ ზურგს უკან მისი ლამაზი სახლ-კარი ელოდებოდა.

### ფოტოშოპი მეგრულად

მახარე და კაცია ჩაფიქრებულები მიუყვებოდნენ ქუჩას. ერთმანეთისთვის არც კი შეუხედავთ, ისე უხმოდ გაიარეს მთელი უბანი. ის იყო მარკეტს გაუსწორდნენ და მათი ახალი სამსახურიც გამოჩნდა, რომ კაციამ უცებ მახარეს გასაგონად ჩაიბურღლუნა:

- ახლავე მოვალ მე.
- სად მიდიხარ, წიე, მოვედით უკვე! – უნდობლად ჰკითხა მახარემ.
- ერთი ნუთით მარკეტში შევალ, რა იქნება! პახმელიაზე ვარ, რაღაცას ავიღებ და მალე გამოვალ, თან სიურპრიზი მაქვს შენთვის, ვიცი, რომ გაგიხარდება და თანაც როგორ, კიდო იტყვი მერე არაფერს აკეთებო? – მაღაზიის კარებთან დაამთავრა წინადადება კაციამ და გაუჩინარდა.

ორმეტრიანი გამყიდველი ოფელია ზურგით იდგა და მაცივარზე ჩამოკიდებული სარკის წინ პუდრას გამეტებით იფრქვევდა ანითლებულ ლოყებზე.

- ორი ბოთლი შამპანი, თუ შეიძლება. – მორიდებული ტონით მიმართა კაციამ.

– აიღე! – არ მობრუნებულა, ისე უპასუხა ოფელიამ, პომადას ელვის სისწრაფით თავი მოხსნა და იერიში ტურჩებზე მიიტანა. კაციამ მიმოიხედა, შამპანური ვერსად დაინახა და გაოცებულმა იკითხა:

– რომ არ არის?

– შენც რაც არის, ის აიღე! – ისევ ზურგით დარჩა გამყიდველი. კაციას სიბრაზისგან სახე აელენა, მაგრამ უცებ ალღო აუღო სიტუაციას, ცალი თვალი ოდნავ მოჭუტა და დაიწყო.

კითხვა-პასუხი დაკითხვას დაემსგავსა.

– გულ-ღვიძლი გაქვს?

– არა!

– ნეკნები?

– არა.

– ბარკლები?

– არა.

– იტყუები! – შეათვალიერა წელს ქვემოთ კაციამ ოფელია.

– არ მაქვს-მეთქი! – ტურჩებში გამოსცრა გამყიდველმა და თან პომადას სამი წრე დაარტყმევინა წალმა-უკულმა.

– რძე თუ გაქვს? – არ მოეშვა კაცია.

– არა.

– ხობ, როგორ გიდგია სული, არც ჯიგარი გაქვს?

– არა!

– ტვინი თუ გაქვს? – მიაგნო გამანადგურებელ კითხვას კაციამ და სარკეში ოფელიას გამჭოლ მზერას გადაეყარა, ორი ნაბიჯით უკან დაიხია და უმანკო სახე მიიღო.

– რის ტვინი, რა ტვინი! – შეაჩერა პომადის მარშრუტი ოფელიამ. სარკიდან კაცია მოჭუტული თვალებით მიაჩერდა და ყოველი შემთხვევისათვის ხორცის გაუქმებულ სექციას გახედა.

– საქონლის! აბა, თქვენ რა გეგონათ, პატივცემულო! – ნიშნის მოგებით ჩაეძია კაცია.

– მე რა მეგონა, ახლავე გაჩვენებ, დაცვას თუ დავუძახე! გამსკდარხარ ამ დილაუთენია, თქვი დროზე რა გინდა! – ჩაუსისინა ოფელიამ.

– რა უნდა მინდოდეს, რა? ნეკნები შენ არ გაქვს, გულ-ღვიძლი, ჯიგარი, ტვინი და არც ზრდილობა კიდო! – გაცხარდა კაცია.

– ის მაინც ხომ გაქვს, ის... – გახედა პურის თაროებს და ვერ გაიხსენა შოთი და ლავაში კაციამ.

– აი, ის ორი მრგვალი და ერთი გრძელი, იქნებ არც ეგ არ გაქვს?

კაციამ წინადადება ველარ დაამთავრა, რადგან ლოყაზე ოფელიას ხუთი თითი ეხატა და ახლა მის წინ ერთის მაგივრად სამი ოფელია იდგა.

მახარეს მოთმინების ფიალა ავესო, ის იყო მარკეტში შესვლა დააპირა, რომ უცებ კარები გაიღო, ორმა მუტრუკმა კაცია გარეთ გამოისროლა და გაუჩინარდა. კაციამ ინერციით, მოხრილმა გამოირბინა ტროტუარი, გაზონებს გადაახტა, მახარეს წელში შეუვარდა, მალლა ახედა და ჩაილაპარაკა:

– მე მხოლოდ სიურპრიზი მინდოდა შენთვის, წიე, ვიფიქრე, შამპანს ავიღებ პირველი კლიენტის გასტუმრებას აღვნიშნავთ, ისე დიდი გათახსირებული ხალხი მუშაობს ამ მარკეტში, წიე, განსაკუთრებით ის, რომ ჰყავთ, ის, ოპელია თუ ჯიპია, რამხელაა ის უპატრონო!

– არ მომწონს მე შენი სიურპრიზები და არ მჭირდება! უჩემოდ არაფერი გააკეთო, თორემ ნავალ იცოდე მე და იყავი მერე მარტო, რა უბედურება ჩაიდინე ისეთი, ასე მწარედ რომ გამოგადგეს გარეთ? – ჩამოიშორა მახარემ კაცია და გზა განაგრძო. კაცია ცოტა ხანს უხმოდ მი-

ჰყვებოდა დამნაშავე ბავშვივით, მერე ენა ამოიდგა.

– ყველა საქმეში მთავარი რეკლამა ხომარა? ხოდა, ისეთი რეკლამა მაქვს მოფიქრებული, რომ ჩვენი „ზემლიაკები“ ხომ მოვლენ და მოვლენ, ახლა სხვებიც დაინტერესდებიან რომ ნაიკითხავენ – ნეტავ, რა არის ასეთიო და შემოვლენ, თუ არ შემოვლენ, შემოიხედავენ მაინც, აი, აქ კი ჩვენ უნდა ვივარგოთ.

– და რა უნდა ვქნა, რომ ვივარგო, ვტაცო ქეჩოში ხელი და შემოვართო, თუ როგორ მოვიქცე?

– არა, ნიე, ეგ როგორ გეკადრება! პირიქით, გაუღიმე, მოეფერე, მოიკითხე, გამოელაპარაკე, მოკლედ, ჩემი რეკლამა ანკესზე წამოცმული ჭიაყელაა. ჩვენ კი მეთევზეები, მოქაჩე და შენია! ესაა სულ მთელი ფილოსოფია, ნიე, აბა?! – ამოიდგა ენა კაცია.

– რას ბოდილოვ, კაცო, შენ! აქ სათევზაოდ მოხვედი თუ სამუშაოდ? მაჩვენე ერთი რა რეკლამა ამისთანა.

– სიურპრიზი! – ამაყად ჩაილაპარაკა კაცია.

– სიურპრიზი კი არა ის კიდო, არ ვნახო აქ უჩემოდ რამე გააკეთო, არ მომწონს მე ეს შენი სიურპრიზები! – ნერვიულად ჩაილაპარაკა მახარემ და დიდი ჯაჯგურის შემდეგ კარები ძლივს გააღო, ოთახში ნესტის სუნი იდგა, კომპიუტერი ჩართო, იქაურობა შეათვალიერა, მზერა კედელზე ჩამოკიდებულ სურათზე შეაჩერა და იკითხა – შედეგია?

– არა, ეს ჩვენ ვართ გადაღებული დადიანის სახლ-მუზეუმში, სტუმრებთან ერთად.

– რა სტუმრები, ნიე, აქ მარტო ცა და ღრუბლებია!

– რა მოხდა, თუ იცი: ფოტოგრაფი იყო მთვრალი, რომ დაგვაყენა პოზაში, უკან დაიწყო დახვევა, თან ობიექტივს გვიმიზნებდა, წამოდო ფეხი ბარდიულს და სანამ დაეცემოდა, სულ ჰაერში აჩხაკუნა აპარატი, სამი ნაკერი

დაადეს თავზე, აბა?! ამ სურათს დიდი ისტორია აქვს, დიდი, შენ კიდო მეუბნები ჩამოხსენიო, იცი რა ქალები დგანან ამ ცის ქვეშ?

– შენ ბოლოს როდის გაესინჯე ექიმს? – ჩაიქირქილა მახარემ. – მეორე კვირაა უკვე და სულ ერთი კლიენტია მოსული, შენ კიდო ფხიზელი არ მინახიხარ, ასე არ გამოვა მუშაობა, თაროები არ დაგიმაგრებია, ისევ მოწყეულია შენი ტვინივით და რაა ეს, რამდენჯერ უნდა აღნიშნო? რა დიდი საქმე ჩვენ დავიწყეთ, ა? ხვალთან თუ კიდო მოხვალ ნასვამი, მე აქ ველარ ვიმუშავებ, ნიე! – მკაცრად გააფრთხილა მახარემ და ქურთუკი მორყეულ ლურსმანზე ფრთხილად ჩამოჰკიდა. კაცია ხელები „პლიტას“ მიუფიცხა და თავის მართლებას შეეცადა.

– ხოხ, არავინ რომ არ მოდის, რისი ბრალია თუ იცი შენ? როგორც დაიწყებ, ისე წავა მთელი წელი ჩვენი საქმე, ხომ ვამბობდი ერთი ბოთლი შამპანი მივაფშვნათ კარებზე, რა იქნებოდა ბრატი? ხოდა, როგორც ჩუმად და უბარაქოდ შემოვედით, ისე გავატარებთ მთელ წელს, ნიე!

– რა შამპანი, რის შამპანი, კაცო, გემია ეს ოხერი? ერთი კიდო დალევ და მართლა წავალ აქედან, ოფისია თუ ტარის პუნქტი? – გადახედა კუთხეში დაგროვილ ბოთლებს მახარემ.

– რა კაცია, მე კარგი მინდა და ვცდილობ. მაგალითად, აგერ ჩემი მეზობელი რომაა ჭაჭუ, იმან ახალ სახლობაზე მასე ქნა დაახლოებით. ავიდა მეორე სართულზე, კარებს მიაფშვნა ერთი ბოცა ღვინო და მთელი ბალკონი ჩაბანა სულ, მერე მთელი წელი სუფრა იყო გაშლილი და სად თუ იცი, ნიე? – აივანზე, აბა?!

– ხო, ვიცი მე ეგ! ჭაჭუ ლოთია შენსავით, იმას არ ჰყვები ოცლიტრიანი ბოცა რომ გატეხა და სტუმრები

ულვინოდ დატოვა?!

– სამაგიეროდ, მთელი წელი ხომ გაატარა კაცურად სუფრასთან, თამალობაში, ბოლოს ისე შეუყვარდა ყველას ეგ ბალკონი, რომ მოგვაქირავეო, ეხვეწებოდნენ. კი, ნამდვილად!

– ვერა ხარ შენ, ხომ იცი! – ჩაილაპარაკა მახარემ და კარებთან მონრიალე ქალებს გადახედა.

ოთახში ორი უზარმაზარი ქალბატონი შემოვიდა, მონიტორთან მიმჯდარ მახარეს თავზე დაადგა.

– ეს რა სიმახინჯეა, რა გამოატანეთ ჩემს შვილს, ამით ვინ გაუშვებს საზღვაგარეთ, არ შეგეძლო ჩაგესნორებინა ეკრანზე? ან თმები რას უგავს, ან თვალები, ცხვირი, ან რა ფონია ეს! – აკაკანდნენ ქალები და სურათები მაგიდაზე დაყარეს.

კაცია სურათს დააშტერდა, ერთ ხანს ასე იყო, მერე თვალები გაუნათდა და ჩაილაპარაკა:

– ხოხ, ახლა ფონი სტანდარტია და აბა ზუგდიდის ფონზე ხომ არ დავბეჭდავდი?

– ვის რა თავში სახლელად უნდა შენი ზუგდიდი, ბავშვი ანსამბლს მიჰყავს, ბრწყინვალედ მღერის, ცეკვავს და ამ მახინჯი სურათით სად გავუშვა, ენაცვალოს მამიდა!

– არა, ალბათ, კარგად მღერის რომ მიყავთ, მაგრამ, აი, ბებიაჩემი რომ გიტარას ჩამოჰკრავდა და იმღერებდა, ისეთ ჰანგებს გამოსცემდა, რომ „ია ევო მამუ“, აი, ის იყო სიმღერა!

ქალებმა ისე გადახედეს კაციას, რომ მახარე მიხვდა, კაი არაფერი მოხდებოდა და სიტუაციის განმუხტვას შეეცადა.

– აი, ქალბატონო, თქვენი შვილის სურათი საწყისი, კიდო კაი რომ არ წავშალე, რას ჰგავს თუ ხედავთ, ერთი არ დამიბანია, თორემ სხვა ყველაფერი გავუკეთე, რა არ

მოგნონთ, მაგალითად. თმები შევუსწორე?! კი, ბატონო! ნარბ-ნამნამი ხომაა დამოკლებული? კი, ასეა! ა, კიდო ყურებსაც რამდენი აქვს მოკლებული, სახე? ისეთი შავი იყო, ძლივს გავათეთრე, ახლა რასაა ეს რომ მეუბნები: შუბლი დააგრძელე, მოკლეაო, ისედაც სახელი და გვარი დარჩა მარტო და მაგას კი არ გამოაბრუნებენ, დაიჭერენ, თუ გინდათ, ნიკაპსაც დავუმოკლებ კიდო!

ამასობაში კაცია წამოინია, სურათს დახედა, ჯერ თვალები გაექცა, თავი მოუყარა, დააკვირდა და ემოცია ვერ დამალა: – „უჟას!“ – ჩაილაპარაკა და ხმამაღლა დაინყო:

– ხოხ, ეტყობა მართლა კარგად მღერის ეს ბავშვი, თორემ...

– მღერის და კიდო ცეკვავს, – შეაწყვეტინა მახარემ და ანიშნა გაჩერდიო.

– ხოხ, თუ ცეკვავს...

– დიახაც, ცეკვავს და შენ ნონა ფულს ახარჯავს მამისი. მაგას სიზმარშიც ვერ ნახავ, შე უბედურო, ირონიულად რომ მიჩერებიხარ ამ ანგელოზივით ბავშვს.

– რატომ მიკარგავთ ანგელოზებზე შთაბეჭდილებას ქალბატონო? „თევს ნამ ქიანა მიშაშკვანს მუშ ტერიტორიაში“ – ჩაიბუტბუტა კაციამ.

– ენაცვალოს მამიდა, ერთ რამედ ღირს, მაგი რომ გამოვარდება სცენაზე ნახტომში, ხანჯლით ხელში.

კაციას თვალები შუბლზე აუვიდა.

– ხოხ! რასაა რომ ამბობთ, ქალბატონო, პირველი გამოდის კაცო? ნახტომში? ვავა, ხანჯლით ხელში? ხოხ, საცოდავი ვინც პირველ რიგში ზის! – მახარემ ისევ ანიშნა გაჩუმდიო.

– რა უნდა გავჩუმდე, კაცო, უცებ წარმოვიდგინე და ავღელდი.

– ვინაა შენი დასაცინი, შე გათახსირებულო! – უკივლეს ქალებმა, ნაკუნებადქცეული სურათები მეგრელებს თავზე დააყარეს და კარები ისე გაიჯახუნეს, ოთახი შეზანზარდა, ჯერ ზედა თარო წამოვიდა გაჯითა და თავისი ავლა-დიდებით, იმას მეორე თარო მოჰყვა თავისი წვრილმანით, გაფუჭებული ქსეროქსით, მერე ნიგნები, ქალაღები ჩამოიშალა და ორ წუთში კაციას დაახვავდა თავზე, უკან გადავარდა და გროვამი ჩაიმალა.

– უმადურები, რაც ჩვენ მაგის გადაკეთებაში ვინვალეთ, ახლის გაკეთება არ ჯობდა მაგას? კი, ნამდვილად! – ის იყო კიდევ რალაცის თქმა დააპირა, რომ კედელზე შემორჩენილი გაჯის დიდი ბელტი გადმოვარდა და გროვას ზედ გადაეფშვნა.

– ხოხ, არ წასულხართ კიდო? მორჩა, ჩუმად ვართ, ხმას არ ვიღებთ, რაა ეს, კაცო, ამხელა რალაცეებს რომ ისვრით, ქალები ხართ, თუ მხეცები... გამომიყვანეთ აქიდან, რა იქნება!

მახარემ მტვერი გადაიფერთხა, მონიტორი ილღიაში ამოიჩარა, ნაგვის გროვას უაზროდ გადახედა და კარები გაიბრახუნა. ის იყო სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, რომ კეფაში მწარე ტკივილი იგრძნო და თვალებზე ბინდი გადაეკრა, გონს რომ მოვიდა, მახარე ძირს იჯდა, მონიტორი იქვე ეგდო, ხელები ჩარჩოში ჩასმულ სურათზე ენყო და უაზროდ იყურებოდა. ყურები უწიოდა, წინ მოფუსფუსე ხალხს აბნეული თვალებით გახედა, მაგრამ ვერავინ იცნო. ვილაცამ სველი ცხვირსახოცი თავზე დაადო და ჩაილაპარაკა: რად უნდოდა ამ პატარა წარწერას ამხელა რკინის ჩარჩო, კინალამ არ მოკლა კაცი? მახარემ აბრა ოდნავ წამოწია, დაამტრედა და ძლივს ამოიკითხა: „ფოტოშოპი მეგრულად“, – კუპატია ეს ოხერი? – ამოილულლულა და თვალები ცას გაუშტერა.

## დაკარგულები

*„ადამიანი სიკეთის გზაზე იქამდე თუ ვერ მიდის, სადამდეც შეუძლია, ეს მის პირველ აღმზრდელთა ბრალია“.*

ბრუიერი

მეგობარს ხშირად ვსტუმრობდი უბანში. იქ ერთი პატარა ბიჭი იყო, ყველა თავს ევლებოდა, პატარა კოტიტა ხელებით სულ რალაცას ფცქენიდა, არჩევდა და პირს აცმაცუნებდა. მოფერებით ყველა „კვეცი“-ს ეძახდა, კვერცხისა და გოგლი-მოგლის დიდი სიყვარულის გამო. დაბერილი მუცელი, მეზურნის ლოყები და ლამაზი, მაგრამ არაფრისმთქმელი თვალები ჰქონდა. მამა თანამდებობის პირი იყო და ბავშვს არაფერს აკლებდა, როგორც უბანში ამბობდნენ, ორ ოჯახს არჩენს, ორ ბიჭს ზრდის და კაციც ეგა ყოფილაო. უბანში თვეში ერთხელ გამოჩნდებოდა ხელდამშვენებული, ბიჭებთან არაყს და ლუდს ჩადგამდა, ჰოდა, იყო მერე ერთი ჟრიამული, კარგა ხანს ჰყოფნიდათ ეს კაცი სადიდებლად. ერთხელ მეც ვიყავი ასეთი სუფრის წევრი, ჩაკიდულმა თავისი გაიტანა, ლამის ყველა მლიქვნელად აქცია, თემა ერთი იყო: მამა-შვილი და მათი ნათქვამ-ნამოქმედარი. იქვე სადარბაზოდან მეზობლის ქალი გამოვიდა და გაჩერებისკენ წავიდა.

– მამა, მამა, ნახე, ნახე, ის ქალია, შენ რომ გევასება.

– რაა? შენც ხომ არ გევასება, შე მამაძაღლო! – და მამამ შვილს ხელი ფეხებშუა მოუთათუნა.

ვილაცამ გადაიხარხარა, ვილაცა ჩაბჟირდა. ისე კი სუფრას უხერხულად გაელიმა. – მაგარი კაცი იყო მაგის ქმარი, პატიოსანი ქალია. – კბილებში გამოსცრა ერთმა



და სუფრა დატოვა.

– ცუდად რა ვთქვით, რო? ქალია რა, ვინც კარგად აცხოვრებს, იმისა! – ხელი გადახვია შვილს და ჩამოასხა, – მოდი, ამ ჭიქით კაცობას გაუმარჯოსო და თქვენი თამაღობითო. – სუფრამაც არ დააყოვნა.

ავტორიტეტი თუ ქონება მშვიდ უბნელებს თავის ჭკუაზე ატარებდა ან პირიქით, ერთი წველიდა მეორეს. სახლისკენ დამძიმებული წამოვედი. ჩემი ძველი უბანი და ბავშვობა გამახსენდა: 70-იანი წლები იყო, ასე მე-5, მე-6 კლასელებს სკოლის მერე ჩვენს პატარა ბირჟაზე გვიყვარდა შეკრება. ოპერის პირდაპირ, ჭავჭავაძის აღმართის ბოლოში, დავსხდებოდით და ვარჩევდით ქვეყნის ამბებს, თან მთელ ქუჩას ზემოდან დავყურებდით. ჩემი მეზობელი ქალი ამოდ ცდილობდა, ტაქსის გაჩერებას, ერქარებოდა, მაგრამ სხვები ასწრებდნენ და ასე დარბოდა ქუჩის ერთი კუთხიდან მეორეში. უცებ თავზე ძია ვასო დაგვადგა. ძია ვასოს უყვარდა ჩოხა-ახალუხითა და ქამარ-ხანჯლით სიარული და ვაი, იმისი ბრალი, ვინც ქართულში რუსულ სიტყვებს გამოურევდა, სჯობდა იქაურობას გასცლოდა, თორემ მის რისხვას ვერსად გაექცეოდა.

ყველანი ფეხზე წამოვდექით, მივესალმეთ და თან დავაყოლეთ, რომ გაკვეთილები უკვე ნასწავლი გვექონდა.

– ამ ქალს თუ ხედავთ, რომ წვალობს და ტაქსი ვერ გაუჩერებია, რას ზიხართ აქ უსაქმურად, ეს არის თქვენი კაცობა? ქალის პატივისცემას სახლში არ გასწავლიან? – დაგვტუქსა ძია ვასომ, აღმართზე ამოსულ მამაჩემს ხელმკლავი გამოსდო და სახლისკენ გაუყვინენ ლაპარაკით.

უცებ გავიშალეთ ქუჩის ყველა ჩამოსახვევთან და ორ წუთში, ჩვენი ბედნიერი მეზობელი ტაქსით გავამგზავრეთ. მერე ძია ვასოს და მამაჩემს წამოვეწიეთ და ამაყად

მოვახსენეთ შედეგები.

ორივემ ცოტა ხანს გვიყურეს, მერე კი მამაჩემმა მკითხა: – ფული თუ გადაუხადეთო, – დავიბენით. შექების მაგივრად უხერხული კითხვა მივიღეთ.

– აბა, საიდან ჩვენ ტაქსის ფული? – ამოვლერღე.

– რა, მითხარით და არ მოგეცით? მაგრამ ვერ მოიფიქრეთ, ქართველები ხართ ახლა თქვენ? რა გვარებს აფუჭებთ!

ორივემ ირონიულად გადმოგვხედა და წავიდნენ.

1992 წელმა მძიმე დღეები მოუტანა საქართველოს. ძმათა მკვლელმა ომმა დაისადგურა ქვეყანაში და თბილისი მიწასთან გაასწორა, განუკითხაობა, შიმშილი, შიში, მომრავლდნენ შუბლზე ძარღვგანყვეტილი ადამიანები, აჩაჩულ-დაჩაჩული მთვრალი გვარდიელები, იარაღ-ჩონჩხილი მხედრიონელები და საძმოები, რომლებიც წარმატებით ძარცვავდნენ ყველას, ყველაფერს და თავს იმითი იმართლებდნენ, რომ თურმე ეს ომის კანონი ყოფილაო.

თავისუფლების მოედანი მეტროსთან ავტობუსით იყო გადახერგილი: ერთ მხარეს ზვიადისტები იდგნენ, მეორე მხარეს – გვარდიელები და მხედრიონელები. ძია ვასო მეტროს წინ იდგა და თვალს სინანულით ადევნებდა დაძაბულ სიტუაციას, უცებ ერთ-ერთი მხედრიონელი ძირს დაწვა, კამაზის ქვეშიდან ავტომატის ჯერი გაუშვა, დააკვირდა, მერე ფეხზე წამოხტა, ავტომატმემართულმა ხტუნვა დაინყო და თან ყვიროდა: გავარტყი, გავარტყიო!

ძია ვასოს სახე წამოენთო, ხელებმემართულ მებრძოლს მივარდა, ფარაჯაში ჩაეჭიდა, შეანჯღღრია და უღრიალა:

– სად გაიზარდე, ვინ მოგწამლა, რა დედამ გმოზა?

იქითაც ხომ შენი სისხლი და ხორცი დგას, რამ გაგა-  
ბოროტა ასე, იქითაც ხომ ქართველები დგანანო.

ჯარისკაცებმა ძია ვასო კონდახებით მოაშორეს დაბ-  
ნეულ მებრძოლს და თან მიაყოლეს: აქ ყველა ქართველე-  
ბი ვართ, გეტყობა, იქით შენი გაზრდილები დგანან, მო-  
შორდი აქაურობას, თორემ მაგ ხანჯალს...

ძია ვასოს ხელი მოვხვიეთ და იქაურობას მოვაშო-  
რეთ, სულ ერთიანად ცახცახებდა, ხელები ხანჯალზე  
ჩადუღებოდა და გული ამოვარდნას ჰქონდა. მასთან ეს  
ჩემი ბოლო შეხვედრა იყო, ერთ თვეში ინფარქტით გარ-  
დაიცვალა.

სამგორის მეტროში ერთი ჩოჩქოლი იყო, ნასვამ  
გვარდიელებს მოხუცისთვის მთელი შეკვრა იები წაერთ-  
მიათ, შამპანურები და სიგარეტები ილიაში ამოეჩარათ,  
და გაჰყვიროდნენ: – ჰაა, ბიძაჩემო, ამ იებს შენი სახელით  
ქალს მივართმევთ, რამე პრეტენზია ხომ არა გაქვსო.

– იმ ქართველი კაცის დედა ვატირე, არამად ნაშ-  
ოვნით რომ ქალთან ავა, ან ოჯახში შევა. მაგ ფულითა  
დღეს პური და შაქარი უნდა მეყიდა. – ჩაილაპარაკა შემ-  
ინებულმა მოხუცმა და თვალეზრემლიანი ქვაზე ჩამოჯ-  
და.

სანზონაში ამოვედი და მეგობარს დაველოდე. იქვე  
ორ ბიჭს კვერცხის ყუთები შემოეწყოთ და ვაჭრობდნენ.  
ხალხი კანტი-კუნტად თუ მივიდოდა მათთან და თითო-  
ოროლას თუ იყიდდა ვინმე, ყველას უჭირდა. ბიჭებს მან-  
ქანიდან ავტომატიანი მხედრიონელები ყარაულობდნენ,  
ცოტა მოშორებით კი შაოსანი ქალბატონი იდგა, რომელ-  
იც კარგა ხანს ყოყმანის შემდეგ, მათ მიუახლოვდა და  
მორიდებით გატეხილი კვერცხის გული თხოვა.

– შვილო, შენი ტოლა გოგო მყავს ავად, ფული არა  
მაქვს, ორი კვერცხის გული მინდა წამლისთვის და იქნება

დამეხმაროთ, ღმერთი შეგეწევათ.

– რაო, ქათამიც ხომ არ გინდაო? რაც აქ დგახარ,  
ვერაფერი გავყიდეთ, თარსი ხარ! – და აღარ გაჩერდნენ  
ბიჭები, აკაკანდნენ და თან ავტომატიანებს გადახედეს.  
იმათაც მკაცრი გამომეტყველებითა და ავტომატის ლუ-  
ლით ანიშნეს ქალს, მოშორდიო.

– შვილო, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, ხომ შეი-  
ძლება ერთმანეთს შეხვდეთ, შეგიყვარდეთ, შეუღლდეთ  
და მერე კი არაჯანმრთელი შთამომავლობა გყავდეთ. ეს  
ყველაფერი ღირს კი ერთ კვერცხის გულად? – ეცადა  
გულის მოღობობას ქალბატონი.

ბიჭებს თვალეზრემლიანი ხელებით აუვიდათ: – გწყევილი, შე  
დამპალო? შენი დედაც, გაეთრიე აქედან! – იყვირა ერთ-  
მა და გატეხილი კვერცხის გულებით გავსებული ჭიქა  
გადამალა. ბებიაშენისამ, მე ვერ შევჭამ რა, შენისთანა  
მათხოვარი ბევრი მოდის!.

ამასობაში ჩემი მეგობარიც გამოჩნდა, „კვერცხებს“  
ზიზლით გადახედა და თან მოაყოლა: მაგარი ახვრები არ-  
იან, როგორც ამბობენ, ფულიანი მამა ჰყოლიათ, არაფერი  
აკლდათ, მხედრიონელებს შემოაკვდათ მამა მაგათი, ახლა  
ამათ წართმეულ, ნაყაჩაღარს რალაცეებს აყიდვინებენ.

მეტროში ჩავედი, ხალვათობა იყო, წინა ვაგონი  
ცალფეხა, ახალგაზრდა მათხოვარმა დაიარა, გაჩერებაზე  
ჩვენკენ გადმოვიდა, ვაგონი უიმედოდ გამოიარა, ჩვენი  
ორმოცი თეთრი ჯიბეში ჩაიღო, მაღლობა გადაგვიხადა  
და ამასობაში დიდუბეშიც შევედით, იქვე უსინათლო დე-  
და-შვილი ჩონგურზე უკრავდა და მღეროდა. ჩავედით,  
ხურდა ჩავუყარეთ კალთაში და ვაგონში შევბრუნდით,  
ჩვენი მათხოვარი მომღერლებთან იდგა და გარინდული  
უსმენდა სევდიან ჰანგებს, მერე ჯიბეში ხელი ჩაიყო,  
მოიჩხრიკა, ხურდა ამოიღო და კალთაში ჩაუყარა.

მატარებელი დაიძრა. გონებაში ცალფეხა მათხოვარი და კვერცხის გამყიდველები ერთმანეთში ირეოდნენ. მეგობარს გადავხედე, ისიც სადღაც შორს იყო ფიქრებში წასული. ხომ არ იცი, იმ ბიჭების მამას რა ერქვა, ნაცნობი სახე აქვს და ვერ ვიხსენებ-მეთქი. – შევეკითხე.

– მამას არ ვიცი რა ერქვა, მაგრამ აი, აქეთ რომ იდგა, იმას ბავშვობაში მოფერებით „კვეცი“-ს ეძახდნენ და დღემდე შემორჩა ეგ სახელიო. – მიპასუხა.

## სტუდენტური ესკიზები

მე და ჩემი თაობა, ჩვენი ქვეყნის ისტორიის იმ უდარდელ პერიოდში ვცხოვრობდით, როდესაც არც კორონას მსგავსი არაფერი გვემუქრებოდა, არც ომის საშიშროება იყო, არც სიცივისა და შიმშილის გვემინოდა, ონკანში ცხელი წყალი თქრიალით მოდიოდა და მთელი ქვეყანა ფეხბურთით ცხოვრობდა, ჩვენი ნამდვილი, ჯიშინი ქართული ფეხბურთით. გვიყვარდა: კინო, თეატრი, რუსთაველზე სეირნობა, ერთმანეთთან სტუმრობა, ქეიფი და დროსტარება, მოკლედ, მთელი ქვეყანა თლიდა და ჭამდა მანამ, სანამ არ გამოგლიჯეს ხელიდან დანა-ჩანგალი. ამ პერიოდში გატარებული წლები არ შეიძლებაოდა რომ რომანტიკული არ ყოფილიყო და კიდევ უფრო რომანტიკული ჩვენი მშობლების სტუდენტური წლები, თუმცა, მოდი, ერთად მოვუსმინოთ ბაბუისა და შვილიშვილის საუბარს, აქვე რომ წამოგორებულან ტახტზე და ამაში თქვენ თვითონ დარწმუნდებით.

– იცი, ბაბუ, ჩვენ რა გაჭირვებულ დროში ვცხოვრობდით? რამდენჯერ მშიერნი ფეხით წავსულვართ ლექციებზე, დალხენილი ძალიან ცოტა იყო, მაგრამ ხალხი უფრო თბილი იყო, სტუდენტობა კი ტკბილზე ტკბილი. ერთხელ უნივერსიტეტში კონკურსი ჩატარდა მათემატიკაში, მე და მამიდაშენმა პირველი ადგილი ავიღეთ, პრიზი მეტად უცნაური რამ აღმოჩნდა, დიდი შავი ინდაური, თავზე პატარა შლაპით, გულზე წითელი ბაფთითა და ლამაზი ჭრელი თავით, ვაკიდან კოლმეურნეობის მოედანზე ფეხით ჩავასეირნეთ, მთელი ამბითა და ოვაციებით, ყველა ჩვენ გვიყურებდა, 25 დეკემბერი იყო და ჩვენი დანახვა ყველა გამვლელის სახეზე ღიმილს იწვევდა, ეჰ, ნეტა, ერთი დღით დამაბრუნა სტუმრად იმ დროში!

– რას ამბობ, ბაბუ, რა ინდაური, რის კონკურსი? ერთი სული მაქვს როდის ჩავუჯდები კომპიუტერს!

არა, ესენი საერთო ენას ვერ გამოხსნავენ. ერთის ცხოვრება იმ რომანს ჰგავს, რომელსაც წიგნში კითხულობ გულით და აღიქვამ გონებით, მეორისა კი იგივე რომანი კლავიატურაზე აკრეფილი და თვალთ დანახული სეირია. მე კიდევ შემიძლია ვთქვა, რომ მოვასწარი ამ ოქროს შუალედში გამეგო სტუდენტობის ნამდვილი გემო, მენატრება ფეხით გათელილი რუსთაველის პროსპექტი და მაღლივი კორპუსიდან მთაწმინდამდე სიყვარულში უცებ გალეული გზა, ვაკის საერთო საცხოვრებელში ჩვენი გოგონების და ბიჭების განყოფილი სუფრა სოფლის ნობათით, სიმღერებში გახარჯული ღამეები, გარიჟრაჟზე მოჩურჩულე თბილისის მყუდრო ქუჩები, სულში ჩაღვრილი ქალის სიბო და სურნელი, გრძნობა იმისა, რომ ბედნიერი ხარ, ეს ყველაფერი შენია და მას ვერვინ წაგართმევს. მენატრება ჩემი ყველა ლექტორი, თავისი უცნაური და ხშირად კუროიზული ხასიათებისა თუ ჩვენთან ურთიერთობის გამო, ყოველი მათგანი ხომ იმას ცდილობდა, რომ ჩვენ წესიერად ამიანებად აღვეზარდეთ, მოეცათ ჩვენთვის განათლება, ცხოვრებისეული გამოცდილება და საჭირო იყო თუ არა მათი საგანი, ლექტორისთვის განკუთვნილ დროს ფუჭად არ ჩაეველო. დღეს ჩემი სტუმრები ხართ, ჩემო ძვირფასებო და უმორჩილესად გთხოვთ, კიდევ ერთხელ შემოალოთ ჩვენი აუდიტორიის ქრიალა კარი.

## უცნაური გეოგრაფი

ბატონი ვალიკო მსუქანი, კეთილი კაცი იყო, არასოდეს ჩვენს ოხუნჯობას ყურადღებას არ აქცევდა, მთავარი იყო ყველაზე ზარმაცისთვისაც კი რალაც ესწავლებინა, სახ-

ეზე ყოველთვის პასუხისმგებლობა, სიმშვიდე და სიკეთე ეხატა, მაგრამ ერთი კი იყო: ძალზე უცნაური და ემოციური გაბრაზება იცოდა. ამჯერადაც ასე მოხდა, ის იყო აუდიტორიასთან შევიკრიბეთ და იმის რჩევაში ვიყავით, თუ ვინ შევიდოდა გამოცდაზე პირველი, რომ უცებ კარები გაიღო, ოთახში ცხვრებივით შეგვრეკა დიდი გრძელი ჯოხით და ბილეთები ჩამოგვირიგა. ცოტა ხანს ისე გვიყურებდა, როგორც ჩვენ დავჩერებოდით ბილეთებს, მერე მაგიდაზე თითები ნერვიულად დააკაკუნა და გვკითხა:

– რა ნიშნები გინდათ?

– სამიანი, პატიცემულო! – მოკრძალებით ამოვღერღეთ ოთხივემ.

ამის თქმა იყო და ვალიკოს სახე წამოენთო, ჯერ თავის ძმისშვილს გელას დააცხრა: – გამოდი მოყევი, თუ იცი რამე!

გელა გავიდა, მაგრამ მოშორებით, კარებთან ახლოს, დადგა და იქიდან მოახსენა, ვერ მოვასწარიო.

– რას მოასწრებდი, მე შენს ხელში წიგნი არ მინახავს, ღვინის ჭიქა ვერ გაგაგდებინე ხელიდან, დალევთ ორ ჭიქას და ლომები ხართ, უტვინო, გაუნათლებელი ლომები, აქ კი მათხოვრებივით იქცევით, დამანერინებთ მათხოვრულ სამებს და მაგინებთ მერე, აბულაძემ სამზე მეტი ვერ გაიმეტაო, ვისაა თქვენ რომ აგინებთ?– ილრიალა და იმხელაზე დაარტყა ტონიანი ფეხი იატაკზე, რომ პარკეტი აიყარა. მერე რუკების დიდ ჯოხს გადაწვდა, მაგრამ ჩვენ იქ უკვე აღარ ვიყავით, გულგახეთქილები გარეთ გავცვივდით და სხვებიც თან წავიყოლეთ. ერთ კვირაში ისევ გამოვცხადდით გამოცდაზე, შიშმა და ხათრმა თავისი გაიტანა, ცარიელი თავებით არც ერთი არ მივსულვართ, არც ბატონი ვალიკო დაგვრჩენია ვალში და ოთხიანზე დაბალი ნიშანი არავისთვის დაუწერია.

## გენერალი

სამოქალაქო თავდაცვას ის გადამდგარი გენერალი გვასწავლიდა, რომელიც წლების უკან ჩვენს მამებს მოძღვრავდა სამხედრო სწავლებაში, განსხვავება კი ის იყო, რომ მაშინ ის თავისი ფეხით მიდიოდა ლექციაზე, ჩვენთან კი შვილიშვილებს მოჰყავდათ ხელმკლავით, კათედრამდე მიაცილებდნენ და ჩვენს წინაშე ნამდვილი პიპინია იდგა. ის პიპინია, თავის ცხენს ძლივს რომ გამოასწრო პორტ-არტურიდან.

გენერალი კათედრას მოერგო, გოგიას დახედა და უბრძანა:

– საწყობიდან პროტივოგაზები მოიტანე და ჩამოარიგე, დღეს ატომურ აფეთქებასთან გვექნება საქმე, ჯარისკაცო!

გოგია ჯარისკაცივით კი წავიდა დავალების შესასრულებლად, მაგრამ ცოტა ხანში ქალბატონმა ლეილამ ტყვესავით შემოაგდო აუდიტორიაში და გენერალს დააცხრა:

– დღეში რამდენჯერ უნდა შემომიგზავნო ეს დაშტერებული ბოვშები, ამათი სალადაო ვარ მე? წამომყევი გენერალთან პროტივოგაზი უნდაო. ეს დეგენერატი ეს! თქვენც რა ვერ გაიგეთ, რომ როცა ეს ყუთები ჩევიბარე და აქტზე ხელი მოვანერე, გამაფრთხილეს, სანამ არ ჩამოვარდება ის დაწყევლილი რაცხა ბომბია, მანამდე არ გახსნათო, არ ვნახო ამ საკითხზე ვინმე მოსული, თვარა, გოვუჩეჩქავ თავს და იმ ბომბის აფეთქებას ვერ მეესწრება! – გაიბრაახუნა აუდიტორიის კარები ლეილამ.

– ნუ ი დურა! – ჩაილაპარაკა გენერალმა, პორტფელიდან დენიკინის დროინდელი აირწინალი ამოაძრო, ვასილას დაუგდო და გაკეთება უბრძანა.

– დღეს ჩვენ ვისწავლით, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, ატომური აფეთქების შემთხვევაში, დახედოთ სურათს.

პირველ „პლაკატზე“ კი ყველაფერი კარგად იყო: მომღიმარი კაცი ჩანთით ხელში მიდიოდა თავისთვის მაღაზიაში, ბავშვები მხიარულად თამაშობდნენ ბაღში, ვიღაც სარეცხს ჰფენდა, ვიღაც ვარჯიშობდა, მოკლედ, სიცოცხლე დულდა, მზეც ილიმოდა და ხალხიც.

– მოვიხსნი რა, პატივცემულო, ცუდად ვარ. – გადმოკარკლა თვალები ვასილამ, აირწინალის დაორთქლილი მინებიდან და ნიკაპს ქვემოდან რეზინი დაქაჩა.

– ნუ სალდატ, ტი უჟე ტრუპ! თუმცა არც მანამდე გეტყობოდა სიცოცხლის ნიშან-წყალი, კაცო, მაგრამ პროტივოგაზს მაინც ნუ მოიხსნი!

– რატომ მკლავ?

– არა, მასე უფრო სიმპათიურად გამოიყურები, – ჩაიქირქილა გენერალმა.

თავისი გრძელი ჯოხით „პლაკატი“-ს ამოტრიალებას შეეცადა და გააგრძელა.

– ვოტ! ახლა ჩამოვადგოთ ატომური ბომბი და ვნახოთ, ვინ როგორ მოიქცევა.

– არ ქნათ, პატივცემულო, ცოდვაა ხალხი! – ჩაილაპარაკა გელაიამ, მაგრამ უკვე გვიანი იყო, სურათი ამოტრიალდა, ბომბი უკვე აფეთქებული იყო და ჩონჩხად ქცეული კორპუსების წინ დამწვარ-დახრაკული ხალხი ეყარა.

– აუფ, არ დაღუპა აგი წესიერი ხალხი, ბიჭო? რას ერჩოდით პატივცემულო!

– შენც ასე მოგივა, თუ არ ისწავლი! – დამოძღვრა გენერალმა.

– რაის სწავლა გიშველის აქანა, დადუღებულია ყველაფერი! ა, შე ბიჯო, აგი იგი არაა, ქე რომ ვარჯიშობდა

ხუთი წუთის წინ? ხედავ, ბიჯო? თლა გიფსშია ჩასმული, საწყალი, სუნთქავს ნეტაი? – იცნო და შეიცხადა ბადრიამ სპორტსმენი.

– აბა, ბიჭო, რა იცოდა მაგ უბედურმა, თვარა რა ევარჯიშებოდა! – აყვა ვილაც ბოლოდან და აუდიტორია აყაყანდა.

გენერალი მიხვდა, რომ პოზიციებს კარგავდა და გაოგნებულ მირიანს ისეთი ჩამოჰკრა ჯოხი თავში, რომ მირიკო მაგიდას წამში ქვემოდან ამოეკრა.

– ატ ატომნოი ბომბი ნე უბეჟიმ, ბალვან! – შესძახა გენერალმა, ჯოხი საყელოში გაუყარა და მალლა მოქაჩა, მირიანი ანკესზე წამოცმული თევზივით ამოჰყვა ჯოხს.

– ატომნაია ბომბა ვზრივაეტსა ვ პრავო! – დასჭექა გენერალმა და იქვე დაუზუსტა:

– ატომნაია ბომბა ვზრივაეტსა ვ პრავო-თქვა, პრიგაი!

მაგრამ მირიანის გამოთაყვანებულ სახეს რომ შეხედა, თვითონვე დაამთავრა.

– ვ ლევო, დურაკ, ვ ლევო!

მირიანი იმ ებრაელს ჰგავდა, რომ ჰკითხეს, შენს ეზოში რომ ატომური ბომბი ჩამოვარდეს, როგორ მოიქცევიო და ისე მოიქცა ჩემი მტერი, მე რომ მოვიქცევიო. – უპასუხია მოშეს.

იმდენი ვიცინეთ, რომ მუცლის კუნთები ორი დღე გვტკიოდა, გენერალმა კი ეს აჟოოტაჟი არ გვაპატია და თვის ბოლომდე გვაძახებინა:

– ატომნაია ბომბა ვზრივაეტსა ვპრავო.

– პრიგაი ვლევო.

დიდხანს ეხვეწებოდა ჩვენი დეკანი, ქალბატონი შურა, დაუნერე ამ ბოვშებს ჩათვლა, რავა შეიძლება მთელი ჯგუფის გარიცხვაო, მაგრამ გენერალი რისი გენ-

ერალი იყო, უკან დაეხია, მერე ცუდად შეიქნა და მალევე გარდაიცვალა, ჩვენც დავისვენეთ და იმანაც, აცხონოს ღმერთმა!

## უკვდავი გრიგოლი

სართულზე სიგარეტის ძებნაში ნაცნობ სიტუაციას გადავანყდით, კანცელარიის პატარა მოსაცდელში სტუდენტი გოგონა კედელზე ჩამოკიდებულ პლაშსა და შლაპასთან ატუზულიყო და კონსპექტებში თავჩარგული ნერვიულად მალი-მალ კითხულობდა: – მოვა ნეტა?

ოთახში დამლაგებელი ანეტა შემოვიდა, აჩონჩხილი ინვენტარი კედელთან მიანყო, გოგონას გახედა და ჰკითხა:

– ვის ელოდები, პლაშს თუ პატრონს?

– ომიადეს ველოდები, მალე მოვალო. – მითხრა.

– ტყვილა ელოდები, მაი უკვე სახლში ბადიშებთანაა, არ მუა, კაი ხნის წასულია, აჰა, დოურეკე თუ არ გჯერა! – დაარიგა ანეტამ.

– როგორ, კოსტუმით წავიდა ამ სიცივეში?

– შვილო, პლაშიც ეცვა და შლაპაც ეხურა, ამდენი წელია ვიცნობ და ვერ მივაკლიე, რამდენი წყვილი აქ მაგ შეჩვენებულს, ასე დოუკიდებს ერთს, თან დოუბარებს მალე მუალ, თქვენ მანამდე ისწავლეთ, თვითონ გუყრის ხელს მიორეში და აიდა, სახლში! ე ბავშვები კი ზიან პლაშის ძირში და საათობით იზეპირებენ რაცხა კონსპექტებს. მასე უქნა მამაჩემის მამასაც, ნარდს თამაშობდნენ თურმე ნიძლაგზე და რავარც შეატყო რომე აგებდა, მალე მუალო უთქვამს და როის, როის, მერე ფრონტის ხაზზე შეხვედრიან ერთმანეთს, სა იყაი ამდენ ხანს, სა წაიო. – უკითხავს ცხონებულს. მას უთქვამს ახლა რაზვეტკაზე

მივდივარ, მალე მუალ და მოგიყვებიო. ჩვევა აქ მასეთი, გეიგე? დოურეკე თუ არ გჯერა, სახლშია ახლა მაი!

– რომ წავიდე, მოვა და გამრიცხავს, თან ჩემზე ნათქვამი აქვთ. – ამოიოხრა გოგონამ და კონსპექტის შუა ფურცელი გადაშალა.

– მაგის გარიცხული კაცი არ მინახია მე, ასე განვა-  
ლებს თვის ბოლომდე და დაგინერს მერე, მაი ჩათლავა თუ  
რაცხა, ისე თუ მიატანა თვის ბოლომდე, კია უკვე 90 წლის  
და კაი ხნის კტარი იქნებოდა, იმ ძაღლს რომ არ ეპოვნა,  
არ იცი? ხო... ხოდა, გერმანელებმა რომ დაბომბეს მაგის  
ნაწილი, მაი თლა დეიმარხა მინაში ცოცხლად და ძაღლმა  
მოთხარა იქიდან, თვარა გაღმა იყო უკვე გასული, არ  
გჯერა? დოურეკე-თქვა, გითხარი, ეგერ წერია ნომერი  
კედელზე!

გოგონამ ციფრები აკრიფა და მორიდებით იკითხა: –  
ბატონი გრიგოლი მინდოდა, თუ შეიძლება, გამარჯობა!  
მე, იცით, თქვენი სტუდენტი ვარ, ოთარაშვილი.

გოგონა უცებ გაჩერდა, ყურმილი დაბნეულმა დაკიდა  
და დამლაგებელს მიაშტერდა.

– რაო, რა გითხრა? – მიაყუდა ცოცხი კედელთან  
ანეტამ.

– რაო და ვისი შვილიც არ უნდა იყო და ის ძაღლიც  
რომ მომიყვანო, მე რომ გადამარჩინა, მაინც არ დაგინერ  
ნიშანს, სანამ არ ისწავლიო!

– ე, გითხარი?! – ჩაიქირქილა ანეტამ და პოლის-  
ჯოხზე აცმული მასტიკიანი ტილოთი, ნახერხმოყრილ და  
ბენზინის სუნით აქოთებულ კორიდორს გაუყვა.

## პარმენი

ნამეტანი უხასიათო შემოვიდა ბატონი პარმენი აუ-  
დიტორიაში, თავისი ავლადიდება კათედრაზე დაყარა და  
თავი არ აუწევია, ისე იკითხა: ვინ იცის სემინარიო. ამ  
კითხვაზე სულ რამდენიმე ადამიანი თუ რეაგირებდა. აკა,  
ციცო, მადონა და თენგო, რომლებიც პირველ მერხზე  
ისხდნენ კათედრის წინ. ორი თითი პარმენს ანტენასავით  
ჰქონდა ცხვირწინ დარჭობილი. ჯერ თენგოს დახედა,  
მერე აუდიტორიას თვალი მოავლო, მადონას თბილად  
გაუღიმა, გოგიას აწეულ ხელს ეჭვით გახედა, სწავლით  
ეგ არ სწავლობს, ალბათ, გარეთ უნდა გასვლაო გაიფიქრა  
და ჰკითხა:

– ბაბა, შენ წყალში უფრო დიდხანს ძლებ ჩაყვინ-  
თული, თუ ლექციაზე?

– ორივე მიჭირს, პატივცემულო, ჰაერზე მირჩვენია!  
– ამოლერდა ნაბახუსევით დაოსებულმა და გავიდა.

პარმენმა ახლა აბულაძის აწეულ ხელს მიაგნო.

– არ მითხრა ახლა სემინარი ვიციო, თუ ერთად სვამ-  
დით შენ და ის?

– მეც გავალ რა გარეთ, პატივცემულო, ცუდად ვარ.

– ცუდად თუ იყავი, შე უპატრონო, რაღას შემო-  
დიოდი? თუ გასვლის მომენტი გსიამოვნებს? – გაბრაზდა  
პარმენი და ისევ მის ცხვირწინ ჯიუტად დარჭობილ თენ-  
გიზის თითებს დახედა.

– რაა, ბაბა, ეს, რატომ არ იჭრი ფრჩხილებს და  
საერთოდ რა წესია ეს! შენი შიშით კითხვა ვერ დამისვია,  
ადექი ფიფია, რას ჰგავხარ, შენც დალიე იმათთან ხომ?  
კარგი, დაჯექი! ა, კაცი, არ იცის სემინარი და არც არა-  
ვის აწუხებს. ბაბა, შენ მეგობრები არ გყავს? წადი გაიარ-  
გამოიარე, მიყევით ამას სუყველა და მოდით პირდაპირ

გამოცდაზე! – დაამთავრა პარმენმა გამოსვლა, თავისი ნივთები ილლიაში ამოიღო და კარები გაბრაზებულმა გაიჯახუნა.

გაჩერებაზე ისევ ერთად მოვიყარეთ თავი, პარმენიც მალევე გამოჩნდა. უხერხული სიჩუმე ჩვენს წინ დამუხრუჭებულმა ტაქსმა დაარღვია, საიდანაც მოკლეკაბიანი მომხიბვლელი ქალბატონი გადმობრძანდა, თავის ოთხი-ხუთი წლის თოჯინასავით გამოპრანჭულ პატარასთან ერთად და ყველა ჩვენგანის ყურადღება უცებ მიიპყრო. ის იყო ორივე თვალს მიეფარა, რომ პარმენას დამტკბარი ხმაც ჩაგვესმა.

– ხოხ, რა კარგი იყო, კაცო, შენ გაიხარე მაინცდამაინც! – უხერხული სიჩუმე დაირღვა და ჩვენც ენა ამოვიდგი.

– აბა, აბა, პატივცემულო, რა საყვარელი ბავშვი იყო, არა? რა ლამაზი ნამწამები ჰქონდა, თვალები? კაბა და მანიკურები როგორ უხდებოდა, თმები? სათვალე?

პარმენი თანაგრძნობით გვისმენდა და ისეთი სახით გვიყურებდა, საავადმყოფოში მნახველებს რომ აქვთ ხოლმე. როგორც იქნა, ხუთი ნომერი იკარუსიც გამოჩნდა, თუხთუხით წრე დაარტყა, ზედ პარმენას ცხვირწინ დაამუხრუჭა, ერთი ჩაიფრუტუნა და დადუმდა. მანაც ორივე ხელით ვეებერთელა კარები მძიმედ გამოალო, ზურგით დაიჭირა და ჩვენკენ მოტრიალდა:

– ისწავლეთ, ბაბა, ისწავლეთ, ისე არ მოხვიდეთ, თორემ ვერ გიშველით მოკლე კაბა და გრძელი ნამწამები, ბავშვი კი არა ის კიდო, დედა, კაცო, დედა! – ჩაილაპარაკა თუ ჩაიქირქილა პარმენმა და ავტობუსში გაუჩინარდა.

ორი კვირა გვატარა და კიბეებზე დაგვაზეპირებინა ლამის პროგრამის ნახევარი. მესამე კვირას მე-10 სართულზე დაგვტოვა და ცარიელი აუდიტორიის მოსა-

ძებნად წავიდა, ჩვენც ისევ ჩამოვმწკრივდით კიბეებზე და ერთ საათში კიდევ რამდენიმე ფრაზა ჩაიბეჭდა ჩვენს გაყინულ ტვინში. ამასობაში პარმენა ზედა სართულიდან კიბეებს ჩამოუყვავა, ფეხი აებლანდა და დაგვტუქსა:

– რა უბედურებაა, კაცო, ეს? ადამიანს ვერ გაუვლია, ვინ ხართ, ბაბა, თქვენ, რას დამჯდარხართ აქ, პატრონი არ გყავთ?

– თქვენ გელოდებით, პატივცემულო, ხომ გვითხარით, აუდიტორიას ვნახავ და გამოცდას ჩაგიტარებთო.

– და რას აბარებთ მერე? – კიდევ ერთი დაბნეული კითხვა დაგვისვა პარმენამ და ნიშნისმოგებით მოგვაჩერდა.

– პოლიტეკონომიას, სხვა რა უნდა ჩავაბაროთ თქვენთან.

– ხოხ! კიბეებზე აბარებთ მერე? ისე ეგეც კარგია, რომ იცით, ვისთან რას აბარებთ. – ამოიხვნეშა პარმენამ და კიბეებზე ამომსკდარ დაგვიანებულ ზაურას ზედ ცხვირწინ გადაუშალა შავი „პაპკა“.

– ჰე! ამოიღე ახლა რომელი ბილეთიც გინდა და დაიწყე! რად უნდა ამას აუდიტორია?

ზაურამ პირველი შოკი გადაიტანა, ოფლი მოიწმინდა, ბილეთი აიღო, დაამტერდა და „მუუ“-ო ისე დაიზმუვლა, დამშეულმა ძროხამ რომ იცის ბალახის დანახვაზე, ასე გაგრძელდა ერთი-ორი წუთი და პარმენს რომ არ გაეჩერებინა, ალბათ, პირველ საკითხს მოძოვდა კიდევ.

– რას აბარებ, ბაბა, შენ ჩემთან? – ეჭვით ჩაეკითხა პარმენი.

– პოლიტეკონომიას, პატივცემულო!

– ხოხ, კარგია, ყოჩაღ, ბაბა, გადადი მეორე საკითხზე.

ზაურამ მეორე საკითხზეც ისეთივე ენთუზიაზმით



დაიწყო ზმუილი და ბილეთს გემოც კი გაუხინჯა, აქ კი უკვე პარმენას ნერვებმა უმტყუნა, ბილეთი ხელიდან გამოსტაცა და დაიწყო:

– რად უნდა ამას აუდიტორია? ორიანი შენ, ბაბა, ორიანი! მაგრამ მე რომ შენ ორიანი დაგინერო, ხომ გაგრიცხავენ და სად ნახვალ მერე? ქარხანაში! ხოდა, მე ვერ გაგზარდე და ქარხანა გაგზარდის? იქიდანაც გაგაგდებენ, დარჩები მერე ქუჩაში, მშიერი, მწყურვალი, უსაქმური, გადაგვარდები, სულ გახდები კაცისმკვლელი და ვის მოკლავ მერე?! – პარმენ ლემონჯავას, ვინც შენ ამ დღეში ჩაგაგდო! – დაასკვნა პარმენამ, ჩაფიქრდა, შენუხდა, ეტყობა თავისი ნეკროლოგი წარმოიდგინა გაზეთ „თბილისში“. ზაურას ეჭვის თვალით გადახედა, ჩათვლის წიგნაკი გამოართვა, აი, ჩვენ კი მეორე დღისთვის დაგვიბარა და სართულზე გაუჩინარდა.

## მრისხანე გოგი

ორ დღეში კომლაძესთან გვინევდა გამოცდა, მათემატიკაში, მის სიმკაცრეზე ლეგენდები დადიოდა და რომ არ გავერიცხეთ, ყველა ვილაცას ეძებდა საპროტექციოდ. მე ასეთ მფარველად მამიდაჩემმა ქალბატონი ჯულფანი მომივლინა. დათქმულ დროს გოგის ორივე კორიდორში გამოვეცხადეთ. ჯულფანის თბილად მიესალმა, მე ირონიულად გადმომხედა და მკითხა:

– რა დღეა დღეს, ყველანი წყვილ-წყვილად რომ მოდიხართ, ესენი ჩააბარებენ თქვენს მაგივრად, თუ როგორ იქნება თქვენი საქმე? – ახლალა შევამჩნიე, რომ კიდევ სამი წყვილი ელოდებოდა ჩვენი საუბრის დამთავრებას.

– ბატონო გოგი, ამ ბავშვს მე მოვამზადებ, არ შე-

გარცხვენთ, ცოტა თქვენც დაგვეხმარეთ, ხომ არ აცდენდი ლექციებს?

– არა, როგორ გეკადრებათ! – ვიუარე მე.

– მაშინ თუ არ აცდენდი, მითხარი ვისი ლექცია გაქვს ხვალ პირველი, როდის ამთავრებს და ფანჯარა თუ გაქვთ? მითხარი და ხვალვე დავინწყით მომზადება.

ჯულფანის ამ კითხვამ ისე დამაბნია, რომ რატომღაც ვიფიქრე, გოგის თანდასწრებით ამონებდა ჩემს ლექციებზე დასწრებას, თვალი აუდიტორიისკენ გავაპარე და ვუპასუხე:

– ლექცია გვეწყება ათ საათზე, ბატონი გოგის ლექციაა, მეორე აუდიტორიაში და გვაქვს სამი დიდი ფანჯარა.

– რა გაქვს სამი? – გაოცდა გოგი და ისე შემოხმედა, რომ ფანჯრების რაოდენობაში ეჭვი შემეპარა და ძლივს ამოვლერდე:

– ფანჯარა... პატივცემულო... ოთხი... აივნებით – და გოგის ცინიკურ სახეს რომ შევხედე, მივხვდი, რაც მჭირდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო...

– სა ნახე ე ბოვში, შენ თუ ამას რამეს ასწავლი?! – მიუბრუნდა უხერხულად მომლიმარ ჩემს მფარველს, ხელი ჩაიქნია და წავიდა.

დადგა გამოცდის დღეც. გოგიმ ყველას ერთ აუდიტორიაში მოგვიყარა თავი. ბილეთები ჩამოგვირიგა და წავიდა. მაგიდები სავსე იყო წინა ჯგუფის მიერ დატოვებული წიგნებით, კონსპექტებით, შპარგალკებით, რას არ ნახავდი აქ, ცხვირსახოცი, ნაირ-ნაირი პასტები, ხაჭაპური, ბოთლები, ჭიქები, მოკლედ, აუდიტორია ბერმუდის სამკუთხედში დაკარგულ გემს ჰგავდა. ბილეთის პასუხები გადავინერეთ და სწავლას შევუდექით. ლამის დღის მეორე ნახევარში შემოალო კარი კომლაძემ, კათ-

ედრისკენ წავიდა და ერთი სტუდენტი თან წაიყოლა.

– დაიწყე! – აუნთო მწვანე მირიანს, მანაც გამართულად წაიკითხა გადანერილი ბილეთის პირველი საკითხი.

– მოყევი! – აჩვენა ყვითელი ბარათი მიროს, კონსპექტი გამოართვა და მირიანმაც რის ვაი-ვაგლახით მიახრჩო რაც წაიკითხა, იმის მეოთხედი.

– წადი! – გააძევა მინდვრიდან გოგიამ მირიანი და ბაკურის ანიშნა ახალი ბილეთი აიღეო.

– მაქვსო. – ზრდილობიანად მოახსენა ბაკურმა.

– ორი გექნებაო. – გულუხვობა გამოიჩინა გოგიმ, ბილეთი მიაჩეჩა და მის სახეზე სასიკეთო რომ ვერაფერი დაინახა, ჰკითხა:

– საიდან ხარ, შვილო, შენ?

– შორაპნიდან, პატივცემულო!

– კაცხის ზარბაზანი თუ იცი?

– არა, პატივცემულო.

– დიახ! ბილეთი არ იცი, აცდენდი, კაცხის ზარბაზანი არ იცი, სასწავლებლად ჩამოხვედი, შვილო, შენ, თუ იმის საფხანად? გასარიცხები ხართ სუყველა! – გადმოგვხედა სათვალის ზემოდან გაბრაზებულმა გოგიამ და ხელი ისე დამიქნია მაგიდისკენ, ბუზს რომ იგერიებენ ხოლმე.

– რალა ჩემზე გადაირია! – გავიფიქრე და კომლადისკენ კონსპექტის კითხვით ცერად წავედი.

– რა, მოყინულია? არ მოგაცუროს, შენ ფანჯარა არ იცი და ჩემი საგანი გეცოდინება? მიყევი იმათ უკან და აი, ეს ისწავლეთ, შემდეგ კვირაში მოხვალთ! – გადმომცა დიდი არზა. ჟურნალი და ბილეთები ჩანთაში ჩაყარა და დაგვტოვა.

## ბატონი გრიშა და დაქირავებული მამობილი

არავინ გვახალისებდა ლექციაზე ისე, როგორც ჩვენი პარტისტორიის ვეტერანი ლექტორი, ბატონი გრიშა პაჭკორია. ის უკვე საკმაოდ ასაკოვანი იყო, ნაომარი, დაჭრილი, რთული ცხოვრება ჰქონდა გავლილი და საკმარისი იყო ომის თემაზე რამე გეკითხა, რომ ლექციისთვის განკუთვნილი დრო ამ თემას ეთმობოდა. ის თავისთვის ჰყვებოდა თავის ამბებს, ჩვენ კი ჩვენთვის ვერთობოდით. სემესტრის ბოლოს კი თავისებური მიდგომა ჰქონდა სტუდენტებთან: წიგნიდან რვეულში ხელით უნდა გადაგვეწერა მთელი განვლილი სასწავლო პროგრამა, ჰოდა, რადგანაც ჩვენ ასფურცლიანი რვეულების გადამწერები არ ვიყავით, ისევ და ისევ დაველოდეთ ჩვენს წარჩინებულ დებს და ძმებს.

დამონმებული რვეულები გადმოვიწერეთ, ბაკურისთან შევიკრიბეთ და გადავწყვიტეთ რვეულებზე ყდები შეგვეცვალა, რაზედაც ჩვენი ინიციალები იქნებოდა მინერილი. ამ იდეამ მეტად საზეიმო განწყობაზე დაგვაყენა და კიდევ ერთი მოკრძალებული, მაგრამ ჩვენთვის დიდებული სუფრით აღინიშნა. შუალამეს დამთავრდა ჩვენი ნაადრევი სიხარული, სიურპრიზი დილით გველოდა.

– თავი მისკდება! – დაიკვნესა ვასომ და თვლები ვერ გაახილა. ადგომა სცადა, მაგრამ საწოლიდან ვერ ამოვიდა, რადგან ზამბარებიანი საწოლი პარკეტამდე ჩასულიყო, ცოტა ხანს იწრიალა ბადეში გაბმული თევზივით, შუბლით ცივ რკინას მიაგნო და გაიტრუნა. მეორე საწოლშიც ანალოგიური მდგომარეობა იყო, აი, ჩვენ კი ძირს დაგებულ ლეიბზე ვინექით და პირველი რაც დავინახე, ეს საწოლის ქვეშ, ზანტად მოძრავი ხელის მტევნები იყო, რომლებიც ამაოდ ეძებდნენ წყლით სავსე ბოთლებს

და პეპლებივით ფარფატებდნენ.

– თავის ტკივილს მერე ნახავთ, ამ რვეულებს რომ გადაშლით ყველა გვერდზე, მინდორზე ხელი აქვს მონერილი, – მოგვახსენა ზაზამ და წყლები ჩამოგვირიგა.

– ჩამოვაჭრათ. – ყრუდ გაისმა საიდანღაც და ჩვენმა ტვინებმაც ჯიუტად დაიწყეს ფუნქციების აღდგენა.

დრო ცოტა გვექონდა, მინდორი დიდი წვალეების შემდეგ ჩამოვაჭერით და გრიშას ჩავაბარეთ, მანაც მბუჭტავი ნათურის შუქზე, გვერდების ბოლოში ხელი მოაწერა და დაგვიბრუნა: შემდეგმა ხუთეულმა ეს საქმე კიდევ უფრო დახვეწა, რვეულები სტამბაში წაიღო და გვერდები და ბოლოები დაზგაზე ჩამოაჭრევინა. გრიშამ ხელი ახლა რვეულის თავში მოაწერა. სტამბაში თავებიც ჩამოვაჭრევინეთ და გრიშამ ადგილი რომ ვეღარ ნახა, ხელი ზედ ნაწერებზე მოაწერა, თან შენიშვნებიც დაურთო: დაიცავით მინდორიო.

სტამბაში მეტად ხალისობდნენ ამ ისტორიით.

– უსინათლოა? – იკითხა მუშამ და ბლოკნოტებად ქცეული რვეულები გადმოგვცა. სწორედ ეს გაუგებარი წარმომავლობისა და ფორმის ნაწერები შერჩა ხელში ბოლო სამ კაცს, მათ კი ნაავადმყოფარი ბადრია შეჰყვა უკან თავისი ნამდვილი ასფურცლიანი რვეულით. გრიშამ ბლოკნოტები დიდხანს ათვალიერა, მერე ჯერ ერთს ჩამოახია თავზე, ხოლო გარეთ გამოვარდნილ ავთოს მიაძახა, მშობელს თუ არ მოიყვან, გაგრიცხავო, ცოტა ხანში კარები გაიღო და ბადრიაც მუჯღუგუნით გამოაგდო:

– ა, ბიჯო, კი არ დეიჯერა ჩემი ნაწერი რომაა, გაგრიცხავო, მითხრა. – ბუზლუნებდა ბადრია.

პრობლემა კი ის იყო, რომ არც ბატონი გრიშა იყო უკან დამხვევი და არც ავთო იყო მამამისის მომყვანი. გამოსავალი კი ისევ ავთომ იპოვა, მეორე დღეს ტაქსით

მობრძანდა და მძლოლს მოელაპარაკა:

– ლექტორთან ამომყევი, ვითომ მამაჩემი ხარ და რაზეა ბაზარი, მაყუთს გადაგიხდი, ოღონდ ყველაფერი დამაჯერებლად უნდა გააკეთო, გაიგე?

მძლოლიც დათანხმდა და სცენაც შედგა, ათი წუთის დაწყებული იყო ლექცია, რომ კარებზე კაკუნი გაისმა, რასაც ავთოს ხმა მოჰყვა:

– რას აკაკუნებ, შედი! – და ორივე მამა-შვილი ოთახში შემოლაგდა.

ცოტა ხანს ორივენი თხებივით იყურებოდნენ, განსაკუთრებით „მამა“, უსაშველოდ მაღალი, შავი ხუჭუჭა თმებით, გულგადაღელილი, ბენზინის სუნით აქოთებულნი, არაქართული წარმოშობის, მკერდზე ტაქსისტების მრგვალი ემბლემით, რომელიც არ ელოდა ასეთ სიტუაციას და ის იყო უკან გაბრუნებას აპირებდა, რომ დაბალმა, ქერათმიანმა, ოდეკოლონის სუნით აქოთებულმა ავთომ ისე მწარედ დააბიჯა თავისი მძიმე „ბათინკი“ თითზე მამობილს, რომ მურაზამ, ასე ერქვა მძლოლს, ერთი დაიკვნესა და დაიწყო:

– რა ქნა ასეთი ამ უდღეურმა, ჰაა?

ავთომ ფეხის მოძრაობა გაიმეორა და ცალყბად ჩაილაპარაკა:

– ჯერ გამარჯობა უთხარი, ნუ იბნევი!

– გამარჯობა, პატივცემულო, ძია ჯან! – გამოასწორა მურაზამ.

– ვინ ხარ, კაცო, შენ? – გადაირია გრიშა.

– მე, ბატონო, ამ ბემურაზის მამა ვარ, სახლში ხომ ჩვენ შეგვჭამა რა, აქა კიდევ შენა, მოკლედ აქ რომ არ მოდის, ყველანი ვისვენებთ, რა, ამის გარიცხვა როგორ იქნება, დედამისი ნამდვილად მოკვდება, მოხვალ სახლში, დაგახრჩობ ჩემი ხელით! – წვდა მურაზა ავთოს საყელო-

ში, მაგრამ ისეთი ტკივილი იგრძნო ნეკა თითზე, რომ სასწრაფოდ ხელი გაუშვა.

– რაებსა ბაზრობ, შე ახვარო, გამოსვალ გარეთ! – შეუღრინა ავთომ.

– ეს ბავშვი თქვენია? – იკითხა გაოგნებულმა გრიშამ.

– ზედ გამოჭრილი დედამისია, არ მოეშვა მურაზა დედის თემას და სახელაღილ ავთოს ისეთი მოსიყვარულე თვალეებით დახედა, რომ ჩვენი დაბერილი სახეები კიდევ უფრო დაიბერა.

– მე იმის თქმა მინდა, რომა, დედაშენი თავს იკლამს მუშაობაში, შენი გულითვინა, შენა კიდევ რაებს მიჰქარავ, აქა, რა თავი მათზეზე ამ კაცსა, არ გინდა სწავლა და ნამო ხელობას გასწავლი, პრაფილაქტიკაში, ა? არც ეგ არ გინდა, არა? მუქთად გინდა იცხოვრო ხო? აქვე მოგახრობ ჩემი ხელებითა! – შეიჭრა როლში მურაზა, ავთოს საყელოში სწვდა და ისე მოუგრიხა, რომ გავკვირვებისაგან ყბამოქცეულმა ავთომ ჰაერი ძლივს ჩაისუნთქა. სილურჯე სინითლეში გადაუვიდა და გაიფიქრა, ნეტა, მამაჩემი ნამომეყვანაო. აშკარა იყო: მურაზა სამაგიეროს უხდიდა ავთოს, დალურჯებული თითის გამო.

ამ სცენის შემხედვარე ბატონი გრიშა ძალიან აღელდა, აკანკალებული ხელებით ორივეს ჩაებლაუჭა, კარებისკენ აწვეებოდა და თან ყვიროდა:

– არ ვრიცხავ, ბატონო, არა, მიბრძანდით გარეთ! – ასე ჯაჯგურში დატოვეს აუდიტორია მამა-შვილმა. კარგა ხანს ისმოდა გარედან მათი ხმები, ხელი გამიშვი-მეთქი, ვა? ავთო დანყნარდა. – შენა არა თქვი, კაცო, დამაჯერებლადო? – ჩამოეთრე ძირს, შენი!...

ყველაფერი მიწყნარდა...

გრიშა ფანჯარასთან დიდხანს იდგა და სადღაც

სივრცეში ჩაფიქრებული იყურებოდა. ზარი დაირეკა, ადგილიდან არავინ განძრეულა.

– სანყალი ბავშვი ამ კაცის ხელში, კიდევ კარგი გამოსულა. – ჩაილაპარაკა, თან ამოიოხრა ბატონმა გრიშამ და აუდიტორია დატოვა.

\* \* \*

არ ვიცი ჩემს შვილს თუ ექნება ის განცდა, რაც ბაბუამ ინატრა, აი, მე კი ბევრჯერ მიოცნებია: თუნდაც ერთი დღით მაინც დავბრუნებულიყავი ჩემს №1616 ჯგუფში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მე-11 სართულზე, შევალე აუდიტორიის კარს და გავირინდე. შესვლას როგორ გავბედავ, როცა მე და მაიკო უკვე იქ ვართ, ერთ მერხზე, სიას ჩვენი ჯგუფხელი მადონა კითხულობს, ყველა უკლებლივ ადგილზეა, ნათელი სახითა და სიცოცხლით სავსე თვალეებით შესციცინებენ ერთმანეთს. ჩვენი დეკანი, ქალბატონი შურა ვასიკოს ეჩხუბება გაცდენებზე და პოლიკლინიკის ცნობას აფრიალებს ხელში. – ბიჭო! პირად საქმეში მამრობითი სქესი გინერია, რა ცნობა მომიტანე ეს, როდიდან დაინყე ქალთა კონსულტაციაში სიარული, შე უპატრონო! – დედამისი ხომ გინეკოლოგი იყო და მოპარული ბლანკიც, შესაბამისად, მდედრობით სქესზე და ორსულებზე იყო შევსებული.

არა, აქ შესვლა შეუძლებელია, აქ ხომ სულ სხვა სამყარო და განზომილებაა! ეს ხომ ჩავლილი ჩქარი მატარებელია, რომელსაც ახალგაზრდობა აწერია, ამიტომაც სჯობს ძველებურად ჩამოვჯდე კიბეებზე და გავაბოლებ სიგარეტს და დაგელოდებით ყველას, თითოეულ თქვენგანთან შეხვედრა ხომ წარსულში დაბრუნებაა, იმ ძვირფას წარსულში, რომელსაც სტუდენტური წლები ჰქვია!

## მეტყევე

ნისლი საიდანლაც აფორიაქებული შემოვარდა, კოცონის კვამლს შეერია, ყველაფერი არყისფრად შემოსა და თან ერთი სიმღერაც წამოიძღვანია:

„ტყე შეუნახე შვილებსა,  
მამა ხარ შენი ვალია,  
ტყეებს ნუ ჰკაფავ, ძმობილო,  
ტყე გაშიშვლდება, ბრალია,  
ია და ვარდი გახმება,  
ფესვებს მოუთხრის კალია“.

ეჰ, რა დრო იყო, ჩვენი წინაპრები ცალ ხელში ხმლითა და მეორეში თოხით იცავდნენ სამშობლოს, აკვანში ჩაკრულ შთამომავლობას, ამ მთა-ბარს, მინდორ-ველს, მდინარეებსა და ჭალებს, როგორ შეიცვალა დროც და ხალხიც, ამ ღვთის ნაჩუქარ სიმდიდრეს ერთი პატრონი ჰყავდა, ადამიანი! ვისაც როგორ შეეძლო, ისე პატრონობდა, ეფერებოდა, ხოტბას ასხამდა და უნახავდა მომავალ თაობას, მერე ადამიანებმა ნელ-ნელა დაიწყეს მისაკუთრება: იყიდეს ტყეები, მდინარეები, ზღვები, მთები შემოღობეს და მალე ფეხით სავალსაც არ დატოვებენ! ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ამ საქმიანობაში გადამთიელებიც მიიპატიჟეს და გულუხვად ურიგებენ ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ მიწებს. ცუდი დრო დაგვიდგა, ცუდი! გინახავთ ვინმეს, როგორ გაშენდა თბილისის ზღვა? მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, სიხარულით მივარბენინებდი მიწით სავსე ურიკას ფიცარნაგზე, ჭიანჭველების ბუდე ჰგავდა ის იმხელა ღრმული, ხალხმა ამოთხარა შიშველი ხელებით, გამოზიდა, ამოასუფთავა, გაამწვანა, ივრით შეავსო, ზღვად აქცია და დღეს ერთეულები ეპატრონებიან.

ბაბუმ ქურთუკი შეისწორა, ცეცხლს ჩააშტერდა და ჩაფიქრდა.

– რაზე ფიქრობ, ბაბუ? – მოეხვია შვილიშვილი.

– შენზე, ბაბუ, შენს და-ძმებზე, თქვენს პატარა მეგობრებზე და კიდევ ერთ მეტყევეზე, დიდი თოფით რომ იცავდა ჩვენს ავლა-დიდებას, კიდევ იმაზე, რომ დავებრდი და აღარაფერი შემოძლია ფიქრის გარდა და თქვენი მიდგია სული.

– მოგვიყევი რა იმ შენს მეგობარზე, დიდი თოფით რომ დადიოდა ტყეში.

– მოგვიყევი, ბაბუ, არც ჩვენ გვანწყენდა მაგის მოსმენა. – პატარებს დიდებიც აჰყვნენ და ყველა სმენად იქცა.

\* \* \*

ერთ მზიან დილას სოფლის კანტორიდან სამი ჩაფიქრებული ადამიანი გამოვიდა, ურემზე ხერხი, თოკები, ნაჯახი, ნალდი, საგზალი შემოანყეს, კიდეზე ჩამოსხდნენ და ტყისკენ გასწიეს.

– ძალიან ცოტაა ეს შეშა, ზამთარს ვერ გაგვატანინებს, აგერ, მაღლობზე, რამდენი ნაქცეული ხეა და ნაღების უფლებას კი არ გვაძლევენ, არადა, ლპება!

– რას იზამ, დიდი კაცის ბრძანებაა, ტყეს უფრთხილდება. – უპასუხა მეტყევემ.

– ოღონდაც ტყე არ გაჩანაგდეს და რამეს მოვიფიქრებთ, დეკეულს გავყიდი, შეშას ვიყიდი, გირჩებს, ფიჩხებს მოვაგროვებ, რამეს მოვიფიქრებ, ოღონდაც ქვეყანას ეშველოს, არ გვეყო, რაც გაზიდეს და გაანადგურეს? ამათი იმედით ვარ, კარგად დაიწყეს და დიდი კაცი ამას არ დაუშვებს. ურემი ჭრიალ – ჭრიალით მიადგა მინიშნებულ ადგილს, მეტყევე მინაზე ჩამოხტა,

ღრმად ჩაისუნთქა, წელში გასწორდა, ჩამომხმარ ხესთან მივიდა, მოეფერა, ამღვრეული თვალებით შეათვალიერა, ფესვზე ამოსულ ყლორტს ხელი გადაუსვა და ხეს ნაღვლიანად გამოელაპარაკა:

– ამას შვილივით მოვუვლი, არ იდარდო! გმადლობთ, რომ მთელი ცხოვრება სუფთა ჰაერით გვამარაგებდი, ეს შენი ბოლო სიკეთე იქნება, სახლს გაათბობ და ბავშვებს დააპურებ.

– რას შვრება, ტირის? – იკითხა პირველმა.

– ჰო, ეგ ეგეთია, ყველა ხის მოჭრაზე ცრემლი ადგება თვალზე, არადა მეტყევეა. – ისე უპასუხა მეორემ, რომ მეტყევისთვის თვალი არ მოუშორებია.

\* \* \*

დიდმა კაცმა ერთი პატარა კაცი და ორი წვრილთვალეა დიდი კაბინეტიდან გამოისტუმრა, დიდი წილიც მიიღო და დიდი დარიგებაც მისცა.

– აბა, შენ იცი, რაც შეიძლება სწრაფად იმუშავეთ! ხალხს თვალში ნუ მოხვდებით: დაჭრა, დანყობა და გატანა უხმაუროდ, მერე ჩემები მიხედავენ, ამათ კი გაჰყევი და თავისი კუთვნილი ტყის ზოლები აჩვენე, მერე თვითონ იციან თავიანთი საქმე, იმდენი გადაიხადეს, რომ მეტიც ეკუთვნით.

ზიზლით გადახედა წვრილთვალეებს და ცალყბად გაუცინა.

\* \* \*

დამძიმებული ურემი ტაატით მიუყვებოდა ბილიკს, ის იყო გზაზე გავიდა, რომ მორებით დატვირთული კოლონაც გამოჩნდა, მეტყევეს თვალები აენტო, ურმიდან ჩამოხტა და მანქანებს წინ გადაუდგა. მერე მოსაყოლა-

დაც არ ღირს რაც იქ მოხდა, დიდი კაცის ბრძანებააო.

– ააფარეს ქალადი, განთავისუფლებული ხარო სამსახურიდან, თოფიც ჩამოართვეს, როგორ გაბედე ჩვენი გაჩერებაო, მუჯლუგუნიც უთავაზეს და თანაც დაუბარეს თუ ჭკუით იქნები, სამსახურიც გექნება, სახლ-კარიც და კაი სასმელ-საჭმელიცო.

\* \* \*

მანქანებმა გრუხუნით ჩაიარეს ტყის დაბრეცილ გზაზე და თვალს მიეფარნენ.

უკან მტვერი და დარდი დატოვეს.

ტყეში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ურმის თვლების ჭრიალი და ხარების ხვნეშა აფორიაქებდა გარემოს.

– თქვენ არ ცხოვრობთ, თქვენ ჰაერს აფუჭებთ! – გამუდმებით იმეორებდა მეტყევე და ურემს თავჩაქინდრული მიჰყვებოდა.

\* \* \*

– თქვენ როგორ ცხოვრობთ, ზრუნავთ მომავალ თაობაზე, თუ ჰაერს აფუჭებთ? – ჩაილაპარაკა ბაბუმ და კოცონთან შეკრებილი ახალგაზრდები შეათვალიერა.

## მეგობრები

ბოშა გონს მოვიდა და თვალებით გოშას დაუნყო ძებნა. ოთახი ძლიერ იყო გადატვირთული დაჭრილებით, ზოგი მაგიდაზე იწვა, ზოგიც ძირს დაგდებულ დაფლეთილ ლეიბზე. უცებ გოშას მოჰკრა თვალი, იმედი მიეცა, მოჭრილი ფეხები შეათვალა და წამლისა სისხლის სუნით გაჟღენთილი ოთახი ზანტად დატოვა.

სუფთა ჰაერმა თავბრუ დაახვია, ოთახში შებრუნდა, გოშას მიუჩოჩდა, ლეიბს ჩამოეყრდნო, ამღვრეული თვალები დახუჭა და ფიქრებში ჩაიძირა.

პირველად გოშამ გადაარჩინა სიკვდილს, როცა აფეთქებისას მავთულ-ხლართების ქვეშ მოყოლილი უმნეოდ ფართხალებდა. ტყვიების წვიმაში გამოათრია დასისხლიანებული ხელებით გოშამ. რამდენს უყვიროდნენ ბიჭები შეეშვი, შენც დაილუპებო, მაგრამ მეგობარი არ მიატოვა. რამდენი ბედნიერი დღე თუ წელი აქვთ გატარებული ერთად, მერე ეს დაწყევლილი ომი და... რომ არ გადარჩეს? ბოშას დახუჭული თვალიდან ცრემლმა გამოჟონა.

\* \* \*

გამთენიისას ტერიტორიაზე მოთუხთუხე წითელი იკარუსი შემოგრიალდა. იქიდან ავტომატიანები გადმოვიდნენ და უფროსი იკითხეს, ბოშა ძლივს წამოდგა, იქვე კედელს მიეყრდნო და მიაყურადა.

– დაჭრილები უნდა წაიყვანოთ, ისე სალიარკას არ მოგცემთ! – ეს ექიმის ხმა იყო.

– რა დაჭრილები, შეჩემა, ავტობუსი ტავარით არის გაძედილი, ნაბრძანებია თბილისში ჩავიტანოთ, სალიარკა და მორფინი, დროზე! – გაისმა ავტომატის ჩხაკუნი.

– ისიც ნაბრძანები იყო, ეს ბიჭები ღამე რომ მიატოვეთ წამლის ძებნაში და ჩაახოცინეთ, სიმაღლის დაკარგვაზე რომ არაფერი ვთქვათ!

– ეგ შენი საქმე არ არის, ბრძანება იყო ასეთი, ბევრი იცი, ცოტას იცოცხლებ!

– რა მიგაქვთ ამისთანა, ამათ სიცოცხლეს რომ ჯობია? მორფინი მე ვიცი მხოლოდ, ერთი ორი ნაჭერი ჩამოყარეთ და ყველა დაეტევა.

– დაგბრიდავ, ბოზიშვილი ვიყო! შენ რომ იშოვი, ის ჩამოყარე!

– ხუთივეს! – გაშალა ხუთი თითი ექიმმა და ბიჩოკი ავტომატის ლულაში გაუკეთა.

\* \* \*

საშინლად ინჯღრეოდა იკარუსი. ბოშამ დაბინდული თვალები ოდნავ გაახილა და სალონი შეათვალა.

შუა რიგებამდე ორ სართულად, სახელდახლოდ მოწყობილ სანოლებზე, ტკივილებისგან დატანჯული დაჭრილები თოკებით დაებათ, რომ არ გადმოვარდნილიყვნენ, ხოლო სალონის მეორე, უფრო დიდი ნაწილი, სხვადასხვა ნივთებით იყო გაძედილი. რას არ ნახავდა აქ კაცი: პიანინო, მაცივარი, ნოხები, მტვერსასრუტი, ტელევიზორი....

ამათ საკუთარი სხეულის ნაწილები ვერ მიაქვთ სახლში და ვილაცას მთელი სახლი წამოუღია. – ბოშას თვალები აემღვრა და მომაკვდავ მეგობარს ჩაეკრა.

\* \* \*

– ე ბიჯო, აი, იქ გადაუხვიე, მარჯვნივ!

– იქ რა გვინდა, შეჩემა, აფხაზების სასაფლაოა და გადამწვარი ოდა.

– გადაუხვიე, ვიცი, რასაც ვამბობ, თქვენ მაგდენს

ვერ მოტვინავთ!

– დროზე თუ არ ჩავედით, ესენი ვერ ჩააღწევენ, აგერ ის უკვე იბრიდება! – გახედა სარკეში მძლოლმა გოშას.

– ჰოდა, თუ იბრიდება, იქვე დავმარხავთ, მერე პატრონი ერთი ორ კაპიკს გადაიხდის და ადგილსაც მივასწავლით. რას მიყურებ, შეჩემა, ხომ არ გგონიათ სახლში რომ ჩახვალთ, პენსიას დაგინიშნავენ, ახლა თუ არ იფიქრე, მერე შიმშილით მოკვდები, სირო!

– ვაა, ვინც შენ „შაკალა“ დაგარქვა, ერთი მაჩვენა რაა, ერთი ზახოდი მაინც გაუკეთე, კვდება კაცი!

– მიდი დროზე, გადაუხვიე, რა მორალს გვიკითხავ, ეს ომის კანონებია, შენ არ იყავი, მკვდარს თითი რომ მოაჭერი ბეჭდიანად, ამიტომაც დაგარქვეს „თითა“, დავაი ახლა, გადაუხვიე, თორემ დაგბრიდავ და მამაშენი კაი ფულსაც გადაიხდის, ასი სული საქონელი ჰყავს შენი ჩათვლით, ისე, მაგ თითის ამბავი თუ გაიგო, ხომ იცი, სადაც გაგიკეთებს ბეჭდიანად, შენი დედაც! ვილაცას ეგონება „თითა“ იმიტომ ჰქვია, ყურძენი უყვარსო.

ბოშა გონს რომ მოვიდა, შებინდებული იყო, გადათხრილ საფლავეებს შორის ერთი მინამიყრილი გოშას საფლავე იყო და იკარუსის კვალი არსად ჩანდა. დაჩეხილი თავი საფლავის ბორცვზე ჩამოდო და თვალები მილულა.

\* \* \*

ზამთრის ერთ სუსხიან ღამეს კორპუსის სადარბაზოდან ახალშობილის ტირილის ხმა გაისმა. ქუჩის ძაღლებმა ყურები ცქციტეს, აფორიაქდნენ და აყეფდნენ.

ხროვას ერთი ცალთვალა, დაფეხვილი, მაგრამ მოზრდილი ძაღლი გამოეყო და სადარბაზოში ფრთხილად, ყნოსვა – ყნოსვით შევიდა. კიბის უკან ზენარში გახვეული ჩვილი ეგდო და სიცივისგან გალურჯებული ძლივსლა

ტიროდა. ცალთვალამ პატარა კიბეებთან გამოათრია, ყმუილით სხვებს უხმო და გაინაბა.

მორიგეობიდან დაბრუნებულ ვასო პაპას უცნაური სურათი დახვდა. ძაღლებს პატარა შუაში მოექციათ, თავები თათებში ჩაერგოთ და გატრუნულიყვნენ. პაპა ჯერ შეშინდა, მერე გამოერკვა და ნამძინარევი მეზობლები შეყარა, საავადმყოფო იქვე იყო და სასწრაფო წამში მოვიდა.

– ჰე, ადექით ახლა და ბოლომდე ქენით სიკეთე, ახლა ჩვენი ჯერია, ჩემო კარგებო! – ეფერებოდა პაპა ძაღლებს. ისინიც ზღაზვნით წამოდგნენ და თავიანთ ადგილებს მიამურეს. უკვე კარგად გათენებული იყო, როცა ექიმებმა ყველაფერი მოამთავრეს და დაღლილები სავარძლებში გადანანილდნენ. მთავარმა ექიმმა კოლეგებს გადახედა, დამლაგებელს უხმო და სთხოვა:

– თამარა დეიდა, ჩემს კარადაში ერთი ბოთლი შამპანური მაქვს შემორჩენილი, წამოიღე აღვნიშნოთ და თან პატარას სახელი შევურჩიოთ.

მოსაცდელი არავის არ დაუტოვებია, პაპაც იქ იყო და მეზობლებიც, სასწრაფოს ექიმმაც შემოირბინა და ამბავი იკითხა, არც პოლიციელს მოუცვლია ფეხი, ყველა პატარას გადარჩენას აღნიშნავდა და ხალისით იხსენებდნენ, როგორ დარბოდა დაბნეული პაპა, როგორ ეხვეწებოდა იარაღმომარჯვებული ახალგაზრდა პოლიციელი ძაღლებს, უცებ ვილაცამ იკითხა: ბავშვს რა დავარქვათო და სიჩუმე ჩამოვარდა. ვასო პაპა წამოდგა და იქ მყოფებს დარბაისლურად მოახსენა:

– ახლა ყველანი ჩემთან წავიდეთ, ისეთი ღვინო დაგალევინოთ, რომა სახელსაც მოგაფიქრებინებთ და გვარსაცა.

პაპა გასასვლელისკენ ღიღინით გაემართა, ყველანი



უკან გაიყოლა, ორივე ხელით კარები ფართოდ გამოაღო და გაჩერდა. კარებში ცალთვალა, საშინლად დამახინჯებული ძალღი იჯდა და კბილებით ჟანგიანი ჟეტონები ეკავა. პაპამ ჩაიმუხლა და თავზე ფრთხილად გადაუსვა ხელი. ძალღმა ჟეტონები ძირს დაყარა, ლაშები გაილოკა, მერე ერთი ცალი აიღო და პაპას მიაჩერდა. ვასომ ჟეტონები ხელით მოსინჯა, დააკვირდა, კარგა ხანს ხმას ვერ იღებდა, მერე კი ძლივს ამოილაპარაკა: ესეც თქვენი სახელი: გოშა, მეორე ბრიგადა, ეს კი ჩვენი ბოშა ყოფილა, ხალხნო!

პაპა ძირს დაჯდა, ბოშა გულში ჩაიკრა და აქვითინდა.

## ნოსტალგია

ყველაზე ტკბილი და მისტიური არსებები, ბავშვის თვალით რომ ვხედავდი და ძალიან მენატრებიან, ესენია: ორი ნინა ბებია, დაქალები, ერთ დღეს დაბადებულნი და გარდაცვლილნი.

ეს ამბავი ჩემს ბავშვობაში მოხდა, ბებოს დაქალი ესტუმრა, კიბეები ხვნეშით ძლივს ამოათავა და კალთაზე ხელების სავსავით ახალი ამბავი გვამცნო:

– ეს რა იკადრეს, ხალხო, თამარასა ჩაის სერვიზი ჩუმად გაუყიდეს და ტელევიზორი იყიდეს ამ უღმერთობმა, ვერ გადაიტანს, ვერაა! – წაუმღერა სევდიანად და იქვე ჩამოჯდა.

\* \* \*

ერთ მონყენილ და თბილ საღამოს ოჯახის წევრები მაგიდას შემოუსხდნენ, ჩაის ჭიქებში კოვზები აარაკუნეს, კარაქი ლავაშზე გადაინანილეს, ზედ ყველის ნაჭრები მოარგეს და ორთქლიან ჭიქებში თავები ჩარგეს.

– სხვათაშორის, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აქციაა ელექტრო საქონელზე. – ისე ჩაილაპარაკა ოჯახის უფროსმა, რომ ჭიქიდან თავი არ აუნეგია.

– მერე? – ერთხმად იკითხა ცოლმა და ცოლის დამ.

– რა მერე, რალა დროს ეს ტელევიზორია, მოძველდა, ხომ არ გამოგვეცვალა?

– შენი ხელფასის პატრონი ნათურას რომ ცვლი, ის მიკვირს და ...

– მაქვს რალაც ორი კაპიკი გადადებული შავი დღისთვის და რალა შავ დღეს ველოდოთ? აგერ მოვიხმაროთ კარგი საქმისთვის, მარა ერთი მაგდენი რომ უნდა კიდო,

რა გინდა რომ ქნა?

– ბავშვებს ბოტასები უნდათ, მე კი ორ დღეში დაბადების დღე მაქვს და ერთხელ მაინც გაგახსენდეს! ისეთი სუნამო აქვთ ჩამოტანილი, რომ...

– არა, არა, ასე არაფერი გამოვა, მხოლოდ და მხოლოდ ტელევიზორი! მე ფეხბურთებს ვუყურებ, შენ – სერიალებს, ბავშვები – კომპიუტერს ...

– ეს სერვიზი ხომ არ გაგვეყიდა? – უცებ შეცვალა თემა და ვერცხლის კოვზით ვერცხლის საშაქრიდან შაქარი ფრთხილად ჩაიყარა.

– არა, ამას მე ვერ გავაკეთებ, ეწყინება. – ჩაილაპარაკა ცოლმა.

– რისი მაქნისია, ან რატომ უნდა ეწყინოს, რა მესჩანობაა ვერცხლის კოვზების ტრიალი. –აკაკანდა ცოლის და.

– არც არაფრის! უბრალო სერვიზიც მოგვივა და ტელევიზორი, ამირანამ თქვა: კატალოგისაა და კაი ფულს მოგცემენო, მარა რომ არ დაგვთანხმდეს? მერე კი ველარ მოკიდებ ხელს, ისევ სჯობს გავყიდოთ და ტელევიზორს რომ ნახავს, არაფერს იტყვის, წყენა გადაუვლის და როდამდე ვითმინო, მეც მინდა ადამიანური ცხოვრება, მაგასაც ხომ უნდა მოვლა, ნამლები, საჭმელი... – აყვირდა დიასახლისი, ხელსახოცი გვერდზე მიაგდო და თავზე ხელები შემოიწყო.

– ხოდა, სანამ სძინავს, ჩაალაგე! – აწრიალდა ქმარი.

– არ გაყიდოთ, თორემ ბებოს ვეტყვი! – გაისმა პატარას აჭრილი ხმა.

– ისე, რომ ამბობენ, ადამიანები სიბერეში ეგოისტები ხდებიანო, მართალი ყოფილა, სად მიაქვს ის პენსია, ან იმ სკივრს რას კეტავს, ატვიორტკით გავაღე და რა იყო

შიგნით თუ იცით: ბაბუაჩემის ხანჯალი, შარვალი, პერანგი, ალბომი და რალაც წვრილმანები. მოკლედ, ღმერთმა მასე არ გამომაშტეროს! – თავი დაიმშვიდა ცოლმა და საძინებლისკენ გაემართა.

ღლით სერვიზი ამირანას ჩააბარეს საკომისიოში, სალამოს კი ტელევიზორი კედელზე ეკიდა და ბედნიერი ოჯახი ყავის თანხლებით, მეზობლებთან ერთად აღფრთოვანებას ვერ მალავდა. კარი ჭრიალით გაიღო, მოხუცი დინჯად გამოვიდა თავის ოთახიდან, ტელევიზორი შეათვალიერა, მოიწონა შენაძენი, მშვიდობაში მოგახმაროთო ღმერთმა! – დაილოცა. – ჩემთვისაც რომ გეკითხათ, კარგი იქნებოდა. – თბილად გაუღიმა ყველას, წნევა მოიმიზეზა და ბოდიშის მოხდით თავის ოთახისკენ გაემართა. ყველამ შვებით ამოისუნთქა.

\* \* \*

წინა ღამით კი ბებოს ნამლები არ დაუღევიდა, მარტო წნევის დამწვევი დალია, საძილე და დამამშვიდებელი აბები ხელსახოცში გაახვია, წამოწვა და ნათვლიმა, მაგრამ დიდხანს არ უძინია, ჯერ შვილიშვილი შემოვიდა და სათამაშო გაათრია ხმაურით, მერე რძალმა შემოიხედა და სძინავს თუ არაო, მერე მეზობელმა ატეხა კედელზე ბრახუნი და ბებოსაც საბოლოოდ დაუფრთხა ძილი, ის იყო ადგომა და ოთახში გასვლა დააპირა, რომ ტელევიზორის და სერვიზის თემას მოჰკრა ყური, გაჩერდა, მიაყურადა, ცოტა ხანში გულნატკენი მოხუცი სანოლზე მიწვა და ფიქრებს მიეცა.

– უყურე შენ, ნამლებსაც მამადლიან, ზედმეტი ბარგი ვარ, არავის ვჭირდები, მარტო ის პატარა ტრაბახა ფიქრობს ჩემზე, როგორ თქვა: აღარ მინდა ბოტასები, ბებოს ეწყინებო, ჰმ! პენსია სად მიაქვსო, ჩემი დასა-

მარხი ფული არ მოვაგროვო? რალა ჩემ სერვიზს დაადგეს თვალი, ის ხომ ჩემი ცხოვრების ნაწილია, მკითხონ მაინც, არაფრად მაგდებენ, ასეთ ცხოვრებას რა აზრი აქვს! ამირანა არ მომატყუებს ჩემ ხელშია გაზრდილი, ეჭ, რა ბედნიერები ვიყავით, არავინ გვაკლდა ყველა სალამოს და მაგიდასთან შეკრებას ველოდებოდით.

– აბა, ჩვენო ცქრიალა, გაგვიწყე სუფრა და შენი ნაქები მურაბებიც თან მოაყოლე! – ჩაესმა მეუღლის რიხიანი ხმა და ბაბუს თბილი ტონიც გაახსენდა: – ეს სერვიზი, ბაბუ, ჩვენ გვემსახურა მთელი ცხოვრება, ნამეტანი კარგად გვაქვს დაცდილი, ოჯახს აერთიანებს, გაუფრთხილდით და ნუ დაკარგავთ ამ დიდებულ ტრადიციას, შემოუსხედით მაგიდას ჭიქა ჩაიზე, გაგვისხენეთ, როცა აღარ ვიქნებით და მოეფერეთ ერთმანეთს! სკივრს თავი მძიმედ ახადა. რამდენ რამეს იტევდა ეს ჯაბახანა: ძველმანები, ჩურჩხელები, კანფეტები, საჩუქრები, ამიტომაც კეტავდა, რომ არავის ენახა, რა სიურპრიზებს უნახავდა დიდსა თუ პატარას. ბებომ გასაღები ეზოში მოისროლა, ყუთიდან ძველი ალბომი ამოიღო, კალთაში მოირგო და.... ზოგს თითებით ეალერსებოდა, ზოგსაც ხან ტუჩებთან, ხანაც ლოყაზე იდებდა და ნალვლიანი მზერით აქეთ – იქით ირწეოდა.

\* \* \*

ამ ამბების შემდეგ ბებო მალევე გარდაიცვალა, დაიძინა და აღარ გაუღვიძია. ყველამ ღირსეული პატივი მიავგო, სამძიმარზე შეილსა და რძალს ათასგვარი ეპითეტებით ამკობდნენ და აქებდნენ, რაც თქვენ გააკეთეთ, ამას სხვა არ იზამდაო, მოხუცთა თავშესაფარში ჩააბარებდაო და ასე შემდეგ, ისინიც ქებას იფერებდნენ და გამუდმებით ჰყვებოდნენ, თუ როგორ იკლებდნენ ყველაფერს და

უვლიდნენ.

ბებო დაკრძალეს, ქელეხმა ჩვეულებრივ ჩაიარა, ხალხი ბანცალ – ბანცალით დაიშალა და ჭირისუფლებიც შინისაკენ გაემართნენ.

სახლში რალაც უჩვეულო სიცარიელე და სინყნარე სუფევდა, თითქოს რალაც მნიშვნელოვანი აკლდა გარემოს.

– ეჭ, არ უნდა გაგვეყიდა ის სერვიზი, ვანყენინეთ.– ჩაილაპარაკა მამამ და ცოლს გადახედა. – ოჭ, რა ვიცოდი, ასე მალე თუ მოკვდებოდა.

– გარდაიცვლებოდა! – შეუსწორა ბავშვმა და ბებოს ოთახში გავიდა.

ამ საუბარში იყვნენ, რომ ბავშვის უცნაური ხმა გაისმა: – იცით, აქ ჩვენი ჩაის სერვიზი დევს!

დაბნეულ უფროსებს ოთახში უცნაური სურათი დახვდათ, სკივრში ძველი ჩაის სერვიზი იდო, პატარას კი ხელში ვერცხლის საშაქრე ეჭირა და წარწერას მარცვალ მარცვალ კითხულობდა: „სახსოვრად ჩემს ჭკვიან და გულისხმიერ შვილიშვილს ბებიკოსაგან“

– სანამ შენ მოხვიდოდი, დილით ბებომ დამირეკა, თავისი მოგროვილი პენსია გადმომცა და საიდუმლოდ მითხრა, რომ ეს ფული შენთვის მომეცა, საშაქრეზე წარწერა გამეკეთებინა და სერვიზი მასთან მიმეტანა, მაგარი ქალი იყო ცხოვრებული, არავისთან არაფერი შეშლია, ღმერთმა ნათელში ამყოფოს! – ჩაილულულა კედელთან აყუდებულმა ამირანამ, ცხვირსაბოცით ცრემლები შეიმშრალა და კიბეებს ბარბაცით ჩაუყვა. „რატომ ვცვლით ძველ ნივთებს ახალზე, ის ხომ ჩვენი ნოსტალგიაა“... ფანჯრიდან ბიტლზების სიმღერა შემოიჭრა, ყურებჩამოყრილ მსმენელებს შემოუფრინა და მანქანასთან ერთად გაუჩინარდა.

## ჟური

სოფლის ავტობუსმა აღმართი ხვნიშით ამოამთავრა, დატრიალდა, დაიფრუტუნა, ჩაქრა და ორჯერ გაბმულად დაასიგნალა. მეზობლებმა ნელ-ნელა იწყეს ავტობუსის გარშემო შეკრება და თავისი ნივთების ძებნა.

ჟურია ჩამოხტა, საბურავს ქვეშ რიყის ქვა შეუცურა, მოხუცს ტომარა ჭიშკართან მოატანინა, მერე რუბენას წამოეწია, მძიმე ჩანთა ურიკაზე დაადებინა, სალონიდან ტვირთი ჩამოხიდა და ის იყო ტომარა ზურგზე მოიგდო, რომ თვალი მომკრა, თბილად გამიღიმა და მომაცხა:

– როის გვესტუმრე? აგერ ნადიეს ავატანიებ ამას, მძიმეა, ვერ ზიდავს და მოვალ ახლავე!

– ამას, ახლა რასაც ეს შობა, იზამს ვინმე? ნამეტანი კაი კაცია ჟურიე, დიდხანს არონიოს გამჩენმა დუნიაზე! – დალოცეს ქალებმა და ჟურიც ტანსაცმლის ბერტყვით ჩემკენ წამოვიდა.

– გამარჯობა, ბიძიკო, წუხელ ჩამოი?

– კი და შენ რომ გჭირდება, ისეთი რალაცეები ჩამოგიტანე. – გავუნოდე ცელოფანი.

– რეიზა შობი, ბიძიკო, ამას, რეიზა იხარჯები, მრცხვენია უკვე შენი, მარა პატარა ბავშვივით მაინც ქე მიხარია შენი დანახვა, ის სანთებელაც მიხარია და სანერკალამიც, იმიტომ, რომ ვიცი გულთ შობი ამას, იცი, რომ გამიხარდება და სანამ შენზე ვინმე ფიქრობს და ახსოვხარ, ღირს ცხოვრება. აბა, გუშვინ ვალიკომ რომ მიკითხა, იგია მოკითხვა? გზიდან მომაცხა: რაფერ ხარო და პასუხს არ დალოდებია, ჩეიარა და წევიდა. წევედი ახლა მე, ნადიეს წამლებს ავუტან! ფული არ ჰქონდა და მოერიდა, დღეს გოუთავდებოდა უკვე და როცხა ექნება, კი მომცემს მერე, ასეა ეს ცხოვრება: შენ მე მჩუქნი, მე – სხვას,

მერე ის სხვაც დადგება კაი ხასიათზე და ვინცხა იქნება – გოუხარებს გულს, გადამდებია ყოლიფერი, მოკლედ, სალამოს გელოდები და არ დამალატო!

\* \* \*

ჟურიმ სანთლის არაყი ჩამოასხა და მორიგი სადღეგრძელო დაიწყო: – აბა, გაიხსენე, ბიძიკო, ბოლოს ვინ გითხრა ტკბილი სიტყვა, ვინ მოგეფერა, ვინ შეგაქო, ვინ გაგახარა, ვინ იყო ის ღვთისნიერი ადამიანი, ვინაც დაგავინყა ყოლიფერი ცუდი და გული გაგითბო, ან შენ თუ მისულხარ ისე, ტყულა და მოფერებხარ, თუნდაც სიტყვით, არა ხომ? არა და, როგორ გვჭირდება ყველას და არ ვშობით ამ უბრალო და კეთილშობილურ საქმეს. რომ მიხვალ სახლში, მოეფერე ყველას, ვინც შეგხვდება: პირველი, მეორე, დიდი თუ პატარა, ნაწყენი თუ უწყინარი და ნახავ, როგორ ამალღები, შემსუბუქები და გახალისები, ყველა ასეთ კაცს გაუმარჯოს და იმასაც, ვისთვისაც ეს უცხოა, ცოდვაა, ბიჭო, იქნება მასაც გოულღვეს გული და გაეხსნას გონება, თუმცა რას გიხსნი, შენ კი ხარ მამფერი, ხოდა, დავთვერი და ე, მისი ბრალია ყოლიფერი!

– კაცო, რა მაგის პასუხია და რა იცით გურულეებმა ეს ორ – ორი სახელი?

– პასპორტში იმედა მიწერია, მიოთხე წელში ვიყავი და ერთი კაკალი სიტყვა არ მქონდა ნათქმი, ერთ სტუმრიან სალამოს ბებიაჩემმა დაცვარული კოკით ღვინო შემოიტანა, მე ხელი ავუსვი და მიკითხავს: აი ჟურია? მერე მამაჩემს ყანწი გუვარდა ხელიდან და დედაჩემს ჩაის ჭიქა.

ლამის თავზე დაგვათენდა, ჟურიმ ცელოფანში ჩაწყობილი სანთლის არაყი, ყველი და თხილი მორიდებით მომანოდა და ჭიშკრამდე მიმაცილა.

\* \* \*

ერთი წლის შემდეგ ჟური ქალაქში ვნახე, ძველ კორპუსთან, ოდნავ ნასვამი და ჩაფიქრებული იდგა მეზობლებთან ერთად. ჩემს დანახვაზე სახე გაუნათდა, ხელი ჩამომართვა და მკითხა:

- საიდან გაიგე?
- რა ჟურიე?
- აგი ჩემი ნაპარნიკის ამბავი, გარდაიცვალა.
- რამ მოკლა სანყალი, ახალგაზრდა იყო.
- რამ კი არა და ვინ მოკლა!
- მოკლეს კაცო? – გამიშრა პირი.

ხოდა, მაი რომ გეიგო, ადი სამძიმარზე და ვენოკებს დააკვირდი, ზედ ანერია, ვინც მოკლა. ძველი ანეგლოტია მაი, ჩემი კარის მეზობელი იყო და კი შემოდი მერე ჩემთან.

- სად შენთან, წამოხვედი სახლიდან?  
- კი, ჩემო ძამია, ყველას თავისთვის უნდა ცხოვრება, მყუდროდ, უპრობლემოდ, ხოდა, ავდექი და წამოვედი, ისე მაგენმა მიყიდეს ეს ბინა, ასე ჯობიაო, შენთვის იქნებო, შენ გემოზეო.

- გამოგაგდეს კაცო?
- არა, მასე ნუ ამბობ, მე თვითონ წამოვედი.

ჟურიემ ღვინო ჩამოასხა, შესანდობარი შესვა, ეზოში შემოსულ კატაფალკას გახედა და ჩაილაპარაკა: – იცი შენ? როცა მძლოლის გვერდით მოკალათებული ჭირისუფალი უკანასკნელ გზაზე მიაცილებს მიცვალებულს, ის ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს, რომ ძალიან ახლოა მასთან.

- ეს ეზოში და ხეხილში გაზრდილი კაცი ახლა მარტო ცხოვრობ ამ სოროში? ან შვილიშვილებს როგორ შეე-  
ლიე?

- რატომ მარტო, ამ ხალხს ხომ ხედავ? არც ჩემები მაკლებენ ყურადღებას, გული რომ გამიხდა ცუდად, კალიდორში ხალხი არ ეტეოდა, გადამყვენ ჩემები.

ჟურიემ ჭიშკრამდე გამომაცილა, მანქანის კარი გამიღო, მეზობლებს გახედა, ნალვლიანი თვალებით შემომხედა და მითხრა: იცი ბიძიკო, მთელი ჩემი ცხოვრება ერთ დიდ ოჯახზე ვოცნებობდი და კიდევ შევძელი მარტომ, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ იმ ჩემს აშენებულ ციხე-კოშკში ჩემი ადგილი არ იქნებოდა. მშვიდობიან მგზავრობას გისურვებ, ჩემო ბიძიკო, და დედას გაფიცებ, როცა კი ჩამოხვალ, ჩემს უნახავად არ წახვიდე, ბიჯო, ხომ იცი, შეიძლება ქვეყანა გესიოს თავზე და მაინც მარტო იყო.

\* \* \*

ექვსი თვე ველოდი ჟურიესთან შეხვედრას, რა არ ვაგროვე მისთვის, გზა ისე დაილია ფიქრებში, ვერც კი გავიგე, ჭიშკარი შევალე, საჩუქრებით სავსე ცელოფანი სავარძელზე მივაყუდე და საათს დავხედე, ავტობუსის მოსვლის დრო იყო და ისიც გამოჩნდა, გაჩერებასთან უჩვეულოდ სწრაფად დატრიალდა, კარები გააღო, მძლოლი ჩამოხტა, საბარგულები გახსნა და ქალებს დაუცაცხანა.

- ჰე, მიხედეთ, ამ თქვენს ტვირთს და მომაცილეთ დროზე, მეჩქარება!

- შენ ვინ გითხრა, ნენა, მაგიზა ჩამოი? აღარ გვყავს ჩვენი ჟურიე, მარტომ დალია სული თავის სახლში. – ექიმმა თქვა, ვინმე რომ ყოფილიყო – გადარჩებოდაო, მაგის ცოდვა არ მოასვენებს მაგისიანებს, რაფერ მიაგდეს მარტო, ნენა! – სევდიანად წაუმღერა ბებომ, კალთაზე ხელები შემოირტყა და იქვე კუნძზე ჩამოჯდა.

პანაშვიდზე აუარებელი ხალხი ირეოდა და ყველა სინანულით იქნევდა თავს.

– რით მოკვდა სანყალი? – იკითხა ვილაცამ და ჟურის ანეგდოტი გამახსენდა. ვენოკებს ლამაზი ასოებით ეწერა: მეზობლებისგან, ნათესავებისგან, თანამშრომლებისგან, ოჯახისგან...

აივანზე გავედი, სიგარეტს მოვუკიდე და კუთხეში აჩონჩხილი ჟურის სანერ მაგიდას თვალი შევაგლე, უფრა სავსე იყო ათასგვარი ნივთებით, კუთხეში ჩემი ნაჩუქარი „ზაჟიგალკები“ ერთ ლამაზ ყუთში შეენახა ხელუხლებლად, თვითონ კი უბრალო სანთებელას ხმარობდა ყოველთვის, იქვე ჩემი ტყავგადაკრული დავთარიც ვიცანი, რკინის საკეტიტ, რომელიც გამორჩეულად უყვარდა და საქმიანად იწერდა ათას რაღაცეებს:

თამარას ერთი ტომარა ფქვილი ასატანია, ვერ ზიდავს.

ჟორას – წელის წამალი, ვასილას – მინის საჭრელი სჭირია, ლამროს ბადიშს რვეულები არ აქვენ. ჟენოს – რა ხანია, ნათურა აქვს დამწვარი... მთელი სოფლის ძირი და ლხინი ამ ბლოკნოტში იყო ჩატეული და არასოდეს ავინწყებოდა სხვისი ტკივილი. აივანზე პატარა გამოვიდა, ეჭვით შემათვალაიერა და მკაცრად მკითხა: – ვინ ხარ შენ, ბაბუაჩემის უფრაში რომ იქექები?

– მეგობარი ვარ მისი და იცის მან ეს.

– კტარმა? – გაიკვირვა და ცალი თვალი მოჭუტა.

– ვინ გითხრა მერე რომ მოკვდა, ცოცხალია და გვიყურებს ზეციდან.

– რასაა რომ ჩივი, მაი აქ ვერ ხედავდა ვეფერს და იქედან რას დეინახავს?

– ხედავს, ხედავს და მერე როგორ!

ავიხედე ცაში და სანვიმრად გამზადებული ღრუბლე-

ბი შევათვალაიერე.

– შეგიძლია გააგონო? უთხარი, რომე რკინის კუზავოიან მანქანას რომ შემპირდა, აგერ ვარ და ჩამომიგდოს მაშინ ზეიდან, შუუძლია?

– კი, როგორ არა!

– ხოდა, გამეინე აქით, არ დაგეცეს, თვარა ახვალ შენც ბაბუაჩემთან მალლა, მძიმეა მაი მანქანა, თლა რკინაა!

პატარამ შარვლის ტოტზე ხელი მომკიდა და ოთახისკენ მომქაჩა.

– ვინ ხარ, ბიჭო, შენ ამდენს რომ ლაპარაკობ, ენა მხრებზე რომ გაქვს გადებული?

– მე იმედა მქვია, მარა მეძახის ვინმე? ვინ არიან ესენი, უფ!

– აბა, რას გეძახიან?

– რაცხა ჯღანი სახელია – ჟურე!

– იცი შენ, ბაბუაშენი რა მაგარი კაცი იყო? ხოდა, გაუფრთხილდი იმის სახელსაც და გვარსაც, გაუფრთხილდი და ამ ბლოკნოტში ჩაწერე შენი ბორტიანი მანქანა, აუცილებლად გამოგიგზავნის ბაბუ, ოღონდ ერთ თვეში, მე ჩამოგიტან.

\* \* \*

კარგი ფილმივით დამთავრდა ჩემი და ჟურის მეგობრობა და დაიწყო რაღაც ახალი, რაც ჩემგან შორს, ძალიან შორს იყო. მას მხოლოდ შორიდან თუ ვადევნებდი თვალს.

## დედის სურნელი

**„ღმერთო, ნუთუ ბრმა უნდა იყო, რომ სიცოცხლეს ხედავდე?“**

მეხუთე კლასში ვიყავი და თითქმის ყოველ დღით ვხედავდი ჩემზე ორი წლით უფროს უსინათლო ბიჭს, რომელიც თავისი პატარა ჯოხით ჩაივლიდა ხოლმე ჩვენს ქუჩაზე, სახლის წინ, განათების ბოძთან ჩერდებოდა, შეისვენებდა და გზას აგრძელებდა. სწორედ ამ დროს გამოვდიოდით სახლიდან მე და დედაჩემი. ბიჭი ჩვენგან მოშორებით, მესამე ქუჩაზე, ცხოვრობდა და სწორედ მის სახლთან მოხდა ჩვენი გაცნობა.

ჩანთის და ქურთუკის ნართმევა დამიპირეს, ძიძგილაობაში ვერც კი შევნიშნე, როგორ გამოვიდა არკიდან, ორს ხელი გადახვია, კისრები მკლავებში მოიქცია და ლამის თვალები დააყრევინა. მესამეს ადვილად გავუმკლავდი და თავს გაქცევით უშველეს.

– მე ნიკა მქვია, წამოდი ჩემთან ავიდეთ, ცოტა მოწესრიგდები.

- რეზო! – გავუწოდე ხელი.
- ვიცი, ვიცი.– ჩაილაპარაკა და წინ გამიძღვა.
- როგორ გაიგე მეორე სართულზე?
- უფრო შორს ვგრძნობ, როცა ვინმეს უჭირს.
- იქნებ ჩემი ბრალი იყო რამე?
- ისინი სიგარეტის სუნად ყარდნენ, შენ კი შენი ბალის სურნელი დაგყვება, ვერ იქნები ცუდი ადამიანი.

მართლაც მქონდა ჩემს პატარა ეზოში პატარა ბალი.

- მაგრად შევაშინეთ, არა?
- ხო, მაგარი ცეცხლი დავუნთეთ!
- ცეცხლი რა ფერია? – გავირინდე პასუხის მოლო-

დინში.

- მზის ფერი
- მზე? მზე რა ფერია?
- ცეცხლის ფერი. – გაეცინა ნიკას და განაგრძო: ორივე კამკაშაა და სიყვარულის ფერია, თვისებაც ერთნაირი აქვთ, სამივე მწველია.
- გინდა გითხრა ფეხზე კედები რომ გაცვია?
- საიდან მიხვდი?
- უხმაუროდ დადიხარ და რეზინის სუნზე. ლამაზი ბალი გაქვს? – ჩამეკითხა ნიკა, ყვავილებს ფოთლებზე ხელი ფრთხილად გადაუსვა, მიწა თითებით გააფხვიერა, ნადგამი წყალი დაუსხა და გააგრძელა:
- როცა ამათ ვუვლი, ვგრძნობ, როგორ უხარიათ, ისინი ხომ ჩვენსავით ცოცხლობენ, სუნთქავენ, გველოდეებიან.
- ამაზე არ მიფიქრია, ეს ვისი სურათია, მსახიობია?
- ავხედე პორტრეტს.
- დედაჩემია, ჩემს მშობიარობას გადაჰყვა. – მშვიდად მიპასუხა ნიკამ, სკივრიდან დაკეცილი კაბა ამოიღო, სახესთან მიიტანა, მერე გამომიწოდა და მკითხა:
- გეცნობა?
- საიდან? პირველად ვხედავ. – ვუპასუხე დაბნეულმა.
- ხედავ? ეგაა შენი პრობლემა, უნდა გრძნობდე! დედაშენს და დედაჩემს ერთნაირი სუნამო უყვარდათ. როცა დედაშენი გვერდზე ჩამივლის, დედას ვგრძნობ, ის ცოცხლდება და ჩემთან არის.
- ნაცნობი სურნელი ვიგრძენი, კარგად შემორჩენოდა სათუთად დაკეცილ კაბას.
- ყელში რაღაც ბურთივით გამეჩხირა, მივხვდი, რატომ ჩერდებოდა ჩემი სახლის წინ და ელოდებოდა დედაჩემის

გამოსვლას, მივხვდი, რომ ჩემზე უკეთესად აღიქვამდა სამყაროს და ჩემთვის ყოველი ჩვეულებრივი დღე, მისთვის ძვირფასი და სიცოცხლით სავსე იყო.

ერთი წელი ვიმეგობრეთ, ბევრი რამ ვისწავლე მისგან, მერე ის ლენინგრადში წაიყვანეს საოპერაციოდ და აღარ მინახავს...

\* \* \*

ჭავჭავაძის აღმართს ავუყევი, ძველ უბანს თვალი შევავლე და უკან დაბრუნებისას გულმა ველარ მომითინა, გრიბოდოვის ქუჩაზე ნაცნობი რკინის კარები შევალე და პირველივე ოჯახს ვკითხე: – იცით, აქ ერთი უსინათლო ბიჭი ცხოვრობდა, ნიკა ერქვა, ლენინგრადში წაიყვანეს საოპერაციოდ, რამე ხომ არ იცით მის შესახებ?

– არა, პირველად მესმის. – მიპასუხა ახალგაზრდა ქალბატონმა და ის იყო კარები უნდა მოეხურა, რომ ოთახიდან მოხუცი კაცი გამოვიდა, ყურადღებით შემათვალეირა და მომახალა: – ნიკა დიდი ხანია, გარდაიცვალა, ოპერაციიდან 15 წელი იცოცხლა, თვალები ვერ აუხილეს, სიმსივნე ჰქონდა, დარჩენილი ცხოვრება ამ ეზოს, სახლს და აივანს ნატრობდა.

- რატომ არ ჩამოიყვანეს?

- გაყიდეს ყველაფერი, როგორღა ჩამოვიდოდა, აბა, ოპერაციას ცოტა უნდა? იქ დარჩენენ, ლენინგრადში, ბოლოს მებალედ მუშაობდა და თქვენ ვინ ხართ?

- მე? მე – არავინ! ერთად ვიზრდებოდით ცოტა ხანს, სულ რაღაც ერთი წელი...

თუმცა დამიტოვა მთელი სამყარო და დედის სურნელი.

## პალი

– რა ქენი, ბაბუ, ლატარიის ბილეთები რომ გთხოვე, მომიტანე?

– კი რუბენა, ორი შენ გიყიდე, ერთიც – ჩემთვის.

– ჰე, რას უცდი მერე, გადავფხიკოთ!

– აირჩიე! – კარტივით გაშალა ბილეთები გიომ და ბაბუს მიუჩოჩა.

რუბენამ ორ ბილეთს დაუფიქრებლად მოჰკიდა ხელი, ქამრიდან ჯაყვა შეიხსნა და საქმეს შეუდგა.

– რაა ეს ამხელა დანა რომ დააძრე, ქათამს კლავ, თუ რას შობი, მაგას ხურდა ფულით ფხეკენ! – დაუცაცხანა ცოლმა.

– გაი იქით, დედაკაცო, ნუ ითარსები!

– რა გენყინა, ჩემი დაბეჭდილია თუ?

– შენ რაც დაბეჭდე, აგერ გორავს ერთი კვირაა და სვამს, არაა მაგ ჩემი შვილი!

– ვინ მომცა მე მოგების ბედი! – გიომ წაგებული ბილეთი რუბენასაკენ წკიპურტით მოისროლა და თავი ჩაქინდრა.

– რას იზამდი, ბაბუ, ასე ათასი ლარი რომ მოგეგო?

– რას ვიზამდი? რა ვიცი, რომელი ერთი გითხრა: ბინის ქირა, სწავლის ფული, ფეხზე ჩვენ არ გვაცვია და ტანზე, ერთ ას ლარს შენ მოგცემდი, იცი, რა თოფი იყიდება ორას ლარად? – გიომ სიგარეტს მოუკიდა და კვამლში გახვეულ ოცნებაში გაიბლანდა.

– ჰმ! ას ლარს? ორასი რომ მომცე, შენი რა მიდის?

– ბაბუს ეშმაკურად ჩაეცინა და მოგებული ბილეთი გიოს მიუჩოჩა. – აქ ათასი ლარია, გააღვიძე ეს შენი ძმა და მომაცილე აქიდან, სანამ გალოთებულა, დღესვე წაით თბილისში, ხვალ ორშაბათია, სამსახურს ნუ გააცდენთ



ჭამა-სმის გულიზა, წაიღეთ ეს ფული და მიხედეთ თქვენს გაჭირებულ ცხოვრებას. ჰმ! ას მანათს მოგცემდით, მაგი მე რომ მეთქვა, კიდე ჰო! – ჩაილაპარაკა რუბენამ და პაპიროსს მოუკიდა.

\* \* \*

დათას ვერც ლუდმა უშველა, წელი ძლივს აითრია ავტობუსში, სავარძელში ჩაეშვა, სხვათაშორის იკითხა: რაო, რა მოვიგეთო და ჩაეძინა. ერთი გამოღვიძება რიკო-თზე არყით აღნიშნა, ისევ იკითხა გონებაში ჩარჩენილი რაო რა მოვიგეთო, მერე ჩაილულულა: რუბენა კაკლის ჩერომდე ვერ გადისო და ჩაეძინა.

დიდუბეში გიომ დათა და ჩანთა ძლივს ჩამოათრია ავტობუსიდან. უკვე დაბნელებული იყო, თავისუფლებაზე რომ ამოვიდნენ და უნივერსიტეტის ბნელ კუთხესთან შეჩერდნენ, მინებიდან გამოსული შუქი ოდნავ ანათებდა ამ ადგილს, მაგრამ მაინც კარგად ჩანდა შაოსანი ქალი ჩონგურით ხელში ორ პატარა ლანდთან ერთად.

კიბეზე გოგონებმა ჩაირბინეს და ხურდა ფული ჩაუყარეს კალთაში.

– ღმერთმა დაგლოცოთ! – მადლიერად დაუკრა თავი ქალმა.

გიომ ქალაღდის ფული კალთაში ჩაუგდო და გაშტერებულ დათას ხელი მოკიდა, კიბეზე რომ არ დაგორებულყო.

– შენ გაიხარე, შვილო, მადლია, მარტოკა ზრდის ამ ორ პატარას, სიმღერით არჩენს, შვილი და რძალი დაუხვრიტეს იმ ურჯულოებმა, სანიმუშო ოჯახი ჰქონდა შვილო სოხუმში. – ამოიოხრა უცნობმა და კიბეზე მძიმედ დაეშვა.

– ღმერთო, რა ნაცნობი ხმაა, სად მინახავს? – ჩაილა-

პარაკა გიომ.

– კახეთში! კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, რას მერჩოდ, რატომ წამოვედით, რა რუბენა, რის ლატარია...

სახლამდე იბუზლუნა დათამ და დაწვა თუ არა, ჩაეძინა.

\* \* \*

გიომ ხელები თავქვეშ ამოიღო და ჭერს მიაშტერდა.

საწყალი ქალი, როგორ შეცვლილა, როგორ განამებულა, მეორე ბავშვიც შეძენიათ, უცებ აირია ქვეყანა, ომიც უცებ დაიწყო, ასე იცის გადადებულმა საქმემ. უცებ ამოტივტივდა გონებაში სოხუმი, თეთრად შეღებილი ორსართულიანი სახლი, ჭლარა დეიდა ქეთო, თბილი იერიითა და მკაცრი ხმით, სულ მოფუსფუსე ირინკა ბავშვით ხელში, აივანზე გამოკიდებული სანდრო სიგარეტი-თა და ნაბახუსევი თვალებით. ჟენო ბებო, ვერ გაიგებდი: სავარძელს ჰქონდა ბებოს ფორმა, თუ ბებოს – სავარძლის, ყვავილებში ჩაფლული ბამბუკის ოთახი, გრილი და მყუდრო, პირველი სიყვარული, ვარდების ბაღი და ორ თათზე მოცეკვავე ბელკა.

\* \* \*

– გიო, ამოდი, საჩმელი ვჩამოთ, ქეთო არ არის სახლში. – გამოსძახა ირინკამ და თავისთვის ჩაელიმა.

– ქეთო რა შუაშია, არ მშია!

– თავშია, თავში! მთელი დღე ან ზღვაში ხარ, ან გძინავს, ან იმ შტერ გოგოს დასდევ, როის ჩამ?

– გიო, კეფალი და ლუდი! არ მითხრა ახლა არ მინდაო, თორემ დავრეკე სასწრაფოში! – ახლა სანდრო გადმოეყუდა ფანჯარაში.

გიომ მაღაზიიდან ლიმონათი და ნაყინი ამოიტანა და ირინკას წინ დაუღაგა.

– კარგი გოგოა მარი, არ ანკენინო, თორემ კეტოს ვეტკვი. – გაუღიმა ირინკამ და თვალი ჩაუკრა.

– ქეთოსთან ისედაც უნდა მიმეგზავნო. – თვალი აარიდა გიომ.

– ფული შემოგეხარჯა? – ჩაეცინა სანდროს.

– შენ არ მითხარი, მარის არ ანყენინოო, ხოდა, აი, შედეგიც! – თავი დაიქნია გიომ და ის იყო თევზი გაძიძგნა, რომ ქვემოდან ქეთოს ხმა გაისმა:

– ის ვილა იყო, უნივერსამთან ვარდები რომ მიართვი?

გიოს ლუკმა ყელში გაეჩხირა და ირინკას გახედა, თეფში განია და სიგარეტს მოუკიდა.

– არ გენყინოს, გიომ, ხომ იცი ამით ვცხოვრობთ, გუშინ ხელფასი ავიღე, აი, ქეთოს მიეცი, ხომ იცი, როგორ უყვარხარ, რომ ჩახვალ გამომიგზავნე, ო'ქეი! – ჩააქრო სიგარეტი სანდრომ, გიოს თეფში მიუწია და ლუდი ჩამოასხა.

\* \* \*

ქეთომ ძლივს აიყვანა საერთო საცხოვრებლის კიბეზე ზეზეულად მძინარე პატარები, საკუჭნაოს კარი მუხლით შეაღო, სახელდახელოდ მონყობილ საწოლზე დაანვინა, ნავთქურაზე ჩაიდანი დაადგა, კედელთან მიდგმულ პატარა მაგიდასთან მძიმედ ჩამოჯდა, ღვთისმშობლის ხატთან სანთელი დაანთო და უხმოდ აქვითინდა.

გონებაში ერთად ირეოდა: თბილისი, სოხუმი, ირინკა, სანდრო. უცებ გარეთ საახალწლო მამხალა გასკდა, ქეთო შეცბა, ხელები ყურებზე აიფარა, კანკალმა აიტანა, ზუსტად ასე დაიწყო სროლები სოხუმის ქუჩებში.

– ნუ გეშინია, დედა, შედი სახლში, მე არ მესვრიან! – ჩაესმა ირინკას ხმა, მერე კედელს მიხეთქებული კარი და ავტომატის ჯერი. ქეთოს თვალები ცრემლებით ავესო, მკერდი დაუსველდა, ჩანთა გახსნა და ცხვირსახოცი მოძებნა, ხელში რაღაც შეკრული ქალაღი მოხვდა, ამოიღო, ცრემლები შეიმშრალა და გახსნა, კონვერტში ლატარიის ბილეთი იღო და ზედ გარკვევით ეწერა: „ვალი“.

## მეტრომანი სხვადასხვა ტალღაზე

*ეს მეტროა, სულ რაღაც თექვსმეტობდე გაჩერება, ცხოვრებაში კი გაცილებით უფრო მეტია, მთავარია, ჩვენ როგორ გავივლით ამ გზას და რამდენად მართლები ვიქნებით, როცა ჩვენი ჩასვლის დრო მოვა.*

## აჭრილი თემები მეტროს რიტმში

– ძმურად, შეგიძლია გამატარო?

– არ შემიძლია. – მორიდებით ჩაილაპარაკა და ნაბიჯს მოუმატა.

– ოთარ, როგორ ხარ, ძმაო? წამოენია ვილაც და ხელით შეეხო.

– ვაა, ავთო, შენ გაიხარე! აქ საიდან? აბა, როგორ ვიქნები, ყველა ჩამოსვლაზე ამათ ვემალეები, სანამ 50 თეთრი ღირდა კი ვატარებდი თითო კაცს, რაც ლარი გახდა, მეც გამიჭირდა და რა ვქნა: ხან თვალს ვარიდე, ხანაც სწრაფად გავდივარ. ვინ იცის, როგორ უჭირთ და ვერ ვეხმარები. შენ როგორ ხარ? ბავშვობის მოგონებები არაა დასაკარგი! – მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ

და პირბადეებით გადაკოცნეს.

– აბა, მოყვე, სად ცხოვრობ, სად მუშაობ, ეს რა ცხოვრება დაგვიდგა, როგორ დავიკარგეთ! მომიყვე ყველაფერი, როგორ მაინტერესებს ხომ იცი.

– ცოტა გავვიჭირდა, სახლი გავყიდეთ და აქ გამომვედით, გლდანში, ზემოთ ციხეებთან, 16 სართულიანში, მე-15 სართულზე. ცოტა წნევები მანუხებს, ცოტაც – უფულობა და ვარ ასე, შენ? შენ როგორ ხარ?

– კაცო, ეგ კორპუსი ვიცი, მე-16-ზე ვარ ნაქეიფარი, გავზომეთ და ზღვის დონიდან 600–მეტრზეა და შენ თუ ყოველდღე მეტროში ჩადიხარ, კოსმონავტი ყოფილხარ, ძმაო! – ორივეს გაეცინა.

– ეგ რა არის, უარესებიც გადაგვიტანია, არ გახსოვს რა დროშიც ვართ ნაცხოვრები? რაც კარგი ჰქონდათ, ჩაიტანეს კომუნისტებმა საფლავში. – აბა, აბა, ჩვენმა თაობამ იცხოვრა მარქსიზმის, ლენინიზმის, სოციალიზმის ეპოქაში, კაპიტალიზმის გინებაში და კომუნისმის მოლოდინში.

– მაგრამ ყველაზე ერთგული რევმატიზმი აღმოჩნდა არა? – ორივეს ისევ გაეცინა და კარებთან ასე შვიდირვა წლის ბიჭს გახედა. ბიჭი გაოცებული, გაბრწყინებული თვალებით გარემოს ათვალიერებდა, ჯერ თითებით ჭაღები დათვალა, მერე გაბრდღვიალებულ ვაგონს უყურა დიდხანს და სკამზე მოკალათდა. ვაგონში ქალბატონი შემობრძანდა, ბიჭი ფეხზე წამოხტა და ადგილი დაუთმო. – იჯექი შვილო, ნახევარი ვაგონი ცარიელია.

– არაუშავს, დაბრძანდით! – თბილად გაუღიმა ბიჭმა და მოპირდაპირე სკამზე გადაჯდა. ვაგონს ასაკოვანი კაცი შემოემატა, ბიჭი ისევ წამოხტა, ადგილი დაუთმო და მეგობრების მხარეს მოკალათდა.

– რა გქვია? – ჩაეკითხა ავთო.

– გიორგი მქვია, ასე მეუბნებიან ბრწყინვალე ბავშვი ხარო და სკოლაშიც ასე მეძახიან გიორგი ბრწყინვალე მოვიდაო. – ჩამოარაკრაკა ბიჭმა.

– ხოდა, ჩემო გიორგი ბატონო, ბრწყინვალე, ამას რატომ აკეთებ? ადგილების მეტი რაა?

– დედამ მითხრა, უფროსებს ადგილი დაუთმე და ხალხში წესიერად მოიქეციო, თანაც ნახეთ, როგორ უხარიათ, როცა ადგილს ვუთმობ.

– ყოჩაღ ეგ კარგია, მაგრამ აქ მარტო რას აკეთებ, სკოლაში რატომ არ ხარ?

– აქ კარგია, მიყვარს მეტროთი სეირნობა, რალაცნაირია: ნათელი, ფუსფუსა, ადამიანები უცნაურად იქცევიან, ბევრი სინათლეა, სიბნელე და სისწრაფე საინტერესოა, სკოლაში კი ხანდახან დავდივარ. აბა, როგორ ვივლი, ჩვენ ლტოლვილები ვართ, მამა ლოგინიდან ვერ დგება, ომის ვეტერანია, ინვალიდია, ჩემს დაიკოსაც მხოლოდ წყლისა და საჭმლის მიტანა შეუძლია, ჯერ პატარაა, დახმარებას კი ვიღებთ, მაგრამ ნამლებშიაც არ გვყოფნის, ხოდა, მე და დედა ვარჩინთ, ვაშლს ვყიდით მეტროსთან, მე ვეხმარები და გაკვეთილბსაც იქ ვსწავლობ, დედასთან ერთად. ისე წერაც კარგად ვიცი, კითხვაც და მათემატიკური მოქმედებებიც მილიონის ფარგლებში, მასწავლებელმა დედას უთხრა: ეს ღვთის წყალობა არისო.

ოთარმა ჯიბიდან ხუთლარიანი ამოიღო და ბიჭს გაუწოდა.

– მე მათხოვარი არ ვარ. – განითლდა პატარა.

– ეგ რა შუაშია! როცა სეირნობა მოგბეზრდება და მალლა ახვალ, ორი კარგი ხაჭაპური იყიდე, ამ დროს მოშიებულები იქნები და დედაც დაპატიჟე.

– მოდი მაშინ მეც დაგიმატებ ხუთ ლარს და მაგ მენიუს სასმელიც მოუხდება. უთხრა ოთარმა.

– არა, ესეც ბევრია, მეორე არ მინდა! – ბიჭი უხერხულად შეიშმუშნა და ფული სკამზე მორიდებით დადო.

– მოიცა, მოიცა! ეს ხომ საჩუქარია და უარს ნუ გვეტყვი, აი, ჩვენ რომ შეგხვდებით იქ, ზემოთ, შენ ვაშლით გაგვიმასპინძლი, კარგი?

– როდის მოხვალთ? ოღონდ დღეს არა, რომ ვერ ჩამოიტანონ? ხვალ აუცილებლად დაგელოდებით, დედასაც ვეტყვი, გაუხარდება, მე ვაშლებს აგირჩევთ და დაგელოდებით, არ მომატყუოთ, მოდით რა!

– არა, არა, ჩვენ შორს მივდივართ და არც კი ვიცით, როდის ჩამოვალთ. ასე, რომ ნუ შენუხდები, აუცილებელი არაა სამაგიეროს გადახდა.

– კარგით, მაგრამ მე მაინც დაგელოდებით, აუცილებლად გვესტუმრეთ. პატარა ფეხზე წამოხტა, მოხუცს ადგილი დაუთმო და კარებს მიეკრა.

– დაჯექი, ბაბუ, ჩავდივარ მე ეხლა. – გაუღიმა მოხუცმა. – რა კარგი ბავშვია, ამდენი ხანია ვუყურებ და რა კარგი გაზრდილი შვილია.

– ბავშვი? ბავშვი კი არა თვითნაბადი ბრილიანტია, ამას დამუშავება სჭირდება, პატრონი სჭირდება, საშუალება რომ მქონდეს, ამისგან ერის კაცს გამოვძერწავდი, განათლებულს, ერის მოყვარულს, მებრძოლს, ღვთის მოსავეს და რამდენი ასეთია მერე მიგდებული უპატრონოდ ღვთის ამარა. – მოხუცმა თავზე ხელი გადაუსვა, მოესიყვარულა და დარდიანად ჩაფიქრდა. ბიჭი ვაგონიდან ჩავიდა, ფანჯარასთან გაჩერდა, მეგობრებს მადლიერი, მომღიმარე თვალებით უყურებდა, ხელებს უქნევდა, ერთი-ორჯერ შემოსძახა კიდეც: გელოდებითო და ადგილიდან არ დაძრულა, სანამ მატარებელი არ წავიდა, მანამდე კი ვაგონის ღია კარებში ხალხი ფეხდაფეხ შემოცვივდა და ადგილები დასწრებაზე გადაინაწილა.

– გამოიხედეთ რომელიმე, ბავშვიანია, დაუთმეთ ადგილი, რამ დაგაბერათ ნაადრევად, მარა ეგ სიბერე კი არა, გაუზრდელობაა, ჩამეილე, დეიდა, ფეხები, ნუ მანმინდავ და ადექი რამენაირად, თუ ინვალიდი არ ხარ! – წაუცაცხანა მოხუცმა გაპრანჭულ გოგოს და ხელჯოხით ფეხი ჩამოანეგინა.

### **ფრთხილად, კარები იკეტება! შემდეგი სადგური:**

– ოპა, ოპა, ევროპა! – წამოიძახა ნასვამმა კაცმა და გვერდი იცვალა. ვაგონი გვირაბში უდარდელად გაუჩინარდა, ხალხი მიინ-მოინია და ბებო შუაში გაჭირვებით მოათავსა.

– ახლა ვიღაცა იტყვის: ავია ეს ქალიო, მარა რაფერ არ ვთქვა, ვერ მევიცდი, შეხედეთ იმ საყურიან ბიჭს, ტანსაცმელები რომ შემოფლეთია ტანზე, ცხვირზე რა უნდა ბებია საყურეს, საქონელი ხომ არაა?! ან ეს დაფლეთილი ტანსაცმელი რას უგავს! ე, შეხედე ერთი, თუ დაუთმოს ადგილი იმ ქალს, ჩანთა მაინც ჩამოართვას ამ უღმერთომ, ამას ტარასაც კი არ იზამდა.

– ვინაა, ბებო, ტარასა? – ალღიცინდნენ ბიჭები. – ვინაა და ყოვლად უვარგისი, უსაქმური და უნაირო კაცი მთელ სოფელში, მარა ავტობუსში ვერავინ ასწრებდა ადგილის დათმობას.

– ამას შტრიხკოდი არ უნახია კისერზე, თორემ სულ გადაირევა! რა ერჩი, ბებო, იაროს დაფლეთილი შარვლით, შენ რას გიშლის?

– მე რას უნდა მიშლიდეს, ცუდი აურა აქვს დაფლეთილ ტანსაცმელს, ცუდი! რას ეუბნებით ჩვენს წინაპრებს, ერთი შარვლითა და კაბით რომ უთენდებოდათ და უღამდებოდათ, გულისფანცქალით რომ კემსავდნენ შელანძლულ ადგილებს და ოცნებაში რომ ატარებდ-

ნენ დროს, ახლის ყიდვის მოლოდინში. ახალს გჩუქნიდეს ღმერთი და ძალით ხევდე?

– მართალია ეს მოხუცი, დღეს სხვა გაგებაა და ამას სტერეოტიპების დამსხვრევას ეძახიან. თუ კაცი თვალზე გაკრასკულია, ტანზე შემოფლეთილი ტანსაცმლითაა, თვალები მიბნედილი აქვს, მაიკა ამოჩაჩული და შარვალი ჩაჩაჩული, დადის აკორტნილი, შეღებილი თმებით და ხელზე ეშმაკისთავიანი სამაჯური უკეთია, ესე იგი სტერეოტიპები დაამსხვრია და ტაშს უკრავენ, აქებენ, ადიდებენ და ეს კარგია, თუ ცუდი, არავის აინტერესებს. ამ ლოგიკით სტერეოტიპებს ყველაზე კარგად ცხოველები ამსხვრევენ, როცა ერთმანეთთან საქვეყნოდ კავდებიან სექსით და მაგრად ახატიათ გარშემომყოფები. რა გინდა, რომ უთხრა ჩვენს წინაპრებს, ერთი ხელით მტერს რომ იგერიებდნენ და მეორეთი აკვანს არწევდნენ, შრომაში რომ უთენდებოდათ და უღამდებოდათ, რომ შვილებს განათლება და საკვები ჰქონოდათ და ოჯახი ფეხზე მდგარიყო. მათ არ ეცალათ სტერეოტიპებისათვის, იმიტომ, რომ ისინი ასეთები იყვნენ, ისინი უსაქმურობას, უზნეობას და ქვეყნის მტრებს ებრძოდნენ, ისინი მისაბაძები იყვნენ და ამიტომაც დაგვიტოვეს სულით ძლიერი ქვეყანა.

– ეჰ, ქალბატონო, სადღაც წავიკითხე, ადამიანის ჩაცმულობა მისი სულიერი მდგომარეობის გამომხატველიაო.

### **ფრთხილად, კარები იკეტება! შემდეგი სადგური:**

- ჩაინიეთ თუ შეიძლება და ფეხი ჩამოიღეთ, ეს ადგილი სამი ადამიანისაა!
- დაბრძანდით ქალბატონო!
- თქვენც დაბრძანდით, მამაო. – ფეხზე წამოდგა ახალგაზრდა. ვაგონში სკოლის ბავშვები შემოცვივდნენ მუ-

ჯღუგუნებით, პანლურებითა და შეჩემას ძახილით. ვაგონი შეიშმუშნა, ყველამ მკაცრად გახედა ბავშვებს, ერთმა ხელიც კი წაავლო და შეაჯანჯლარა.

– როგორ იქცევით, აქ ხალხს ვერ ხედავთ, ან რა სიტყვებს ხმარობთ, თქვე უღმერთოებო, იოანე ზოსიმე ქართულს ღმერთების ენას ეძახდა და თქვენ ვინ გაგზარდათ, ასე რომ ამახინჯებთ. – გაბრაზდა მამაკაცი და სვანური ქუდი თავზე ნერვიულად შეისწორა, მერე მეორეს წაავლო ხელი და შეანჯღრია.

– ბავშვები არიან, გაიზრდებიან და დაღვინდებიან.– გამოესარჩლა ვილაც.

– გაზრდით კი გაიზრდებიან, მაგრამ დაღვინების რა მოგახსენოთ, მეშინია არ დაძმარდნენ, როგორ თქვა იმ პატარა ჩანთიანმა? ბოზიშვილი ვიყო, მაგას ახლავე თუ არ წაუთაქე გვერდებში, ველარ დაღვინდება.

– წარტყმა და ცემა-ტყეპა არაა აღზრდის მეთოდი, ბატონო, სიტყვით უნდა შეაგნებინო, თორემ უარესს იზამს მერე ჯინზე.

– ნუ მასწავლი ერთი, თუ კაცი ხარ, რა უნდა ვქნა! როცა ცხელ ჩაიდანს ხელს ადებს ბავშვი, მაშინ არაა საჭირო დასჯა, ის ისედაც მიხვდება და გამოცდილებას მიიღებს, მაგრამ თუ გაზქურის სახელურებს აწვალავს და არ დასჯი მკაცრად, გამოცდილებას ველარ მეესწრებით ვერცერთი, გაშოროთ ღმერთმა! მაინც საიდან აქვთ ეს ამდენი უცხო სიტყვები ჩაბეჭდილი თავში, მშობლიური ენა მალე სანატრებელი გაგვიხდება.

### **ფრთხილად, კარები იკეტება! შემდეგი სადგური:**

- ოპა, ოპა, ევროპა! – ისევ წამოიღმუვლა ნასვამმა და გვერდი იცვალა.
- მამაო, თქვენ რას ფიქრობთ, რა უშველის ამ წამხ-

დარ ცხოვრებას? მე საკუთარი ხალხი შემძულდა და წინაპრების მრცხვენია, კულტურას ჰკარგავს ერი, მეტყველების, ქცევის, მოსმენის, ურთიერთობის კულტურას. ძველი თაობა მიდის და მათთან ერთად გვტოვებს ინტელექტი, მარტო განათლება უინტელექტოდ არაფერია! ამ თაობას ლიმიტი ეწურება, მალე უკანასკნელი მოჰიკანი დაგვტოვებს და აღარ გვეყოლება ცოცხალი ლეგენდები, მსახიობები, მწერლები, მომღერლები, მეცნიერები, მშობლები, ბებია-ბაბუები და დავრჩებით მარტო. ახალი თაობა კი, იმის მაგივრად, რომ დრო არ დაკარგონ, მოეფერონ, ელაპარაკონ მათ, მეტი დრო გაატარონ ერთმანეთთან, ტელეფონებს ჩაშტერებიან, უცხოური კულტურიდან იღებენ ცივად მოხარშულ საზრდოს და კარგავენ იმ სიტბოს ჩვენი წინაპრების გულებიდან რომ მოდის. ერთი მეზობელი მყავს, მამაო, რომ გაბრაზდება, გამოვარდება გარეთ, ინყევლება, ილანძლება, ყვირის, ჩხავის და რომ დაიცლება, მერე კარგადაა. ამას შიზოფრენია ჰქვია და ერიც იმ ქალივითაა გამხდარი. ჩართავენ ტელეფონებს, მიედ-მოედებიან ყველაფერს, იციან თუ არა, აპროტესტებენ, გულს მოიფხანენ, ისევ და ისევ იგინებიან, ინყევლებიან, მერე გადაჯდებიან ტელევიზორებთან სერიალების საყურებლად, დანაყრდებიან და ვალმოხდილებს მშვიდად სძინავთ უკეთესი მომავლის იმედით. მომპარავი კი ისევ იპარავს, ზემოთაც და ქვემოთაც, ქვეყანა ისევ ნადგურდება და იყიდება გადამთიელებზე, ღარიბები ისევ შიმშილობენ, ერთნი კანონებს ლებულობენ და მათივე მიღებული კანონებით მდიდრდებიან, მეორენი კი ამ კანონების დაცვაში და სილატაკეში კვდებიან, ისევ იბრძვიან სკამისთვის ერშიც და ბერშიც, ისევ ნარკოტიკები, მკვლევლობები, განუკითხაობა და მთავარია, პირი გქონდეს აკრული, აცრის საბუთი გედოს

ჯიბეში, მორჩილად თავს იქნევდე ყველაფერზე, შენ და შენიანს არაფერი დაემართოს და წყალსაც წაუღია ყველა და ყველაფერი!

– იყიდეთ ლიმონი, იყიდეთ ლიმონი, ხუთი ცალი ერთ ლარად, იყიდეთ, რამ გაგიყინათ ეგ გულები, ამონყდებით ერთ დღეს და ვერ მოესწრებით ხვალინდელს, ჩემი ცოდვით! – ისტერიულად ყვიროდა ქალი და ცრემლები ღაპაღუპით ცვიოდა. ოთარი ვაგონიდან გავიდა და სწრაფდევ დაბრუნდა.

– რა ჰქენი, რა იყო ახლა ეს! – გაეცინა ავთოს.

– წყევლა მოვიხსენი. ჩემთვისაც და შენთვისაც ერთი პარკი გამოვართვი და ორი ლარი მივეცი, უნდა გენახა რა სახე ჰქონდა, საცოდაობაა, ვინ იცის, როგორ უჭირს!

### **ფრთხილად, კარები იკეტება! შემდეგი სადგური:**

ვაგონში სანდომიანი სახის ქალბატონმა ჩამოიარა მოწყალების სათხოვნელად, ვერც კი მიხვდებოდა ადამიანი, ხელი მორიდებით რომ არ ჰქონოდა წინ განვდილი. ახლა ავთომ მოიჩხრიკა ჯიბეები, ოცთეთრიანი მიაწოდა და ძებნა განაგრძო.

– საკმარისია, აღარ შენუხდეთ, ბატონო! – ხმადაბლა ჩაილაპარაკა, თბილად გაუღიმა, თავი დაუკრა და ვაგონს გაუყვა.

– გაძლება მოგცეთ ღმერთმა, უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ! – მამაომ ჯვარი გამოსახა და გვერდით მჯდომს მიუბრუნდა:

– წელან თქვენ ბრძანეთ საკუთარი ერი შემძულდა და წინაპრების მრცხვენიაო, ჩვენ ეშმაკთან ბრძოლაში ვართ ჩაბმული, ხედავთ, რამდენი ადამიანი იღუპება უკრაინაში, ეს ბრძოლაა სიკეთესა და ბოროტებას შორის, ჩვენ ამ ბრძოლაში გონიერება, რწმენა და სიმართლე გადაგვარ-

ჩენს, ეს ის ქვეყანაა, სადაც უამრავი დიდებული ადამიანი მოგვივლინა ღმერთმა და ბევრი მათგანი ჩვენვე გავანადგურეთ მტრის გასახარად და საამებლად, მაგრამ მაინც მოვედით აქამდე, მოვედით ათასი მოწამის ძლიერი სულით, ჩვენი აბჯარასხმული მეომრების მხრებით, თვედორე მღვდლის თავგანწირვით, თაყაიშვილების, კავსაძეების და მათი მსგავსი ადამიანების პატიოსნებით, რუდუნებით და ჩვენი დიდი მეფეების თავდადებით, თავსა და ოჯახებს რომ სწირავდნენ მტერს, ოღონდ სამშობლო ყოფილიყო ძლიერი, გამარჯვებული და თავისუფალი. ისლა დაგვრჩენია, გაუფრთხილდეთ, მოვუაროთ, მოვეფეროთ მას და არავის დავაჩაგვრინოთ. იმ შორეულ წარსულში ხილულ მტერს ვებრძოდით, ახლა ამას უხილავი მტერიც დაემატა და ცდილობს ჩვენს გადაგვარებას, იმის მაგივრად, რომ ერთად დავდგეთ, ეკლესია-მონასტრების გარშემო ბარებს ვაშენებთ, ნარკომანიას ვახალისებთ, ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ მიწებს ვყიდით, ვაქირავებთ, სარწმუნოებას ვებრძვით, სალოცავებს ვერ ვპატრონობთ.

– მართალს ბრძანებთ, მამაო, საკუთარ ტაძრებს რომ ვერ გადახურავ, ან უგულოდ შეაკეთებ, მერე ფულს რომ კაცი ჩაიდებს ჯიბეში და მშვიდად სძინავთ, რა უნდა იფიქრო კარგი ასეთ ადამიანებზე? იმდენ ხანს იდინა წყალმა, რომ ფრესკები დაზიანდა. საქართველოს უდიდესი ქრისტიანული დოლოჭოპის დურუჯისპირა ბაზილიკა ეროვნული კულტურის საგანძურია და გამუდმებით წყლით იტბორება ყვარელში, ვინაა პატრონი? მხოლოდ საარჩევნოდ რომ იწყებენ ვაჭრობას, სადაა ან ერი და ან ბერი, მამაო? თორმეტ საუკუნეს გაუძლეს, ზოგმა მეტსაც, ჩვენამდე მოვიდნენ ნაომარი, ნაქორალი, დაჭრილ-დაჩხილნი, ძალაგამოცლილნი ჩვენი მეფეებისა და მეომრების სისხლით მორწყული გზით და იმის მაგივრად, რომ

ჭრილობები შეგვეხვია, ქუდიც კი ვერ დავახურეთ.

– იყიდეთ, იყიდეთ, საინტერესოა, სულ რაღაც ერთ ლარად, ჩვენი სახელოვანი მეფეები ერთ ლარად. იყიდეთ ერთ ლარად. საქართველოს სახელოვანი მეფეები ერთ ლარად!

### **ფრთხილად, კარები იკეტება! შემდეგი სადგური:**

ოპა, ოპა, ევროპა! – ისევ წამოიღმუვლა მთვრალმა, სადღაც უსასრულობაში ვიღაცას გაუღიმა და თავი ღიპზე ჩამოუვარდა.

– რა არის სიმთვრალე? ახლა ამას რა მაგრად ახატია ომი და მშვიდობა!

– არა მარტო მაგას, ბევრ ფხიზელსაც, ვერ ნახე, როგორ დაიტაცეს პროდუქტები ტომრებით და რამდენი პენსიონერი დატოვეს უშაქროდ?

– სიმაძღრეზე და ფუფუნებაზე მოფიქრალი კაცი ცოდვაა, განწირულია, თუ დროზე არ მოეგო გონს. – გადაულაპარაკა მამაომ და გააგრძელა. – როცა ზომაზე მეტად ჭამ ან თუნდაც ქეიფობ, რას გრძნობ მერე? – სიმძიმეს, მოდუნებას, ზიზლსაც კი! ეგ ხორცია! და როდესაც სიკეთეს აკეთებ უანგაროდ და ვიღაცას გულს უხარებ, რა შეგრძნებაა, როგორ ხარ? – მსუბუქად! გიხარია, თითქოს წონასაც კი ვერ გრძნობ, ვერც შიმშილს და მეცხრე ცაზე ხარ. ეს სულია! ხორცი თვითონ ბერდება და კვდება, სული კი მარადიულია და მხოლოდ შენ შეგიძლია მოკლა ის, თავისუფლების არსიც მაგაშია: ორივე შენი ასარჩევია, შენ ხარ შენი სხეულის პატრონიც, მეფეც და პრეზიდენტიც, ის სახელმწიფოსავითაა, ისეთი იქნება, როგორი პატრონიცა ჰყავს. ღმერთმა დაგლოცოთ და გააძლიეროთ! – მამაომ პირჯვარი გამოსახა და ჩასასვლელად მოემზადა.

### **ფრთხილად, კარები იკეტება! შემდეგი სადგური:**

– სადა ვართ, ევროპაში? ჩავედით? თავისუფლების სუნი მცემს. მთქნარებას ამოაყოლა მთვრალმა და დაბინდული თვალებით ვაგონი შეათვალიერა.

– ოთარ, მოდი სალამოს შევხვდეთ, ჩემთან ავიდეთ, თითო ჭიქა დავლიოთ და ბავშვობა გავიხსენოთ, არ მოგენატრა? ჩემებსაც გაუხარდებათ.

– კი, კარგი იქნება, ჩემთან ვერ გეპატიჟები, მამა-ჩემი მძიმედაა, ლოგინადაა ჩავარდნილი, სახლი წამლების სუნითაა გაჟღენთილი. ეჰ, რა ყოფილა სიბერე, ერთი ნუთით გაჩერებულს ვერ ნახავდი, ახლა რომ ნახო, ვერ იცნობ, ამასწინებზე მთხოვა, რაღაც ძალიან მომინდა და გალინა ბლანკას ტაბლეტები რომაა, ძროხის თავი რომ ახატია ის ამომიტანე, მწვანელები, კარტოფილი დაამატე და სუპი გამიკეთეო, რომ ამოვუტანე დახედა და ჩხუბი დამიწყო: ეს ის ძროხა არააო, ერთი რაღაც გთხოვე და ისიც ვერ შემისრულეო. გავიდა ნახევარი საათი და მიძახის: მოდი აქო, – მივედი, ჩამოჯექი სანოლზეო, – ჩამოვჯექი, ხელი მომკიდა და მეუბნება, რაც ასე ცუდად ვარ როგორი აუტანელი გავხდი, ნუ მიაქცევ ყურადღებას, ხომ იცი როგორ მიყვარხარო. ლამის გული გამისკდა, ცრემლები ძლივს შევიკავე.

– ეჰ, ვიცი, რას ვიზამთ, მამიდაჩემიც მასე არ იყო? კი იცი შენ, იმან გამზარდა, ბოლოს მარტო ვუვლიდი სახლში და დამხმარეც არავინ მყოლია.

– აი გისმენდით და კაი ბიჭები ჩანხართ, გაგახარებთ ღმერთი! დააფასეთ ის დრო, როცა თქვენ უვლით და თქვენ არა ხართ მოსავლელი, აკი აფასებთ კიდევაც, გენაცვალეთ თქვენა! ეს ცხოვრება ერთის ბედნიერებისაგან და მეორის უბედურებისაგან შედგება, მუდმივი ამქვეყნად არაფერია. ჰოდა, სანამ ადგილებს შეიცვლიდნენ, გაუ-

ფრთხილდით ერთსა და ნუ დაგავინცდებათ მეორე, პაპა გენაცვალეთ თქვენა! მოხუცი წამოდგა, ავთოს გაშლილი ხელი სიყვარულით მოუთათუნა მუხლზე, კარებისკენ წავიდა და თავისთვის ჩაილაპარაკა: – მარტოკინა ვუვლიდი ქალსაო, კაცო, აგრემც გაგაძლიეროთ უფალმა!

ვაგონი ბომა ბიჭმა ყვირილ-ყვირილით გამოიარა, მუხლებზე დაეცა, ღვთისმშობლის ჭუჭყიანი ხატი გულზე მიიკრა და ყვირილით მოწყალება ითხოვა, მერე ფეხზე წამოხტა და გოგონას წელიან ბოთლს დაეჯაჯგურა, გამოართვა, იქვე კარებს წვალემა დაუნყო, მაგრამ გამოაგდეს, მერე მეორე მხარეს გადმოინაცვლა და პატარა ზურგჩანთიან, ცისფერთვალემა, სიფრიფანა გოგონას დაადგა თვალი. მივიდა, ფეხზე თავისი ბინძური ფეხი დააჭირა და ჩაულაპარაკა ფული მომეცი და გაგიშვებო. გოგონას თვალებზე ცრემლები მოადგა და საზურგეს მიეკრა. ოთარს სიბრაზისაგან თვალები ჩაუსისხლიანდა, ბოშას ხელი კისერში წაავლო, გარეთ მოისროლა და იქვე მდგარ პოლიციელს უსაყვედურა: – აიკლო ვაგონი, მიხედე ერთი, თუ კაცი ხარ.

– და რა უნდა ვქნა, მაგას რომ ხელი მოვკიდო, მიჩვილებს და სამსახურს დავკარგავ, ამასწინათ ოთხნი იყვნენ, გავეკიდე და ძუძუმწოვარა ბავშვი მესროლა ქალმა, ძლივს დავიჭირე. აი ისე, ინდურ ფილმებში რომაა, ეგენი საზღვრის გვერდის ავლით აზერბაიჯანიდან არიან შემოსულები, უკონტროლო, საშინელი ხალხია, აზერებმა გამოყარეს.

– მარტო ეგენი? კაზინოებიც, ნარკოტიკებიც და თვითონ გარეჯი წაიღეს. – კი არ წაიღეს ჩვენ მივეცით, ალბათ მივეციდეთ კიდევც.



**ფრთხილად, კარები იკეტება! შემდეგი სადგური:**

– ამ ხნის ვეტერანი კაცი ვარ და ამას თუ მოვე-  
სწრებოდი, რას ვიფიქრებდი! ბევრი რამ დამიკარგავს  
ცხოვრებაში: მეგობრები, ჯანმრთელობა, თვალი, ოჯახის  
წევრები, მაგრამ ეს ყველაზე მძიმე გამოდგა, რაც ახლა  
დავკარგეთ.

– რა დაკარგეთ ასეთი, ბატონო!

– ნდობა, ნდობა დავკარგეთ და პატივისცემა იმ ხალხ-  
ის, ვინაც აქამდე მოგვიყვანა: ექიმების, მოსამართლეების,  
ფარმაცევტების, ბიზნესის წარმომადგენლების, პირველი  
პირების, სასულიერო პირების და ბოლოს, ერთმანეთის  
მიმართ ნდობა. აბა ვინ არ იცის, რომ ეპიდემიის დროს  
აცრა ყველაზე დიდი რამაა სიცოცხლის შესანარჩუნე-  
ბლად, რად უნდა ამას დაძალება და აგიტაცია, მაგრამ  
როცა ადამიანს არ ვენდობი, იმის მონოდებულ საქმელ-  
საც არ შევჭამ და რომელ წამალზეა ლაპარაკი. აი, ეს  
არის ჩვენი უბედურება!

**ფრთხილად, კარები იკეტება! შემდეგი სადგური:**

– ჩამოიღე ფეხი გავიარო, ბულვარში ხომ არ გგონია  
თავი? – იმხელაზე იყვირა კაცმა, რომ ვაგონმა მექან-  
იკურად, ერთიანად ყველამ, თვითმფრინავის შასივით  
სკამქვეშ შეკეცა ფეხები, ნასვამი კაციც კი შეცბა და  
პროტესტის ნიშნად რაღაც წამოილულულა, წამოიწია,  
თითით ორჯერ შემოხაზა წრე და მონყვევით ისევ სკამზე  
დაეშვა.

– შენ რა განერვიულებს, გითხარი რამე? – შეუღრინა  
კაცმა.

– მე რომ არ ვინევრიულო, ნევრიულობით მოვკვდები.

– ჩამოაყალიბა მთვრალმა და გამოფხიზლება დაიწყო.

– ამას ვიცნობ, იცი რა კარგი ოჯახის შვილია? აფხ-

აზეთში კანტუზია მიიღო, ძალიან განათლებული ბიჭია,  
მაგრამ ახლა უკვე ვერაა კარგად, სულ ასე ხმამაღლა  
ლაპარაკობს, გეგონება ჩხუბობსო. – სინანულით ჩაილა-  
პარაკა ოთარმა და თავი გააქნია. უცნობმა ვაგონი ზე-  
მოდან შეათვალიერა, სკამებზე მოკალათებულ, ყურსას-  
მენებიან მგზავრებს გადახედა და თითქოს თავისთვის,  
მაგრამ ხმამაღლა, ლამის ყვირილით დაიწყო: – ქვეყანა  
ერთ დიდ სმარტფონს დაემსგავსა, ვისაც არ ეზარება  
ყველა კოდალასავით უკაკუნებს, ვის რაში აინტერესებს  
თქვენი თეძოები და უკანალი, ქვეყანას მიხედეთ ქვეყანას!  
მაგრამ რა გენაღვლებათ, მარტო ტელეფონებში ილანძ-  
ლებით, ცოფებს ყრით და პატრიოტებად მოგაქვთ თავი,  
ზოგსაც სულაც გკიდიათ, ყველა ვილაცის მხარესაა, იმის  
მიხედვით, თუ ვისგან რას ელის, ზოგი სალოცავებს ჰყ-  
იდის, ზოგიც – ყიდულობს, ზოგი ქუჩაში ყვირის დიდი  
ხმით, ზოგიც – ძილში, ზოგი იბადება, ზოგიც კვდება,  
ზოგი არც იქეთაა და არც აქეთ. ზოგს ქვეყანა მენველი  
ძროხა ჰგონია, ზოგსაც – ხაშლამით სავსე ქვაბი. ზოგი  
სამშობლოს ეწირება, ზოგიც ჭამა-სმას, ზოგი მართალს  
გეუბნება, ზოგიც გიცინის და უნამუსოდ გატყუებს,  
ცხოვრება კი მიდის, წამმზომი ჩართულია და თუ არ  
გამოფხიზლდებით, ნელ-ნელა დავილუპებით, გესმით თუ  
არა თქვენ, ქვეყანას მიხედეთ ქვეყანას! – უკვე გარედან  
ისმოდა უცნობის ნერვიული ხმა.

– რა ცოდვაა, სანყალი, არადა, რა კარგი ბიჭი იყო,  
გიჟია ალბათ.

– გიჟი უძახე შენ და რაც თქვა, არ იყო მართალი  
თუ? – აბა, გახედე, როგორ გადაიდეს ფეხი ფეხზე და  
აქანავებენ წინ და უკან.

– შიში ოხერია, აბა? როგორ დაკარგა ზნეობა სა-  
ზოგადოებამ, აკადემიკოსი იყო ჩემი მეზობელი და სანამ

მთელ ქუჩას გაივლიდა, დიდსაც და პატარასაც შლაპის მოხდით ესალმებოდა კეთილი, თბილი ღიმილით.

– რა მაგის პასუხია და ჩემს შვილიშვილს ისეთი ძვირფასი და ძვირიანი ტელეფონი აჩუქეს დაბადების დღეზე რომ ბავშვი კინალამ გადაირია.

– ეხ, ჩემო თამარ, ჩვენს ახალგაზრდობაში ნაჩუქარი ნივთი ყოველთვის უფრო ძვირფასი იქნება დღევანდელზე, რაც არ უნდა ძვირფასი იყოს ის.

– რას ამბობ კაცო, რას გულისხმობ, ეგ როგორ? – როგორ და ჩვენს გაჭირვებულ დროში, ფულს კაპიკ-კაპიკ ვაგროვებდით, პურის ფულს ვიკლებდით და ყველაზე დიდ საჩუქარს, წიგნებს ვჩუქნიდით ერთმანეთს, რა დამავინყებს იმ ბედნიერ სახეებს.

– მართალი ხარ, ჩემო კარგო, რამდენი წიგნი მაქვს ნაკითხული ნახევრადწიგნელებული უბნის ქუჩის ლამპიონის შუქზე, მე მგონი, მაშინ კი არა, ახლა ვცხოვრობთ გაჭირვებულ დროში.

### **ფრთხილად, კარები იკეტება! შემდეგი სადგური:**

– რას შვები, ადიხარ ხოლმე მთაში? როგორ მიყვარდა შენთან ერთად მოგზაურობა, ერთი სული მქონდა, როდის დადგებოდა ეგ დრო.

– მე კიდევ თეთრად ვათენებდი ღამეებს და სოხუმი მელანდებოდა.

– ჩემო ავთო, ერთიც დავკარგეთ და მგონი უფრო დიდ რამესაც ვკარგავთ. ერთი თვის წინ ვიყავი მთაში, სტუმრად დამპატიჟეს, სალოცავები მოვინახულეთ და სუფრას მივუსხეეთ. მასპინძელი მაღალი, წარმოსადეგი, ჭკვიანი კაცი იყო, ის იყო, ქეიფს შევუდექით, რომ მისმა ნათესავმა გვერდზე გამიყვანა და მთხოვა, ორივე ცოლ-ქმარი იალოველია და სანყენი არაფერი უთხრაო,

ხასიათი გამიფუჭდა, ერთი კი გავიფიქრე: სად მიაგნეს ამ კლდე-ღრეში-მეთქი და არყის ჭიქა შევავსე. ვერ მოვისვენე, სანამ სათქმელი არ ვთქვი, როდესაც ჩვენი სალოცავების სადღეგრძელო დაილია, ავდექი და ასე ავუხსენი ყველაფერი: – ჩვენი სალოცავები და სარწმუნოება ერთ-ერთი უძველესია სამყაროში და ღმერთის წყალობით, ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს ბრძოლისა და სიცოცხლის ფასად, ჩვენს აბჯარასხმულ მეომრებსა და მეფეებს წინ წმინდა გიორგი მიუძღვოდა, მარიამ ღვთისმშობელი იფარავდა და უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებულები, აბჯრიდან სისხლი რომ გასდიოდათ ღვარად, პირველი რასაც აკეთებდნენ, თავიანთი სალოცავების მონახულება და მხურვალე ლოცვა იყო. ლოცულობდნენ და მადლობას სწირავდნენ უფალს ქვეყნის გადარჩენისთვის. მაშ, ტყუილი ყოფილა ეს ყველაფერი? არა, მე სანინააღმდეგო არაფერი მაქვს არც ერთი სარწმუნოების მიმართ, ღმერთი ერთია, მისკენ მიმავალი გზა კი მრავალი: ყველა თავის ქარავანს მიჰყვება, ყველას თავისი წინაპრების სისხლით მორწყული ბილიკი აქვს გაკვალული, ყველა თავის ურემზეა ჩამომჯდარი, ფეხების ქნევით მიჰყვება ამ დალოცვილ გზას და რა ცუდია, ან რა ჰქვია იმას, როცა ამ ურმიდან ჩამოხტება ვინმე, გადაირბენს მდელოს და სხვის ქარავანს შეახტება, მოერგება და უდარდელად გააგრძელებს ცხოვრებას. ღმერთს ებარებოდეთ-მეთქი, დავლიე, სამსახური მოვიმიზეზე და წამოვედი. ეჰ, ჩავედი ახლა მე და სალამოს შევხვდეთ, შვიდისკენ იქ ვიქნები, სადაც შევხვდით.

### **ფრთხილად, კარები იკეტება! შემდეგი სადგური:**

ვაგონში ბიჭი შემოვიდა. ცხვირის სრუტუნით ყველა მგზავრი ჩამოირბინა, მუხლებზე სანთლები ჩამოულაგა,

მერე ისევ სწრაფადვე აკრიფა და გაქრა.

– როგორ ჰგავს სანთელი ადამიანს, არა? – ჩაილაპარაკა ქალარა ქალბატონმა. ადამიანიც სანთელივით იწვის, ანათებს, ბოლავს, თუ ცუდად მიეკარე, სწყინს, იმ-მუშნება, თითსაც კი დაგწვავს, სულს თუ შეუბერავ, აფორიაქებდა, თუ მეტი მოგივიდა, ჩაქრება, ორმხრივ ქარსაც ვერ იტანს, ვერც სიცხეს – იღვენთება, სიცივეს კი უძლებს, ყინვასაც, მაგრამ თუ უხეშად მოეპყარი, შეიძლება წელში გადატყდეს, მერე უნდა ეცადო, რომ პირვანდელი სახე დაუბრუნო, მაგრამ ძველებურად ველარ გამოიყურება, ეტყობა ნატკენი ადგილი, ლოცვაც შეუძლია და ცეცხლის გაჩენაც, იწვის, ანათებს, ბოლავს, ერთ მხარეს სინმინდეები ულაგია, მეორე მხარეს ამქვეყნიური ცოდვები და ეშმაკები დაურბიან, ალიც სულ ხან ერთ მხარეს იხრება და ხან მეორეს, ადამიანივით სულ ბრძოლაშია, ამ ჭიდილში შეუმჩნევლად გადის დრო, იღვენთება, პატარავდება, იღვეა და ქრება, მერე ერთს კიდევ წამოენთება, იფერფლება და გვიტოვებს უამრავ საფიქრალს, ახალი სანთლის დანთების, სიცოცხლის თავიდან დაწყების სურვილს.

– რა კარგია სიცოცხლე, ამის დედავატირე, რა! – ამოიგმინა მთვრალმა, ბარბაცით კარებს მიადგა, მოაჯირს ჩაეჭიდა, კარები გაიღო თუ არა, ერთი დიდი ნაბიჯით ვაგონიდან გადავიდა და ოთარს უკან გაჰყვა. ფოიეში ნიავემა ათასჯერ გამოყენებული დამწვარი ზეთის მწარე სუნი შემოიტანა, მეორადი ფეხსაცმელებისა და სიგარეტის სუნში აირია და ვაგონიდან გამოსულებს თვალეები აუცრემლა. ოთარი გვირაბს გაუყვა, პირბადეზე ცხვირსახოცი აიფარა, თავისივე ნახშირორჟანგი ღრმად ჩაისუნთქა და უკვე შორიდან მოესმა: – რა კაია სიცოცხლე, რა!

### **ფრთხილად, კარები იკეტება! შემდეგი სადგური:**

დღე სანთელივით ჩაიფერფლა, სალამოს მეგობრები დათქმულ დროზე შეხვდნენ ერთმანეთს, ისევ ისეთივე სიხარულით, როგორც დილით.

– დამიჭირე ერთი ეს, ტკბილეულია, ახლა ფორთოხალს და ბანანს ვიყიდი და წავიდეთ, ხელცარიელი ხომ არ მივალ ბავშვებთან, თანაც ამ სახლში პირველად მოვდივარ. შოთის პურებსაც აქ კარგად აცხობენ.

– კარგი ერთი, საცხობი იქაც არის, ფორთოხალი და ბანანი არ გინდა, ეს ტკბილეულიც საკმარისია, ეგეც ზემოთ ვიყიდოთ.

– ვიცი შენი ზემოთ-ქვემოთ, მოკლედ არ იცვლები რა! წამოდი, წამოდი, ნუ იხარჯები, ყველაფერია სახლში. – მოქაჩა მკლავზე და კარგა ხანს იქნებოდნენ ასე ხელმკლავგაყრილი ძიძგილაობაში, პატარა ბიჭს რომ არ დაეძახა: – ვაშლსაც ხომ არ მიაყოლებდით მაგ თქვენს ფორთოხალს და ბანანს, აკი შორს მივდივართ და დღეს არ ჩამოვალთო? ორივემ უკან მიიხედა. წინ მომღიმარი ბიჭი იდგა, ის ნათელსახიანი ბიჭი, საქართველოს მომავალი, გიორგი ბრწყინვალე, მებრძოლი, ამაყი, კეთილი, მშრომელი, ჭკვიანი, უანგარო, ყველასგან მიტოვებული და გულიანი, აი ისეთი, ვალში რომ არავის არაფერში არ დარჩება! იდგა ორი სავსე პარკით ხელში და თბილად უღიმოდა მეგობრებს.

## კაცობა

საამურია შემოხედვა იმისა, ვისაც  
ახლანან დაეხმარე.

*ჟან დე ლა ბრუიერი*

სოფლის პატარა მოედანზე ტაქსის მძღოლებსა და თანასოფლელებს ნასვამ ახალგაზრდებთან ხელჩართული ჩხუბი გაემართათ და გზაც გადაკეტილი იყო. ერთი ტანმალალი ყმანვილი ნამეტანი აქტიურობდა, ძლივს აკავებდნენ, ვისაც დაარტყა – ძირს დააგდო.

– ოთარა დაიჭირეთ, ოთარა! დახოცავს ყველას!

– ბიჯოო, რა მაგარი კაცია რა, მაგასა კიდე მაგდენი რომ დაუყენო წინა, იმათაც მოერევა.

– აუ,დვინახე? კი არ დაღლილა, ბიჯო, როგორც იყო ისეა ისევლე.

– მაგას რა დაღლის! ამასწინათ კოლას მანქანა ამოათრია მარტომ ტალახიდან – ეგ რა არის, თენგიზას ქორწინილში ლიტრიანი ყანნი რომ მიაწოდეს, ამან ორლიტრიანი მოატანინა, დაცალა და ლიტრიანიც ზედ არხეინად დააყოლა. – ისმოდა აქეთ-იქედან.

ცოტა ხანში ჩხუბი ჩაცხრა, მთვრალეები თავისივე მანქანებში შეტენეს და გაისტუმრეს.

მოჩხუბრებიც დაშოშმინდნენ, ოთარას გარშემო შემოიკრიბნენ და უკვე ჩავლილი ამბის ემოციურ განხილვას შეუდგნენ.

– რა დღეში ჩაყარე, კაცო, ეგენი, აქეთ აღარ გამოიხედავენ!

– მე ჩემს სოფლელებს არავის დავაჩაგვრინებ, ერთი ოჯახი ვართ, ერთმანეთს თუგაჭირვებაში გვერდით არ დავუდექით, მარტო პურის ქამაში ერთად ყოფნა, რა კა-

ცობაა! რა იციან ქალაქელებმა სოფლის ცხოვრება, თან, ბიჯო, თამარას სიგარეტის ფულიც არ გადაუხადეს, აქეთ კიდე ჩოლანთ გოგოს დაუნყეს ბლლაძენი, ხოდა, აი, გაიხსენონ რა დაემართათ, როცა გამოფხიზლდებიან. – არ ცხრებოდა ოთარა.

– შვილო, არც ქალაქი ვარგა უსოფლოდ და არც სოფელი უქალაქოდ, კარგი და ცუდი ყველგანაა.

– ხომ გაგიგონია, რაც ნამდვილია სოფლიდან მოდის.

– მიაძახა ოთარამ, თავის მანქანისკენ გადაინაცვლა, სუფთა ნაჭერი ამოიღო, მინები დაორთქლა და წმენდას შეუდგა.

– ეს რა მაგარი კაცი გყოლიათ სოფელში.– გამოელაპარაკა მგზავრი მძღოლს.

– ხო, არაკაცურს ვერაფერს ეგუება, ძმობაში და მეგობრობაში ეგეთ კაცს ვერსად ნახავ!

მგზავრმა სიგარეტს მოუკიდა და ორი მძიმე ჩანთა შავებში ჩაცმულ ბებოს გზის მეორე მხარეს გადაატანინა. ბებო ჯერ ერთ მანქანასთან მივიდა, მერე – მეორესთან, მესამესთან, ბოლოს ოთარას მიადგა, კარგა ხანს იყო გაჩერებული, ორჯერ ირიბად გადახედა, ლოყაზე ხელი ჩამოისვა და მისვლა გაბედა.

– ამიყვანე რა იქნება და ჩემზე იყოს!

– აი შენლა მაკლდი რა, ვერა ხედავ, ქალო,ნერვები მიკანკალებს, მიდი, აი, გივიასა სთხოვე.

– გივიამ უარი მითხრა,არ იცი, რა უჟმურია? ამიყვანე რა და ორ მანეთს მოგცემ, კილომეტრიც არ იქნება.

– შეეხვენა ბებო და უკან დაინია.

– მანეთი კი არა, ლარი, ქალო, ლარი! რით ვერ გაიგე, ორ მანეთად აგე კაკო აგატანინებს თავისი ვირით, თივაზე ჰყაამს, მე ბენზინის ჩასხმას ვერ აუდივარ, ვერა, ხედავ გაზსაც არ ვაყენებ, ახალი მანქანაა, ახლა ეგ ძირნათრევი ჩანთები შემოტენე კიდე! – აჯაჯღანდა ოთარა

და ზურგით შეტრიალდა.

– ერთი აღმართია რაა, ჩემს რძეზე და მანონზე მაინც არ იყოთ გაზრდილი! – ჩაილაპარაკა დაღონებულმა, ჩანთები ზანტად ანია და გზას გაუყვა.

ბიჭმა დაღმართი ჩამოიარა, მოედანზე შეკრებილ ხალხს თვალი შეავლო, ფრთხილად გაიარა, სიჩქარეს უმატა, ნელში მოხრილ მოხუცს გახედა და დაამუხრუჭა.

– ბებო, წაგიყვან, ამხელა აღმართზე როგორ უნდა ახვიდე მაგ ჩანთებით. – გასძახა და უკან ჩამოგორდა. ბებომ მანქანა და მძლოლი შეათვალიერა, კარები ნელა გამოაღო, ჩანთა ფრთხილად მოათავსა სკამებს შორის, თვითონაც მოკალათდა და ბიჭს გამოელაპარაკა.

– ორ მანეთს ვაძლევდი, შვილო, და უარი მითხრეს, იმათმაც რა ქნან, თავი მოვაბეზრე ყველას, ამ რძე და მანვინით ვირჩენ თავსა, მერე შაქარიო, პურიო, ზეთიო და მძიმდება ეს ოხერი, ამ აღმართის ამოვლა მიჭირს, თორემ წყაროდან სწორი გზაა და იმ ერთ კილომეტრს ისე გავივლი ხოლმე ფიქრებში გართული, რომ ვერცა ვგებულობ.

– მარტო ცხოვრობ, ბებო?

– კი მარტოკინა, მაგრამ რათა მარტო, კეთილ ხალხს რა დალევს ქვეყანაზე!

ხან ვინ გადმოდის, ხან ვინა და ...

– შვილები?

– შვილები, შვილები, შენ სადაური ხარ? – კითხვა შეუბრუნა და სმენად იქცა.

– თბილისელი. – უპასუხა ბიჭმა და სოფლის შარაგზაზე გადაუხვია.

– არ ქნა ბებო, აქიდან მე ჩემით ნავალ, შენ რავა შეგანუხებ, ცუდი გზაა.

– ცხოვრებაც ცუდია და მძიმე, მაგრამ ჩვენ იმიტომ ვართ, რომ ერთმანეთს რალაციით შევუმსუბუქოთ ცხოვ-

რება, ამ მანქანას უფრო ცუდი გზებიც უნახავს, შენ არ ინერვიულო, ბებო!

ბიჭი ერთ პატარა, ლამაზ ოდა სახლთან გაჩერდა, ჩანთები კარებთან ჩამოალაგა, მიუხედავად დიდი პატიჟისა, ბებოს თბილად დაემშვიდობა და ის იყო წასვლა დააპირა, რომ ბებომ ორივე ხელი ხელზე ჩასჭიდა, ლოყასთან მიიტანა, აკოცა და დალოცა.

– ისინიც თბილისელობდნენ, ქვემოთ რომ ჩხუბი იყო, კაცობა ეგაა, რაც შენ ჰქენი და არა ის. ჰმ! ოთხი კაცი უცემია თურმე ოთარას, შენისთანა კაცები ამრავლოს ღმერთმა და სულ მშვიდობით გატაროს შენს ოჯახთან ერთად! – ბუტბუტებდა ბებო და ბიჭს ხელზე ეფერებოდა.

მანქანა ორლობეში ფრთხილად მოტრიალდა, კარებს ნელა ჩაუარა, ბიჭმა ბებოს ღიმილით გააყოლა თვალი.

– გაგახარებს ღმერთი! – უკვე შორიდან მოესმა ბებოს თბილი ხმა და თბილისამდე გაჰყვა სასიამოვნო შეგრძნება, უანგაროდ ნაკეთებ სიკეთეს რომ ახლავს თან.

## სარჩევი

|   |     |
|---|-----|
| რედაქტორისგან .....                               | 5   |
| დედა .....  | 7   |
| ატენილიანი.....                                   | 20  |
| ბახმარო – ჩვენი საგანძობი .....                   | 29  |
| კოლორიტები.....                                   | 32  |
| გურული იუმორი, თვითონ რომ არ ეცინებათ, ისეთი..... | 34  |
| ხატი.....   | 37  |
| მომავალ შეხვედრამდე, ბახმარო!.....                | 38  |
| კონცენტრაციის მოწყობილი ამბები .....              | 39  |
| „ნატურ პროდუქტი“ .....                            | 39  |
| უფლებადამცველი .....                              | 42  |
| შოთას გახსენება.....                              | 47  |
| ღირსება .....                                     | 50  |
| ერთი უბნის ჩანახატი .....                         | 54  |
| არჩევანი.....                                     | 58  |
| ფოტოგრაფიები ებრაულად .....                       | 69  |
| დაკარგულები.....                                  | 77  |
| სტუდენტური ესკიზები .....                         | 83  |
| უცნაური გეოგრაფი.....                             | 84  |
| გენერალი .....                                    | 86  |
| უკვდავი გრიგოლი .....                             | 89  |
| პარმენი .....                                     | 91  |
| მრისხანე გოგი.....                                | 94  |
| ბატონი გრიშა და დაქირავებული მამობილი .....       | 97  |
| მეტყევე .....                                     | 102 |
| მეგობრები .....                                   | 106 |
| ნოსტალგია .....                                   | 111 |
| ჟური.....   | 116 |
| დედის სურნელი.....                                | 122 |
| ვალი .....  | 125 |
| მეტრომანი სხვადასხვა ტალღაზე .....                | 129 |
| კაცობა .....                                      | 148 |